

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება

დოქტორანტ მიხეილ შავთვალამის ნაშრომი თემაზე:

კონსოციონალური დემოკრატიული მოდელი პოსტსაბჭოთა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში (საქართველოს მაგალითი)

სადოქტორო ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა,

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

აბსტრაქტი

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი ცდილობს კონსოციონალურ (Consociational) დემოკრატიის მოდელთან საქართველოს თავსებადობის შესწავლას. შესაბამისად, კვლევა ცდილობს ეთნიკურად დაყოფილ ქვეყნებში პოსტსაბჭოთა ტრანზიციების, კონფლიქტების გადაჭრის და დემოკრატიზაციის შესახებ არსებულ თეორიებზე დაყრდნობით ახსნას ის სტრუქტურული და აქტორული მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციაზე და ქვეყნის მშვიდობიან დემოკრატიზაციაზე. აღნიშნული მიზნისთვის, როგორც პირველად (ინტერვიუები), ისე მეორეულ (ოფიციალური დოკუმენტები, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, სამეცნიერო ლიტერატურა, ინტერნეტ რესურსები) წყაროებზე დაყრდნობით მოხდა საკვლევ კითხვებთან და ჰიპოთეზებთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

Abstract

The primary goal of the academic research is to find out whether the consociational democracy can be suitable model for Georgia's further political stability and peaceful democratic consolidation. For this reason, I carefully considered pertinent external and internal complex circumstances that post-Soviet country currently faces. Moreover, to find out to what possible extent consociational model of democracy can be compatible with Georgia, in this dissertation, I attempted mainly through concepts and theoretical propositions from the relevant literature on post-Soviet transitions (especially in ethnically divided nations), conflict management and resolution, European integration and democratization to adequately explain the structural and actor related characteristics that had a significant impact on the political accommodation of minority groups and, therefore, on the peaceful and democratic development of the country. To examine the hypotheses and to find pertinent answers and relevant arguments for the research questions the primary (interviews) and secondary sources were effectively employed.

სარჩევი

შესავალი.....	1
თავი პირველი:.....	26
კონსოციონალური დემოკრატიის თეორიული ასპექტები.....	26
1.1. კონფლიქტების გადაჭრა და დემოკრატიული სტაბილურობა	26
1.2. კონსენსუალური და მაჟორიტარული მიდგომები	32
1.3. კონსოციონალიზმის კრიტიკა.....	36
1.4. კონსოციონალური დემოკრატიის მახასიათებლები	42
1.5. კონსოციონალური მიდგომების შეფასება: ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევა48	
თავი მეორე:.....	55
სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები პოსტსაბჭოთა საქართველოში	55
2.1. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (1990-1991).....	56
2.2. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (1992-2003).....	65
2.3. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები სააკაშვილის მმართველობის პერიოდში (2004-2012).....	74
2.4. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2013-2017).....	81
დასკვნა.....	85
თავი მესამე:.....	89
საქართველოში კონსოციონალური მიდგომების თავსებადობა.....	89
3.1. ფედერალიზმის თავსებადობა საქართველოს ამჟამინდელ ვითარებასთან	89
3.2. ძალაუფლების გაზიარებაზე თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა კონფლიქტში ჩართულ ელიტებს შორის	101
3.3. უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს ან ავტონომიის უფლების მინიჭების მიზანშეწონილობა შიდა და საგარეო საფრთხეების არსებობის გათვალისწინებით	106
3.4. პროპორციული საარჩევნო სისტემა როგორც ძალაუფლების გაზიარების და კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმი.....	113
3.5. პოლიტიკური აკომოდაციის, სამოქალაქო ინტეგრაციის და დეცენტრალიზაციის პერსპექტივები	121
დასკვნა.....	134

შესავალი

როგორც დემოკრატიზაციის ისე ევროინტეგრაციის მიმართულებით, საქართველომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რამდენიმე პოზიტიურ შედეგს მიაღწია. ბოლო დროინდელი მიღწევებიდან აღსანიშნავია 2012 წელს მეტ-ნაკლებად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით სახელისუფლებო ძალაუფლების მშვიდობიანი ცვლილება, რაც პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრების პროცესში მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. ადამიანის უფლებების დაცვის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით, წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი (საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2014). საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება (Venice Commission, 2018). აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო და შერეული საარჩევნო სისტემიდან მთლიანად პროპორციული წესით არჩეულ საპარლამენტო სისტემაზე გადავა, სადაც პრეზიდენტი, პირდაპირი არჩევის ნაცვლად, სპეციალური საბჭოს მიერ იქნება არჩეული.

რაც შეეხება საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის პროცესში ბოლო პერიოდში მიღწეულ წარმატებებს, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს საქართველოს და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების ამოქმედება. საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო ლიბერალიზაციის პროცესს რაც შეეხება, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია უვიზო მიმოსვლით სარგებლობა ევროკავშირის/შენგენის წევრ ყველა ქვეყანაში. საქართველოსთვის ევროკავშირთან ამ ხელშეკრულებების ამოქმედება მნიშვნელოვანი სტიმულია დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და კარგი მმართველობის განვითარებისთვის. (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2016).

შედეგად, მიუხედავად რიგი შეფერხებების და გამოწვევებისა, საქართველო დემოკრატიული და ლიბერალური განვითარების კუთხით სხვა პოსტსაბჭოთა

სახელმწიფოებთან შედარებით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, რაც აისახება წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების ბოლო წლების ანგარიშებში (მაგ., Freedom House, Varieties of Democracy, the Economist Intelligence Unit's Democracy Index) (V-Dem Institute: Varieties of Democracy, 2017).

გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს ის რთული გარემოებაც, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საქართველოს პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ ხასიათდება როგორც არასტაბილური, ჰიბრიდული და არა კონსოლიდირებული დემოკრატია (Freedom House, 2017). ამის მიზეზია იმ ქაოტური ტრანსფორმაციის შესაბამისი უარყოფითი ზეგავლენები რომელიც საქართველომ საბჭოთა ტოტალიტარული და ოკუპაციური რეჟიმიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისკენ სვლის დროს განიცადა. შედეგად მიღებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა, ჯერ კიდევ მწვავედ განიცდის სახელმწიფო თუ სამოქალაქო ინსტიტუტების სისუსტეს და გაუმართაობას.

ამგვარი მდგომარეობა დიდწილად განპირობებულია ცხინვალის¹ და აფხაზეთის ავტონომიურ ერთეულებთან მოუგვარებელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების არსებობით, რადგან შექმნილი მდგომარეობით დარღვეულია სახელმწიფოებრიობის ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი როგორც ქვეყნის საზღვრების ხელშეუვალობა და სუვერენიტეტი. შედეგად მიღებული მყიფე სახელმწიფოებრიობით კი საფრთხის ქვეშ დგას საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივები, რადგან კონფლიქტი დღემდე მოუგვარებლად რჩება და ხელახლა გაღვივების ალბათობა ჯერ კიდევ არსებობს შიდა თუ გარე ფაქტორების გათვალისწინებით.

შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც საბჭოთა კავშირის რღვევის პარალელურად მიმდინარეობდა, დამანგრეველი, ძალადობრივი და არასტაბილური გამოდგა. შედეგად მიღებული პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პერიოდი ხასიათდებოდა რამდენიმე მძიმე ეთნო-ტერიტორიულ ნიადაგზე წარმოშობილი შიდა სისხლიანი დაპირისპირებით,

¹ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ეს რეგიონი მოიხსენიება როგორც „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში როგორც „ცხინვალის რეგიონი“ ან „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)“.

შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებით და პოლიტიკური ძალადობით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულებში, რამაც საქართველოსთვის დიდი მსხვერპლი, ნგრევა და ტერიტორიების დაკარგვა გამოიწვია.

საქართველოში მოსახლე ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს რაც შეეხება, აღსანიშნავია რომ გარდა ტიტულარული ეთნოსებისა, რომლებსაც ტერიტორიული ავტონომიებიც გააჩნიათ (მაგალითად აფხაზები, ოსები), საქართველოში ასევე ცხოვრობენ უმცირესობათა ჯგუფები რომლებიც ანკლავების სახით კომპაქტურად არიან დასახლებულნი მათ ეთნიკურად და რელიგიურად მონათესავე სახელმწიფოების საზღვრებთან (მაგალითად აზერბაიჯანელები, სომხები, ქისტები). რელიგიური ნიშნით შექმნილ ავტონომიურ ერთეულს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოხსენიებაც, სადაც მიუხედავად ძირითადად ეთნიკურად ქართული მოსახლეობისა ამ მოსახლეობის ნაწილი მუსლიმია. ანკლავებისგან განსხვავებით დანარჩენი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური ნიშნით განსხვავებული უმცირესობების ჯგუფები, რომლებიც ძალიან ცოტანი არიან, (მაგალითად რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, იეზიდები, ქურთები) უფრო მიმოფანტულნი არიან საქართველოს სხვადასხვა ადგილში.

იმის მიუხედავად რომ საქართველოში აფხაზების და ოსების გარდა სხვა უმცირესობათა ჯგუფებთან არ ყოფილა სერიოზული დაპირისპირებები და კონფლიქტები, ზოგადად უმცირესობათა ჯგუფების პოლიტიკური აკომოდაცია (ანუ განსხვავებული იდენტობის ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და დაპირისპირებების მშვიდობიანი გზებით მოგვარება) და მათი სრულყოფილი და მშვიდობიანი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

გამომდინარე ზემოთხსენებული მწვავე საკითხებიდან, რომლის წინაშეც დღეს საქართველო კვლავ დგას, მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების ისეთი ინსტიტუციური მიდგომის სიღრმისეული შესწავლა, რომელიც დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში მშვიდობიანი პოლიტიკური თანაარსებობის

მისაღწევადაა შემუშავებული. იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ რამდენად თავსებადი ან არათავსებადია კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი საქართველოსთვის, აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში ეთნიკურად დაყოფილ ქვეყნებში პოსტსაბჭოთა ტრანზიციების, კონფლიქტების გადაჭრის და დემოკრატიზაციის შესახებ არსებულ თეორიებზე დაყრდნობით, შევეცდებით ავხსნათ ის სტრუქტურული და აქტორული მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უმცირესობათა ჯგუფების პოლიტიკურ აკომოდაციაზე და, შესაბამისად, ქვეყნის მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებაზე.

იქიდან გამომდინარე რომ კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი პოლიტიკის მეცნიერების (კერძოდ შედარებითი პოლიტიკის) სფეროში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი აპრობირებული მიდგომა სხვადასხვა იდენტობის მიხედვით მკვეთრად დაყოფილი საზოგადოებების მქონე სახელმწიფოებში უმცირესობათა ჯგუფების მშვიდობიანი პოლიტიკური თანაარსებობისთვის და კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრისთვის, დასკვნითი მსჯელობის სახით, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს მაგალითის კონსოციონალური დემოკრატიის მოდელთან თავსებადობა/არათავსებადების შესწავლით, ცდილობს თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული ხედვების ჩამოყალიბების კუთხით კონფლიქტების მოგვარების, სამშვიდობო კვლევების და დემოკრატიზაციის სფეროებში.

კვლევის მიზნები და ამოცანები

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი, ზოგადად, პოლიტიკის მეცნიერების, ხოლო უფრო კონკრეტულად, შედარებითი პოლიტიკის სფეროს მოიცავს. კიდევ უფრო დაზუსტებით კი, სადისერტაციო ნაშრომი ითვალისწინებს დემოკრატიულ სტაბილურობასთან მიმართებაში პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური დინამიკის სიღრმისეულ შესწავლას.

იქიდან გამომდინარე რომ, სადოქტორო კვლევა ძირითად ორიენტირებული და ფოკუსირებულია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესების და ძალაუფლების გაზიარების გამოცდილებების და პერსპექტივების ანალიზზე, კვლევის უმთავრესი მიზანია, წარმოადგინოს იმგვარი პოლიტიკური და სოციალური თანხმობის მოდელის საქართველოსთან თავსებადობის შესწავლა, რომელიც აღიარებულია ბევრი პოლიტიკის მკვლევრის მიერ როგორც დემოკრატიული სტაბილურობის უზრუნველყოფის ხელისშემწყობი მექანიზმი მკვეთრად დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში.

კვლევის კონკრეტულ ამოცანებს რაც შეეხებათ, პირველ ნაწილში ნაშრომი შეისწავლის თუ რას გულისხმობს ზოგადად კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი, როგორც თეორიული კუთხით ისე პრაქტიკული მიდგომებით; რა აუცილებელი პირობებია ამ მოდელთან თავსებადი; და რა სავარაუდო სიკეთეები და საფრთხეები ახლავს ამ მოდელს მკვეთრად დაყოფილ და განსხვავებული იდენტობების შემცველი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციის პერსპექტივებთან მიმართებაში. ასევე, ამავე ნაწილში, კვლევის ამოცანაა შესწავლილ იქნეს კონსოციონალური მიდგომების გამოყენების თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანაში.

კვლევის შემდგომი ამოცანა მდგომარეობს ასევე იმაში რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური დინამიკის სიღრმისეული შესწავლით დადგინდეს საქართველოში არსებული ის სტრუქტურული თუ აქტორული ფაქტორები რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყანაში მშვიდობიან პოლიტიკურ აკომოდაციაზე და დემოკრატიულ სტაბილურობაზე.

შესაბამისად, კვლევის მთავარი მიზანია დადგინდეს თუ რამდენად დამაჯერებელია საქართველოს დღევანდელ მოცემულობასთან მიმართებაში კონსოციონალური დემოკრატიული მოდელის თავსებადობა. რაც შეეხება კვლევის შეზღუდვებს, განსაკუთრებით დროის განზომილების და რესურსების კუთხით, ძირითადი ფოკუსირება საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკური დინამიკის სიღრმისეულ გაანალიზებაზე მოხდება. ანალიზის შედეგად კი უნდა დადგინდეს თუ რამდენად განხორციელებადია კონსოციონალური მოდელი დღევანდელი საქართველოს პირობებში.

საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი შეეცდება პასუხის გაცემას ქვემოთ მოყვანილ საკვლევ კითხვებს რომლებიც მოცემული ამოცანების გადასაჭრელად იქნა შემუშავებული:

- *რამდენად თავსებადია საქართველოსთვის კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი?*
- *რა გარემოებები შეიძლება უშლიდეს ან უწყობდეს ხელს საქართველოში კონსოციონალური მიდგომების დამკვიდრებას?*

შესაბამისად, ჰიპოთეზები, რომელიც აღნიშნული კვლევის მიმდინარეობისას უნდა შემოწმდეს, შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი:

ჰიპოთეზა I. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და საშინაო/საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი საქართველოსთვის შეუთავსებელია.

ჰიპოთეზა II. კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის საქართველოს დღევანდელ მოცემულობასთან შეუთავსებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს შემდგომი საშინაო და საგარეო ფაქტორებით: გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები; საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის გამოცდილება; საქართველოს საგარეო კურსის მიმართ რუსეთის ამჟამინდელი მტრული სამეზობლო პოლიტიკა.

მოცემული ჰიპოთეზების ვარაუდის საშუალებას იძლევა შემდეგი გარემოებები რომლებიც სამი ძირითადი არგუმენტის სახით ჩამოვაცალიბეთ: **გადაუჭრელი ეთნიკური კონფლიქტები**. საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან ვერ იქნება თავსებადი კონსოციონალური დემოკრატიის კიდევ ერთი ფუნდამენტური მიდგომა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის დანაწევრების სანაცვლოდ კონფლიქტში ჩართულ პოლიტიკურ ელიტებს შორის საყოველთაო თანხმობის მიღწევას ძალაუფლების პროპორციულად გაზიარებაზე. ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს საქართველოს და ორ არაღიარებულ ავტონომიურ ერთეულს შორის მიმდინარე ჯერ კიდევ გადაუჭრელი მწვავე ეთნო-კონფლიქტური ურთიერთობები;

საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის შედეგები. ფედერალიზმი, როგორც კონსოციონალური დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიდგომა, ვერ იქნება მიზანშეწონილი ქვეყნის ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან. ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს საქართველოს საბჭოთა ტიპის ეთნო-ფედერალიზმის მიხედვით სუვერენულ ერთეულებად დაყოფის მავნე გამოცდილება, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სუვერენიტეტს; შემუშავებული არგუმენტების მიხედვით არსებობს იმის ვარაუდი რომ აღნიშნული გარემოებები, გარკვეული ალბათობით, უარყოფითად იმოქმედებს კონფლიქტების დარეგულირების ისეთი პრაქტიკის საქართველოსთან თავსებადობაზე როგორც კონსოციონალური დემოკრატიის მოდელია.

საგარეო ინტერვენცია. კონსოციონალური დემოკრატიის მორიგი ერთ-ერთი ფუნდამენტური მიდგომის მიხედვით უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს ან ავტონომიის უფლების მინიჭება, ვერ იქნება თავსებადი საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან. ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს საქართველოს საგარეო კურსის მიმართ რუსეთის ამჟამინდელი მტრული სამეზობლო პოლიტიკა, რაც ხშირად სეცესიური ტენდენციების წაქეზებაში ვლინდება.

კვლევის თეორიული ჩარჩო

გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული კვლევის საკითხი ზოგადად მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის სფეროს მოიცავს, ხოლო უფრო კონკრეტულად საკვლევი პრობლემის ძირითადი არსი საქართველოში დღემდე არსებულ უმცირესობათა ჯგუფების მშვიდობიანი პოლიტიკური თანაარსებობის (ან აკომოდაციის) და ინტეგრაციის საკითხებს ეხება, აღნიშნულ ნაშრომში ძირითადად ვიხელმძღვანელებ იმ ცნებებითა და თეორიული წანამდვრებით, რომლებიც უკავშირდება შესაბამის ლიტერატურას ეთნიკურად დაყოფილ ქვეყნებში პოსტსაბჭოთა ტრანზიციებს და ტრანსფორმაციებს, კონფლიქტების მართვას და გადაჭრას, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და დემოკრატიზაციას (აღნიშნული ლიტერატურის და შესაბამისი სამეცნიერო ავტორების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ლიტერატურის მიმოხილვის ქვეთავი და ნაშრომის პირველი თავი სადაც კონსოციონალიზმის თეორიული ასპექტებია მიმოხილული).

მამასადამე, ეს სადისერტაციო ნაშრომი ესწრაფვის თავისი წვლილი შეიტანოს ეთნიკურად დაყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პოლიტიკური აკომოდაციის (მშვიდობიანი თანაარსებობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარება), სამოქალაქო ინტეგრაციის და მშვიდობიან დემოკრატიული კონსოლიდაციის საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ცოდნის დაგროვებაში. გარდა არსებულ სამეცნიერო და თეორიულ დებატებში თავისი წვლილის შეტანისა, რომელიც დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში ძალაუფლების გაზიარების საკითხების მოიცავს, აღნიშნული კვლევა ისწრაფვის ასევე რომ გამოყენებული იყოს როგორც ერთგვარი ანალიტიკური წყარო იმ მეცნიერების, ექსპერტების თუ პოლიტიკური მოღვაწეებისთვის (როგორც საქართველოში ისე ვთქვათ უკრაინაში, მოლდოვაში თუ ცენტრალური აზიის ქვეყნებში), რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელი შეუწყონ თავიანთ დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში დემოკრატიის კონსოლიდაციას, ძალაუფლების გაზიარებას და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანია მიზეზშედეგობრივი ანალიზის მეშვეობით დადგინდეს მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციის პერსპექტივებთან კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის თავსებადობა. აღნიშნული კვლევისთვის საქართველო შეირჩა, როგორც მულტი-ეთნიკური (ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებული სახელმწიფო) და მრავალკულტურული (მაგალითად, საქართველოში მცხოვრები რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები) პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაგალითი. შესაბამისად, საკვლევი საკითხების სამეცნიერო საზღვრები და ამოცანები ძირითადად დაკავშირებულია კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრის თეორიის (კონსოციონალიზმი) კონკრეტული შემთხვევის მახასიათებლებთან თავსებადობის შემოწმებასთან.

ემპირიულ მონაცემთა შეგროვება და დამუშავება

კვლევის სირთულიდან და დროის შეზღუდულობიდან გამომდინარე, თეზისის წერის პროცესი სამ ძირითად ფაზად დაიყო. კვლევის პირველ ფაზაში ყურადღება დაეთმო შესავალი ნაწილის შემუშავებას. მეორე ფაზა, ძირითადად, ფოკუსირებული იყო კვლევისთვის რელევანტური მონაცემების მოგროვებაზე, დამუშავებასა და მათ საბოლოო ანალიზზე. რაც შეეხება ბოლო, მესამე ფაზას, კვლევის პროცესი დასრულდა ემპირიული მონაცემების თეორიულ საფუძვლებთან სინთეზირების მეშვეობით საბოლოო მიგნებების, დასკვნებისა და შედეგების ფორმულირებითა და შემუშავებით.

მონაცემთა შეგროვების ეტაპზე მეტწილად თვისებრივი კვლევის ხერხების გამოყენებით მოხდა შესაბამისი ემპირიული მონაცემების მოპოვება. შესაბამისად, პროცესის მიმდინარეობისას მოგროვდა საკვლევ კითხვებთან და ჰიპოთეზებთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემები, როგორც პირველად, ისე მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით.

გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანებიდან (ჰიპოთეზების დატესტვა და საკვლევ კითხვებისთვის შესაბამისი არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად სათანადო პასუხების მოძიება), სტრუქტურული და ნახევრად სტრუქტურული

ინტერვიუების ხერხების გამოყენებით მოვიძიე და გავაანალიზე პირველად წყაროებზე დაფუძნებული მონაცემები.

რაც შეეხება კვლევისთვის დაგეგმილ შემდგომ ნაბიჯებსა თუ ხერხებს, რომლებიც შესაბამისი მონაცემების მოგროვებისთვის იქნა გადადგმული, უპირველეს ყოვლისა შესაბამისი ელექტრონული ბაზების, ბიბლიოთეკებისა თუ არქივების გამოყენებით მოძიებულ იქნა შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაცია, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო აქტები და კვლევები. გარდა ამისა, ამ ეტაპისთვის მოხდა აღნიშნული დარგის სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებიდან მოპოვებული მასალის, სამეცნიერო ანალიტიკური კვლევების, გამოკითხვებისა და წიგნების მოძიება, მათი შემდგომი დამუშავება და სიღრმისეული ანალიზი.

რაც შეეხება მონაცემთა პირველად წყაროებს და მათი მოძიების სათანადო ხერხებს, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სათანადოდ დაგეგმილი სულ თორმეტი ნახევრად-სტრუქტურირებული, ჩაღრმავებული (20-40 წუთიანი) და პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით შევაგროვე მონაცემები იმ ადგილობრივი ექსპერტებისგან, მეცნიერებისგან და პოლიტიკოსებისგან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ამ საკითხების გადაჭრასა და ქვეყნის მშვიდობანი და დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესების ხელშეწყობაში. ინტერვიუსთვის შერჩეულ პოლიტიკურ პარტიებს რაც შეეხება, გამოვიკითხე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, პატრიოტთა ალიანსი). თითოეული პარტიიდან მოხდა თითო წარმომადგენელთან ინტერვიუს ჩაწერა. აღმასრულებელი ორგანოდან ინტერვიუს ჩაწერა მოხდა შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან. აკადემიური სფეროდან ინტერვიუსთვის გამოვიკითხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორი პროფესორი. გარდა ამისა, ინტერვიუების ჩაწერა განხორციელდა შემდეგი სამოქალაქო და არსამთავრობო ორგანიზაციების თითო წარმომადგენელთან: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აშშ-ს

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), უფლებადამცველი ორგანიზაციები - „მრავალეროვანი საქართველო“ და „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“ (CIF).

როგორც პირველად, ისე მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით, მოვიძიე მონაცემები. შემდეგ ეტაპზე მოვახდინე შეგროვებული მონაცემების კოდირება, კლასიფიკაცია და საბოლოო ანალიზი. სადოქტორო კვლევის ფინალური ეტაპისთვის მთავარი ამოცანა დისკუსიისა და დასკვნების შემუშავება იყო. ეს პროცესი თავის მხრივ გულისხმობს შესაბამისი თეორიული ცოდნის, წინასწარი დასკვნების და ემპირიულ მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული მიგნებების სინთეზირებას.

შემთხვევის შესწავლა, პროცესის რეკონსტრუირება, შედარების მეთოდი

აღნიშნულ კვლევაში, საქართველოს მაგალითის სიღრმისეული განხილვას გარდა, შედარებით მოკლედ, ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითიც არის შესწავლილი და განხილული. მეთოდოლოგია, რომელიც კონსოციონალიზმის შესახებ არსებული თეორიის გადამოწმებისთვის და გაუმჯობესებისთვის შეირჩა, ძირითადად ისეთ თვისებრივ მეთოდებს ეყრდნობა როგორებიცაა შემთხვევის შესწავლა თეორიის გადამოწმების მიზნით, პროცესის რეკონსტრუირება და შედარების მეთოდი.

გარდა ამისა, საკვლევ კითხვაზე ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხების შემუშავებისთვის გამოვიყენე კაუზალური და შედარების კვლევის მიდგომები. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზანშეწონილად მივიჩნეო რადგან უფრო უკეთ შემესწავლა მკვეთრად დაყოფილი საზოგადოებების მქონე მრავალეთნიკურ ქვეყანაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონფლიქტების გადაჭრის ისეთ ინსტიტუციურ მიდგომის, როგორც კონსოციონალური დემოკრატიული მოდელია, ისეთ შედეგებთან როგორც არის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და სამოქალაქო ინტეგრაცია.

შემთხვევის შესწავლის სტრატეგია

აღნიშნული კვლევის მეცნიერული მნიშვნელობა მდგომარეობს კონკრეტული შემთხვევითი მაგალითის ემპირიული გამოკვლევის მეშვეობით კონსოციონალიზმის შესახებ არსებული თეორიის გაუმჯობესებაში და შეფასებაში. შესაბამისად, საქართველო შევარჩიე როგორც ამ კვლევისათვის შესაფერისი კონკრეტული შემთხვევა

გამომდინარე შემდეგი მახასიათებლებიდან: დაყოფილი საზოგადოებები, არასტაბილური დემოკრატიზაციის პროცესები, გლობალური და რეგიონალური ზესახელმწიფოების თუ ძალების გეოპოლიტიკური ინტერესები და მათი ზეგავლენა, უმცირესობათა ჯგუფების პოლიტიკური თანაცხოვრების და ინტეგრაციის საკითხების აქტუალობა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გამოცდილებები.

შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგიის გამოყენების მიზანშეწონილობას რაც შეეხება, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ თანდათანობით უფრო მეტი და მეტი სოციალური მეცნიერების მკვლევარი მიიჩნევს, რომ შემთხვევის ანალიზის მიდგომა წარმოადგენს ჭეშმარიტ მეთოდოლოგიას, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება რაოდენობრივ კვლევით მეთოდებს. ამის მიზეზია შემთხვევის ანალიზისთვის შემუშავებული სანდო დედუქციური სტანდარტები და წესები რის საშუალებითაც ხდება ამ კონკრეტულ სამეცნიერო სფეროში ხარისხიანი სამეცნიერო ნაშრომის მოთხოვნების დაკმაყოფილება (Levy, 2009). მაგალითად, შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგიურ უპირატესობებს რაც შეეხებათ, შესაძლებელია სამი ძირითადი ასპექტის ჩამოთვლა, ესენია: საკვლევი საკითხის სიღრმისეული წვდომა/გაგება, კონკრეტული მოვლენის დეტალური აღწერა/ანალიზი, და შიდა ვალიდობა (Barrington, Bosia, Bruhn, Giaimo, & McHenry, 2010).

აღსანიშნავია ასევე რომ შემთხვევის შესწავლის მეთოდოლოგია წარმოადგენს ლაიპჰარტის (Arend Lijphart, 1971) და ეკშტეინის (Harry Eckstein, 1975) კატეგორიების კომბინაციას რომლებიც დღემდე საკმაოდ გავლენიან მიდგომებად ითვლება (Levy, 2009). კვლევაში დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შერჩეულ იქნა შემთხვევის შესწავლის სტრატეგიები. აღნიშნული კვლევისთვის კონკრეტულად მნიშვნელოვანია გამოიყოს ისეთი მიდგომების გამოყენება როგორებიცაა დევიანტური შემთხვევის შესწავლის სტრატეგია და შემთხვევის შესწავლა თეორიის გადამოწმების მიზნით.

მაგალითად, დევიანტური შემთხვევის ანალიზი ფოკუსირებულია დამკვიდრებულ თეორიულ განზოგადოებებში ანომალური შემთხვევების ემპირიული შესწავლაზე. შესაბამისად, დევიანტური შემთხვევის ანალიზის მიზანია ახსნას

ანომალიური შემთხვევები, რათა გაუმჯობესდეს ის თეორია რომელმაც ვერ შეძლო ამგვარი ანომალიის განჭვრეტა (Levy, 2009). ხოლო, შემთხვევის შესწავლა თეორიის გადამოწმების მიზნით არამარტო ამოწმებს ჰიპოთეზებს და თეორიებს არამედ ხელს უწყობს ცალკეული ისტორიული ეპიზოდის ახსნას და წვლილი შეაქვს ჰიპოთეზების გენერირებაში (Levy, 2009). შესაბამისად, საქართველო შესაძლოა განვიხილოთ როგორც კონსოციონალური თეორიისთვის შესაფერისი დევიანტური შემთხვევა, იქიდან გამომდინარე რომ კონსოციონალიზმის შესახებ არსებული ლიტერატურა სრულყოფილად და ამომწურავად არ ასახავს საქართველოს და მის მსგავს პოსტსაბჭოთა შემთხვევებს სადაც საზოგადოება ასევე დაყოფილია განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფებად და არსებული კონფლიქტების გადაჭრის მოდელების ძიებაშია. აქედან გამომდინარე, ჩემს სადოქტორო ნაშრომში საქართველოს შემთხვევის შესწავლა კონსოციონალური თეორიის გადამოწმების და განახლების მიზნითაც არის განპირობებული.

პროცესის რეკონსტრუირების მეთოდი

რაც შეეხება კონკრეტულ სამეცნიერო მეთოდს რომლის მეშვეობითაც არგუმენტირებული პასუხი უნდა მოიძებნოს კვლევის მთავარ კითხვაზე თუ რატომ შეიძლება ვერ აღმოჩნდეს თავსებადი კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი საქართველოში დემოკრატიული სტაბილურობის დღევანდელ მოცემულობასთან, მიზანშეწონილად ჩავთვალე გამომეყენებინა დედუქციური და ინდუქციური მიდგომები რომელთა საშუალებითაც დაიტესტა მოცემული ჰიპოთეზები. დედუქციურ მიდგომებში იგულისხმება არსებული თეორიების (მაგ., შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიებით) გამოყენების მიხედვით კონკრეტული შემთხვევის მიმართ დასკვნების გამოტანა. რაც შეეხება ინდუქციურ მიდგომებს, აქ იგულისხმება ინტერვიუებზე დაყრდნობით საკვლევი ფენომენის მიმართ გამოტანილი მიგნებებისა და დასკვნების შემუშავება.

გარდა ამისა, მოვლენებსა და შედეგებს შორის არსებული შუალედური კაუზალური მექანიზმები გამოსავლენად (Levy, 2009) აღნიშნულ კვლევაში გამოვიყენე

პროცესის რეკონსტრუირების მეთოდი. პროცესის რეკონსტრუირების მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს ამ მეთოდის შესაძლებლობიდან გადაამოწმოს გარკვეული თეორიული მტკიცებულებები, კერძოდ თუ რამდენად თავსებადია კონსოციონალური მოდელი საქართველოს დემოკრატიის სტაბილურობასთან მიმართებაში.

მეტიც, კვლევაში პროცესის რეკონსტრუირების მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია ასევე მიზეზშედეგობრივი მიმართების დასადგენად. მიზეზშედეგობრივი მიმართების დადგენა კი გულისხმობს იმ საწყისი პირობების და კაუზალური პროცესების იდენტიფიცირებას რომლებიც საკვლევი ფენომენის ახსნას განაპირობებენ (ლიტლი, 2013).

მაგალითად, აღნიშნულ კვლევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები კონსოციონალიზმის მახასიათებელ ცვლადებს (როგორებიცაა: პოლიტიკურ ელიტებს შორის ძალაუფლების გაზიარების შესაძლებლობები, ვეტოს უფლება და ავტონომია/ფედერალიზმი) და საქართველოს შემთხვევის სპეციფიკურ მახასიათებლებთან შორის (როგორებიცაა: საბჭოთა ტიპის ეთნო-ფედერალიზმის უარყოფითი გამოცდილებები, გადაუჭრელი კონფლიქტები, ევროინტეგრაცია და რუსეთის ფაქტორი).

ამ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შემთხვევის შესწავლის პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენება პროცესის რეკონსტრუირების მეთოდი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი კაუზალური მექანიზმების დადგენას და სავარაუდოდ, გაზრდის მიგნებების, ვარაუდების და დასკვნების ვალიდობას (George & Bennett, 2005).

რატომ შედარების მეთოდი?

ჯონ სტიუარტ მილის (John Stuart Mill) (ლიტლი, 2013) განსხვავების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა იმ აუცილებელი და საკმარისი პირობების დადგენა, რომლებმაც საქართველოსთან მიმართებაში კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის დემოკრატიული სტაბილურობის თავსებადობა-არათავსებადების მეცნიერულ ახსნას

შეუწყო ხელი. მაგალითად, საქართველოსთან მიმართებაში ამ მეთოდის საშუალებით გახდა შესაძლებელი ისეთი ინდიკატორების შემოწმება, როგორებიცაა ქვეყნის საზღვრების ერთიანობა, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, სეცესიის და კონფლიქტების ხელახლა გაღვივების საფრთხეები.

აღნიშნული კვლევისთვის შედარების მეთოდი შეირჩა იმ ამოცანიდან გამომდინარე, რომ დადგინდეს თუ რამდენად აღმოჩნდა ან ვერ აღმოჩნდა კონსოციონალური მოდელი თავსებადი მრავალეთნიკურ და მცირე ზომის ქვეყანაში მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის. შესაბამისად, სხვადასხვა დაყოფილი საზოგადოების მქონე ქვეყნების კონსოციალურ გამოცდილებებზე დაყრდნობით, შედარების მეთოდის საშუალებით გამოვლინდა თუ რამდენად დამაჯერებელია ან მიზანშეწონილია კონსოციონალური მოდელის გამოყენება საქართველოს სტაბილურობასთან მიმართებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი თუ რატომ იქნა შედარების მეთოდი ამ კვლევისთვის შერჩეული უკავშირდება იმ ხარვეზების და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მცდელობებს, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ კვლევის მეთოდებთან როგორებიცაა ცალკეული შემთხვევის შესწავლა და რაოდენობრივი ანალიზი. უფრო კონკრეტულად, რამდენადაც ცნობილია ცალკეული შემთხვევის კვლევისას მცირდება განზოგადების შესაძლებლობა, ხოლო რაოდენობრივი ანალიზის დროს ძნელია დადგინდეს სიღრმისეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ცვლადებს შორის.

შედარებითი კვლევის საზღვრები

გამომდინარე იმ კვლევის ძირითადი ამოცანიდან რომელიც კონსოციონალური მოდელის თავსებადობის შესწავლას გულისხმობს, კვლევა შედარებით ანალიზსაც მოიცავს. შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიულ სტაბილურობასთან კონსოციონალურ მოდელის თავსებადობის განხილვისას მიმოვიხილე ყოფილი იუგოსლავიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევა. ასევე, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, კონსოციონალიზმთან მიმართებაში,

შესაძლებელი გახდა პარალელების გავლება ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არიან კვიპროსი, ლიბანი, ისრაელი, ჩრდილოეთ ირლანდია, ნიგერია და სამხრეთ აფრიკა.

გარდა ამისა, შედარებითი ანალიზის გამოყენებით დავადგინე ის აუცილებელი პირობები, ცვლადები და ინდიკატორები რის მიხედვითაც შესაძლებელია შემოწმდეს კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის საქართველოს დემოკრატიულ სტაბილურობასთან თავსებადობა. შედარებითი ანალიზის გამოყენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მდგომარეობდა იმაში რომ დამედგინა თუ რამდენად აღმოჩნდა კონსოციონალიზმი ეფექტური და თავსებადი დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნების პოლიტიკურ თუ დემოკრატიული სტაბილურობის უზრუნველყოფასთან. გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით უკეთ გამოიკვეთა თუ რა პირობებმა შეუწყო ან შეუშალა ხელი მოცემული მოდელის ამგვარ ქვეყნებში წარმატებულ განხორციელებას.

რაც შეეხება იმ საერთო მახასიათებლებს რომლებიც საქართველოს და ბოსნია-ჰერცეგოვინას ერთმანეთთან აკავშირებთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ორი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცივი ომის დასრულების შემდგომ შეიქმნა. შესაბამისად, ამ ორი მრავალეროვნული თუ მრავალეთნიკური სახელმწიფოს შექმნა, დიდი და საშუალო ზომის საკავშირო გაერთიანებების, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის, დამოუკიდებელ ქვეყნებად დაშლას უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც რომ როგორც საბჭოთა კავშირი ისე იუგოსლავიაც ეთნო-ფედერალური სისტემის მიხედვით იყვნენ მოწყობილნი, სადაც ტერიტორიული ავტონომიები ეთნოსების მიხედვით განისაზღვრებოდა (Papagianni, 2006). შეგვიძლია ასევე აღვნიშნოთ, რომ ამ ქვეყნებს ერთმანეთთან კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის ცხოვრების გამოცდილებებიც აკავშირებთ (თუმცა განსხვავებული დოზით და ინტენსივობით, რადგან იუგოსლავია არ შედიოდა საბჭოთა კავშირში და შესაბამისად ნაკლებად განიცდიდა იმპერიულ ჩარევას).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის არსებული საერთო მახასიათებელი მდგომარეობს ასევე მათ მრავალეთნიკურობაში. მიუხედავად როგორც ტერიტორიულად ისე მოსახლეობის კუთხით ამ ქვეყნების მცირე

ზომისა, ეს ქვეყნები ხასიათდებიან ეთნიკური ნიშნის მიხედვით მძაფრად დაყოფილი საზოგადოებებით. შესაბამისად, თეორიულად თუ პრაქტიკულად, კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი შემუშავებულია ამგვარი ტიპის ქვეყნებისთვის, რადგან მიუხედავად ასეთი ფრაგმენტაციისა, ამ ქვეყნებში იყოს შესაძლებელი პოლიტიკური და დემოკრატიული სტაბილურობის მიღწევა ქვეყნის დანაწევრების და სისხლისმღვრელი კონფლიქტების გაღვივების გარეშე.

მნიშვნელოვანი მსგავსება საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის მდგომარეობს იმაშიც რომ მსგავსი ტიპის მცირე ზომის ქვეყნები, მეტ-ნაკლები ინტენსივობით და სხვაობით, ძლიერი საერთაშორისო და გლობალური აქტორების მხრიდან განიცდიან მძლავრ ზეგავლენებს. საერთაშორისო და გლობალურ აქტორებში მოიაზრება ისეთი გავლენიანი ქვეყნები და ორგანიზაციები როგორებიცაა აშშ, რუსეთი, გაერო, ევროკავშირი, ეუთო და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელი, რითაც შეგვიძლია ეს ქვეყნები ერთმანეთს შევადაროთ არის მწვავე ეთნიკური კონფლიქტების გამოცდილება და ამ კონფლიქტების შედეგები ამ ქვეყნების დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზე.

კვლევაში გამოყენებული ცნებების კონცეპტუალიზაცია: კონსოციონალური დემოკრატია, სოციალური ფრაგმენტაცია, პოლიტიკური აკომოდაცია და დემოკრატიული სტაბილურობა

იმისთვის, რომ მეტი სიცხადე და კონკრეტულობა ახლდეს აღნიშნულ სადოქტორო კვლევას, აუცილებელია, ნათლად განიმარტოს, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება კვლევაში გამოყენებულ ისეთ ძირითად აკადემიურ ტერმინებში, როგორებიცაა კონსოციონალიზმი, სოციალური ფრაგმენტაცია, პოლიტიკური აკომოდაცია და დემოკრატიული სტაბილურობა. მეტიც, ტერმინების ამგვარი განმარტებები ნათელს მოჰფენს სათქმელს და, შესაბამისად, მკითხველს გაუადვილებს იმის აღქმას, თუ კონკრეტულად რა ძირითადი საკითხების შესახებ კეთდება კვლევა, რომელია დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი, რომელ ძირითად საკითხებზე

უნდა გაკეთდეს აქცენტი, როგორ უნდა შემოწმდეს შესაბამისი ცვლადები და ინდიკატორები ობიექტური დასკვნების მიღებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი კონსოციონალიზმი (როგორც თეორიული და ემპირიული მოცემულობა) უფრო ფართოდ იქნება განხილული თეზისის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, საზომი ინდიკატორების გამოკვეთის მიზნით მოკლედ მაინც საჭიროებს კონცეპტუალიზაციას. შესაბამისად აღნიშნული ტერმინი ამ ნაშრომში შესაძლოა, განისაზღვროს, როგორც კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მოდელთაგანი, რომელიც მრავალფეროვან, დაყოფილ საზოგადოებებში პოლიტიკური აკომოდაციისთვის გამოიყენება.

გამომდინარე აქედან, კონსოციონალიზმის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც მკვეთრად დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში საკითხი ძალაუფლების გაზიარებას ან განაწილებას ეხება, კონსოციალური დემოკრატიის მოდელი ხელს უწყობს, განსაკუთრებით პოლიტიკური ელიტების დონეზე, ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის საერთო თანხმობის მიღწევას პოლიტიკური ძალაუფლების თანაბრად გადანაწილების გზით.

შესაბამისად, კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი განსხვავდება ცენტრალიზებული და მაჟორიტარული მიდგომებისგან იმით რომ ცენტრალიზებულ და მაჟორიტარულ პოლიტიკურ სისტემებში პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლა მეტწილად ხასიათდება უკომპრომისო შეჯიბრობითობითა და იმგვარი შედეგებით როდესაც გამარჯვებული მხარე იღებს ყველაფერს, ანუ ძალაუფლების თითქმის ყველა ბერკეტს, ხოლო დამარცხებული მხარე ფაქტობრივად არაფერს (Deschouwer & Martina, 2012).

გარდა ამისა, ისეთი სამეცნიერო ტერმინის კონცეპტუალიზაცია, როგორც კონსოციონალური დემოკრატიის მოდელია, ამ შემთხვევის მაგალითის კვლევაში, მოხდება ლაიპჰარტის კონსოციონალიზმის კონცეფციის ფორმულირების მიხედვით. შესაბამისად, ლაიპჰარტი კონსოციონალიზმს შემდეგ ოთხ ძირითად გარემოებას და მახასიათებლებს უკავშირებს: ელიტებს შორის ძალაუფლების პროპორციულად გაზიარებაზე პოლიტიკური თანხმობა, პროპორციული საარჩევნო სისტემა,

უმცირესობების ჯგუფებისთვის ავტონომიის ან ვეტოს უფლების მინიჭება და მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია (Lijphart, 2008).

სოციალური ფრაგმენტაცია, როგორც კულტურული ისე სტრუქტურული გაგებით, გამოიხატება სამთავრობო სტრუქტურის ფორმირების საკითხებზე კონსენსუსის არარსებობით (Lijphart, 2008). შესაბამისად, სოციალური ფრაგმენტაციის კონცეფცია უკავშირდება ღრმად დაყოფილი საზოგადოებების არსებობას (Lane & Ersson, 2000). ხოლო, მაღალი ხარისხის ფრაგმენტაცია, რომელიც გამოიხატება მწვავე ურთიერთ-დაპირისპირებებში და პოლარიზაციაში, ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკური არასტაბილურობის გამოვლინებებს როგორებიცაა ხშირი სამთავრობო კრიზისები, საპროტესტო აქციები და პოლიტიკური ძალადობა (Lane & Ersson, 2000).

სიტყვა აკომოდაცია, ბრაიან ბარის მიხედვით, საკმაოდ ფართო გამოყენების ცნებაა და ზოგადად ნებისმიერი სახის შეთანხმებას, მშვიდობიან თანაარსებობას ან დაპირისპირებების მშვიდობიან მოგვარებას გულისხმობს (Barry, 1975). მაგალითად, ნიდერლანდების პოლიტიკა აკომოდაციას გულისხმობს, რაც ამგვარი პოლიტიკის წარმატების საიდუმლოებაა. შესაბამისად, ტერმინი აკომოდაცია ამ შემთხვევაში გამოიყენება ისეთი შიდა საზოგადოებრივი დაპირისპირებების და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში სადაც კონსენსუსი მინიმალურია (Barry, 1975).

რაც შეეხება პოლიტიკური აკომოდაციის განსაზღვრას, ლაიპჰარტი ამ ტერმინის იდეაში ძირითადად გულისხმობს იმას რომ როდესაც რომელიმე ქვეყანა დაყოფილია მძაფრად ფრაგმენტირებულ თუ განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებად, განსაკუთრებით ისეთი იდენტობის მახასიათებელი ნიშნებით, როგორებიცაა რასა, ეთნოსი, რელიგია, კლასი, კულტურა და ენა, არსებული დაპირისპირებები შესაძლებელია გადაიჭრას ქვეყნის დანაწევრების, ძალადობის ან ომების გარეშე პოლიტიკური აკომოდაციის მიდგომების გამოყენებით, რომელთა მიზანია საერთო თანხმობის მიღწევა ისე რომ ყველა დაპირისპირებული მხარის პირობები და ინტერესები გათვალისწინებული იქნას საერთო მმართველობის პროცესში.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებაც რომ, ამგვარი საყოველთაო შეთანხმება მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი და მიღწევადი, თუ განსხვავებული

სუბკულტურების და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებობს მინიმალური კონსენსუსი მაინც. განსაკუთრებით, ამგვარი კონსენსუსი ისეთ ძირეულ საკითხზე უნდა არსებობდეს, რომელიც ქვეყანაში არსებული ან მოსალოდნელი დემოკრატიული წყობის კონსოლიდირებას ან შენარჩუნებას გულისხმობს (Lijphart, 1968).

რაც შეეხება კონკრეტულად დემოკრატიული სტაბილურობის დეფინიციას და კონცეპტუალიზაციას, ეს ტერმინი ნებისმიერ ქვეყანასთან მიმართებაში შეიძლება განისაზღვროს როგორც ქვეყნის უნარი უზრუნველყოს სახელმწიფო სუვერენიტეტი და სამოქალაქო უსაფრთხოება ძირითადი ლიბერალური, დემოკრატიული და ადამიანის უფლებების პრინციპების დაცვით (Baglione, 2012). გამომდინარე აქედან, ისეთ ქვეყანაში როგორც საქართველოა, დემოკრატიული სტაბილურობის დონე შესაძლოა განისაზღვროს იმის მიხედვით თუ რამდენად არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები, მიუხედავად მათი სხვადასხვა ნიშნებით განსხვავებულობისა, აღჭურვილნი და უზრუნველყოფილნი იმ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით, რომლებიც უნივერსალური დემოკრატიული პრინციპების მიხედვით განისაზღვრება.

აგრეთვე, ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში პოლიტიკური სტაბილურობის განსაზღვრებისას უაღრესად მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ რამდენად დიდია აღნიშნულ სახელმწიფოში შიდა და გარე ძალადობრივი კონფლიქტების ხელახალი გაღვივების საფრთხე. გარდა ამისა, გამომდინარე იმ მიზნიდან, რომ კიდევ უფრო სიღრმისეულად შეფასდეს საქართველოში დემოკრატიული სტაბილურობის დონე, აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს, გამოიყენოს ისეთი ცვლადები და ინდიკატორები, რომლებიც სხვადასხვა კუთხით აფასებენ ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ხარისხს შემდეგი კრიტერიუმების საშუალებით: დემოკრატიული მმართველობა, საარჩევნო პროცესები და არჩევნები, სამოქალაქო საზოგადოება, მედიისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვებს რაც შეეხება, აღნიშნული ნაშრომი საკითხის შესწავლას საქართველოს შემთხვევის ანალიზის საფუძველზე ახორციელებს. თუმცა კვლევაში გარკვეულწილად შედარების მეთოდიც იქნება გამოყენებული. კერძოდ კი საქართველოს შემთხვევის შედარება ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მოხდა, განსაკუთრებით სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის მცდელობების კუთხით. რაც შეეხება დროის განზომილების კუთხით კვლევის შეზღუდვებს, ძირითადი ყურადღება დაეთმო საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკური (განსაკუთრებით ეთნოპოლიტიკის) დინამიკის სიღრმისეულ შესწავლას (ანუ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღევანდელობამდე, თითქმის 30 წლიანი პერიოდის გათვალისწინებით). ამას გარდა, მოცემული რეალობიდან გამომდინარე (ჯერ კიდევ მოუგვარებელი კონფლიქტები და შედეგად შექმნილი დაძაბული მდგომარეობა) ინტერვიუების მოგროვება ვერ მოხერხდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ტერიტორიებზე. ბოლოს, რაც შეეხება ინტერვიუსთვის შერჩეულ პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს, გამოიკითხა მხოლოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

ლიტერატურის მიმოხილვა

თავისი აქტუალობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს პოლიტიკური აკომოდაციის, სამოქალაქო ინტეგრაციის, დემოკრატიული კონსოლიდაციის და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ არსებულ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც ძირითადად ეთნიკურად დაყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ეხება. შესაბამისად, ეს კვლევა მეტწილად ხელმძღვანელობს იმ კონცეფციებით და თეორიული წანამძღვრებით, რომლებიც შესაბამის ლიტერატურაში იქნა მოძიებული. გამომდინარე აქედან, ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური აკომოდაციის და ინტეგრაციის შესახებ არსებული შემდეგი ლიტერატურა: Arend Lijphart, *Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration* (New Haven: Yale University Press, 1977); არენდ ლაიპჰარტის აღნიშნული ნაშრომის მიხედვით მოხდა ტერმინ კონსოციონალიზმის კონცეპტუალიზაცია, რის შედეგადაც გამოიკვეთა კონსოციონალური მიდგომის ოთხი ძირითადი მახასიათებელი: ელიტებს შორის ძალაუფლების პროპორციულად გაზიარებაზე პოლიტიკური თანხმობა, პროპორციული საარჩევნო სისტემა, უმცირესობების ჯგუფებისთვის ავტონომიის ან ვეტოს უფლების მინიჭება და მმართველობის სისტემის ფედერალიზაცია ან დეცენტრალიზაცია. ძალაუფლების გაზიარების შესახებ მოვიძიე ამ სფეროში (კონსოციონალიზმი) მოღვაწე ისეთი მოწინავე ავტორების ნაშრომებიც როგორებიც არიან Brendan O’Leary და John McGarry.

ნაშრომში გამოყენებულია ასევე ეთნიკური კონფლიქტების სფეროში მოღვაწე შემდეგი ცნობილი მკვლევრის, დონალდ ჰოროვიცის ნაშრომი: Donald L. Horowitz, *Ethnic Groups in Conflict* (Berkeley: University of California Press, 1985). რაც შეეხება დონალდ ჰოროვიცის აღნიშნულ ლიტერატურას, ამ კვლევაში პირველ რიგში მისი ეს ნაშრომი გამოყენებული იქნა კონსოციონალიზმის ალტერნატიული მოდელის წარმოსაჩენად. ამას გარდა, აღნიშნულ ნაშრომში, ჰოროვიცის მეორე წარმოდგენილი ხედვები და არგუმენტები რიგ შემთხვევებში კონსოციონალური მოდელის გასაკრიტიკებელადაც იქნა გამოყენებული. კონსოციონალური მოდელის კრიტიკულად შესაფასებლად ასევე გამოვიყენე Brian Barry-ის და Ian Lustick-ის არგუმენტები.

ასევე, აღნიშნული კვლევისთვის გამოყენებულია შესაბამისი ცნობილი ავტორების ლიტერატურა რომლებიც ეთნიკურად მრავალფეროვან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რთულ ტრანზიციის (გარდაქმნის) შედეგებს შეისწავლიან: Henry H. Hale, Cristopher Zurcher, James Hughes & Gwendolyn Sasse, Thomas de Waal, Jonathan Wheatly, Stephen Jones, Andrey Makarychev, გაია ნოდია, რევაზ გაჩეჩილაძე, Nicole Gallina, Cristofer Berglund and Timothy Blauvelt. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია იმ შესაბამისი ავტორების ლიტერატურაც რომლებიც საქართველოში დემოკრატიზაციის საკითხებს იკვლევენ: Lincoln A. Mitchell, მარინა მუსხელიშვილი. პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ევროინტეგრაციის საკითხების შესახებ არსებულ აკადემიურ ლიტერატურას რაც შეეხება აქ შემდეგი მკვლევრების ნაშრომები გამოვიყენე: Natalia Shapovalova და Richard Youngs. აგრეთვე, ეთნიკურ საკითხებს, იდენტობას და ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების მართვისა და გადაჭრის მწვავე საკითხების კუთხით არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას რაც შეეხება აქ მოვიძიე შემდეგი საერთაშორისო და ადგილობრივი მეცნიერების ნაშრომები: Donald Rothchild, Philip Roeder, Timothy D. Sisk, Stefan Wolff, Kristin M. Bakke, John O'Loughlin, Gerard Toal, Michael D. Ward, სალომე დუნდუა, დავით მაცაბერიძე, თორნიკე მეტრეველი, გიგა ზედანია. ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსოციონალური მოწყობის შემთხვევის განსახილველად, სხვა მნიშვნელოვან ავტორებთან ერთად გამოვიყენე Florian Bieber-ის აკადემიური შრომები.

გარდა ამისა, საქართველოსთან მიმართებაში, დემოკრატიის ხარისხის შესაფასებლად, ადამიანის უფლებების დარღვევების გამოსავლენად (მათ შორის ძალადობრივი ეთნოკონფლიქტების დროს და შედეგად) და სახელმწიფო მიდგომების შედეგების საკვლევად და ფაქტობრივი ინფორმაციის დასამოწმებლად, აღნიშნულ დისერტაციაში გამოვიყენე აღნიშნული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების დასკვნები და მოხსენებები: United Nations, Freedom House, Varieties of Democracy, the Economist Intelligence Unit's Democracy Index, Helsinki Watch, Human Rights Watch/Helsinki, European Centre for Minority Issues, Council of Europe, Georgian Institute of Politics, Open Society Georgia Foundation, Transparency International – Georgia.

ნაშრომის სტრუქტურა

თეზისის ორგანიზაციული სტრუქტურა სამ თავად დაიყო. პირველ თავში ძირითადი ყურადღება დაეთმო კვლევის შესაბამის ლიტერატურასთან დაკავშირებას და კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრას. უფრო კონკრეტულად, პირველი თავისთვის შემუშავდა კვლევის შესავალი სადაც ყურადღება გამახვილდა კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის აღწერაზე და მასთან თავსებადობის აუცილებელ პირობებზე.

შესავალ ნაწილში ასევე მიმოხილულია კვლევის თეორიული ჩარჩო, საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზები, ძირითადი ცვლადების კონცეპტუალიზაცია და განმარტება. გარდა ამისა, ამ ნაწილში მოხდა სადისერტაციო კვლევის საზღვრების, დიზაინის და მეთოდოლოგიის განსაზღვრა იმ მეთოდების წარმოჩინებით, რომლებიც გამოიყენება მონაცემების მოსაგროვებლად, დასახარისხებლად და გასაანალიზებლად.

გარდა ამისა, პირველ თავში მსჯელობა მიმართულია სხვადასხვა დაყოფილი საზოგადოების მქონე ქვეყნების დემოკრატიული სტაბილურობის პერსპექტივებთან მიმართებაში კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის თეორიულ და ემპირიულ კავშირზე. შესაბამისად ამ თავის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს კონსოციონალური დემოკრატიის მოდელთან თავსებადი აუცილებელი და საკმარისი პირობები.

იმ მიზნით რომ წარმოჩნდეს თუ როგორ შეძლებს საქართველოს მაგალითის შერჩევით აღნიშნული კვლევა კონსოციონალიზმის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოჩენილი ნაპრაღის შევსებას, ან თუნდაც კონსოციონალური თეორიის გადამოწმებას, პირველ თავში მიმოხილულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც ყურადღება გამახვილდა ლიტერატურაში აღმოჩენილ ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებსა და ხარვეზებზე.

მეორე თავის მთავარი მიზანია დადგინდეს არსებული მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებები და ფაქტორები რომლებიც ზემოქმედებენ პოსტსაბჭოთა საქართველოში პოლიტიკური აკომოდაციის და დემოკრატიული სტაბილურობის პერსპექტივებთან მიმართებაში. შესაბამისად, მეორე თავში განხილულია პოსტსაბჭოთა საქართველოს სტრუქტურული და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მახასიათებლები

და მათი ასახვა ქვეყნის დემოკრატიზაციასა და პოლიტიკურ სტაბილურობის პროცესებზე.

მეტიც, მეორე თავის დაყოფა მოხდა ოთხ ცალკეულ ქვეთავად სადაც თითოეულ ქვეთავში განხილული და შეფასებული იქნა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს სხვადასხვა რეჟიმების პირობებში სტრუქტურული მახასიათებლები (მაგ. საბჭოთა ტიპის ეთნო-ფედერალიზმი, გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები და ნეგატიური საგარეო ზეგავლენები) და პოლიტიკური გადაწყვეტილებები რომლებმაც ძლიერი გავლენა მოახდინეს და ახდენენ საქართველოში წარმატებული პოლიტიკური აკომოდაციის, სამოქალაქო ინტეგრაციის, სტაბილურობის და დემოკრატიული კონსოლიდაციის მიღწევის პერსპექტივებზე.

რაც შეეხება ბოლო მესამე თავს, კვლევის შედეგად მოძიებული მონაცემთა ანალიზის მოშველიებით, შემუშავდა მიგნებები, არგუმენტები და დასკვნები, იმ მიზნით, რომ დაბალანსებული, ლოგიკური, არგუმენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რატომ შეიძლება იყოს ან ვერ იყოს კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი თავსებადი საქართველოში დემოკრატიულ კონსოლიდაციის და სტაბილურობის მიღწევის პერსპექტივებთან მიმართებაში.

თავი პირველი: კონსოციონალური დემოკრატიის თეორიული ასპექტები

დღემდე უწყვეტად მიმდინარე სამეცნიერო დებატები იმის შესახებ თუ უკეთესი პოლიტიკური აკომოდაციის მისაღწევად რომელი კონფლიქტების გადაჭრის მოდელია თავსებადი ღრმად ფრაგმენტირებული საზოგადოებების მქონე ქვეყნებში, მიაწინებს ამ საკითხის აქტუალობაზე. შესაბამისად, ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ შედარებითი პოლიტიკის ვიწრო სამეცნიერო წრისთვის, არამედ ზოგადად იმ პოლიტიკოსებისა თუ მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც ისეთ ქვეყნებში მოღვაწეობენ და ცხოვრობენ, სადაც ეთნიკურ, რელიგიურ თუ ლინგვისტურ ნიადაგზე წარმოქმნილი მწვავე დაპირისპირებები და კონფლიქტები არსებობს.

1.1. კონფლიქტების გადაჭრა და დემოკრატიული სტაბილურობა

აღსანიშნავია რომ გაბრიელ ალმონდი (Almond, 1956), სეიმურ მარტინ ლიპსეტი (Lipset, 1959), რობერტ დალი (Dahl, 1971) არიან ის ძირითადი მკვლევრები, რომლებიც მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან და სამოციან წლებში აქტიურად იბიებდნენ და იკვლევდნენ იმ პირობებს და ფაქტორებს, რომლებიც აუცილებელია და საჭიროა პოლიტიკური სტაბილურობისთვის და დემოკრატიული სისტემის ხანგრძლივობისთვის (Lane & Ersson, 2000).

მაგალითად, ამგვარი კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობენ ცენტრისკენული დემოკრატიები, რომელთა რიცხვშიც მოიაზრება ანგლო-ამერიკული და სკანდინავიური მოდელები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ჰომოგენურ და სტაბილური დემოკრატიების. თუმცა ასევე არსებობენ ცენტრიდანული დემოკრატიებიც, რომლებიც გამოირჩევიან უფრო მეტი ფრაგმენტაციით და არასტაბილურობით, და რომლებიც უფრო მეტად გავრცელებულია კონტინენტურ ევროპაში (Lijphart, 2008). შესაბამისად, იმგვარ დევიანტურ შემთხვევებს რომლებიც მიეკუთვნებიან ფრაგმენტულ მაგრამ სტაბილურ დემოკრატიებს კონსოციონალური დემოკრატიები ეწოდებათ (Lijphart, 2008).

რაც შეეხება კონსოციონალიზმს, ანუ ძალაუფლების გაზიარების ცნებას, ეს თეორია ძირითადად ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ სათანადო პოლიტიკური მოწყობა ხელს შეუწყობს ისეთი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნას, რომელიც შეძლებს ცენტრიფუგული (ან ცენტრიდანული) ტენდენციების შეკავებას ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში (Sisk, 1996). ძალაუფლების გაზიარების იდეა, ზოგადად, ძალადობრივი კონფლიქტების არსებობის ისტორიულ გამოცდილებებს უკავშირდება. შესაბამისად, აღნიშნული იდეა ახდენს ან ხელს უწყობს ჯგუფთა შორის არსებულ უთანხმოებების მწვავე ძალადობრივ დაპირისპირებებში გადაზრდის პრევენციას (Sisk, 1996).

პოლიტიკურ და დემოკრატიულ სტაბილურობასთან მიმართებაში, ბევრი ცნობილი პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი მიიჩნევს რომ ამა თუ იმ დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა ჯგუფებში და ინდივიდებში არსებულ ზომიერ განწყობებზეა დამოკიდებული. ხოლო, განსხვავებული ინტერესებისა და შეხედულებების მქონე ჯგუფებში ამგვარი განწყობები ძირითადად ურთიერთ-გადამკვეთი მიკუთვნილობების შედეგად ყალიბდება (Lijphart, 2008). მაგალითად, ცნობილი პოლიტიკის მკვლევრის, სეიმურ მარტინ ლიპსეტის მტკიცებით, დემოკრატიის სტაბილურობის შანსი იზრდება იმის მიხედვით თუ რამდენად არიან საზოგადოებრივი ჯგუფები და ინდივიდები ურთიერთკავშირში ურთიერთ-გადამკვეთი პოლიტიკური კუთვნილებებით (იხ.(Lijphart, 2008)).

თავის მხრივ კი დაყოფილ საზოგადოებებში ურთიერთ-გადამკვეთი პოლიტიკური კუთვნილებები ხელს უწყობს სხვადასხვა იდენტობის მქონე ჯგუფების მშვიდობიან პოლიტიკურ აკომოდაციას (ანუ ძალაუფლების გაზიარებას, კონფლიქტების გადაჭრას და მშვიდობიან თანაცხოვრებას). რაც შეეხება პოლიტიკურ აკომოდაციას, შესაძლებელია სამი სახის მიდგომა გამოვყოთ. პირველი მიდგომა გულისხმობს ტერიტორიულ პლურალიზმს, ანუ ფედერალურ მოწყობას. მეორე მიდგომა, განსაკუთრებით კულტურული საკითხების ადმინისტრირებისთვის, კი მულტიკულტურალიზმს ეხება. შესაბამისად, მულტიკულტურალიზმის მიზანია, საერთო ინსტიტუტებში და თვითმმართველ ორგანოებში, სხვადასხვა იდენტობის მქონე

ჯგუფების პროპორციული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. ბოლოს, მესამე მიდგომა კონსოციონალიზმია, რომელიც ძალაუფლების ცენტრისკენულ გაზიარებას გულისხმობს (O'Leary, 2009).

ზემოთ ხსენებული ხანგრძლივად მიმდინარე დებატების შედეგად (როგორც აკადემიურ ისე პოლიტიკურ წრეებში) იმის შესახებ, თუ ძალაუფლების განაწილების, გადანაწილების, გაზიარების და დელეგირების რომელი მექანიზმი იქნება უფრო მეტად თავსებადი დაყოფილი საზოგადოებრივ ჯგუფების მქონე ქვეყნისთვის, ორი ძირითადი მიმართულება განისაზღვრა: ინტეგრაციული (მაგ., რესპუბლიკანიზმი) და აკომოდაციური (მაგ., კონსოციონალური და პლურალისტ ფედერალისტური) მიდგომები (O'Leary, 2009).

ზემოთ ნახსენები ორივე მიდგომა თავის თავში მოიაზრებს ყველა იმ ძირითად ლიბერალურ ღირებულებებს და პრინციპებს, რომლებიც გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობრივ და დისკრიმინაციულ მიდგომას უმცირესობათა ჯგუფების მიმართ. მიუხედავად ამისა, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ამ ორი ძალაუფლების განაწილების ხელშემწყობ მოდელს შორის არის დაყოფილ საზოგადოებებში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების მიმართ განსხვავებული შეხედულება.

კერძოდ, ინტეგრაციული ხედვის მიმდევრები, გამომდინარე იმ საფრთხეებიდან და არასტაბილურობიდან, რომლებსაც ისინი ხედავენ ორმაგი ან უფრო მეტი იდენტობის თანაარსებობის შემთხვევაში კონფლიქტების თავიდან აცილების ან საბოლოოდ გადაჭრის მიზნით, უფრო მეტად ისწრაფვიან, ხელი შეუწყონ სხვადასხვა იდენტობის მიხედვით დაყოფილ საზოგადოებისგან საერთო, ყოვლისმომცველი იდენტობის გარშემო გაერთიანებული საზოგადოების შექმნას.

ინტეგრაციონისტებსა და აკომოდაციონისტებს შორის არსებულ ხედვით განსხვავებებზე, ჯონ მაკგარი და ბრედან ო'ლეარი აღნიშნავენ რომ ინტეგრაციონისტებს, როგორც წესი, იდეალური სახელმწიფო წარმოუდგენიათ როგორც ერთიანი და განუყოფელი ერი-სახელმწიფოს სახით, რომლის შენებაც, იმ მიზნით რომ ჩაანაცვლოს უფრო მრავალფეროვანი წარსული, ან უკვე დასრულებულია ან ჯერ კიდევ შენების პროცესშია (McGarry & O'Leary, 2013). შესაბამისად, ინტეგრაციონისტების ხედვის

მიხედვით, ერები უნდა შეესაბამებოდნენ იმ სახელმწიფოებს და საზღვრებს სადაც ისინი ისტორიულად მოსახლეობენ. აქედან გამომდინარე, ინტეგრაციონისტები მიიჩნევენ, რომ ერები არ უნდა არსებობდნენ თავიანთი ისტორიული სახელმწიფო ტერიტორიების მიღმა, არც თუნდაც როგორც რეგიონები ან როგორც თემები უცხო სახელმწიფოში (McGarry & O'Leary, 2013).

აქედან გამომდინარე, ინტეგრაციონისტები, სახელმწიფოს შიგნით წამოჭრილ დესტაბილიზაციას და უსამართლობას ხშირად საერთო და ყოვლისმომცველი ეროვნული იდენტობის არარსებობას მიაკუთვნებენ, რაც თავის მხრივ როგორც წესი განპირობებულია მოძველებული და რადიკალური ეთნო-ნაციონალიზმით (McGarry & O'Leary, 2013). მეტიც, ინტეგრაციონისტებისთვის ულტრანაციონალისტური იდეოლოგიით მართული სახელმწიფოები, პოპულისტ-ნაციონალისტი პოლიტიკოსები და ირედენტისტული მისწრაფების მეზობელი სახელმწიფოები, განიხილება (იხ. როჯერ ბრუბაკერი, Rogers W. Brubaker) როგორც კონფლიქტების წარმოქმნის დესტრუქციულ, ურთიერთდაკავშირებულ მიზეზშედეგობრივ გარემო ფაქტორებად (McGarry & O'Leary, 2013).

შესაბამისად, ინტეგრაციონისტები მტკიცედ ეწინააღმდეგებიან უმცირესობების იმ ფორმებით პოლიტიკურ აკომოდაციას, ძალაუფლების გაზიარების იმგვარ პრაქტიკას, რაც გულისხმობს მათთვის ჯგუფური, კორპორატიული ან ტერიტორიული ავტონომიის მინიჭებას. ისინი ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობებსა და მათ მონათესავე მეზობელ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების ხელ შეწყობას (McGarry & O'Leary, 2013).

მაგალითად, რესპუბლიკანიზმის მომხრეები, რომლებიც მაჟორიტარული მიდგომების მეშვეობით დაყოფილ საზოგადოებებში ინტეგრაციის მიღწევას ცდილობენ, ეწინააღმდეგებიან საკითხის ჯგუფებთა უფლებების კუთხით გადაჭრას. განსხვავებით კონსოციონალური აკომოდაციის მომხრეებისა, ისინი მხარს უჭერენ ინდივიდების მიერ შედგენილ ერთი საერთო ერი-სახელმწიფოს იდეას, და ხელს უწყობენ ინტეგრაციულ პროცესებს როგორც ასიმილაციისკენ მიმართულ წინაპირობას. ამგვარი რესპუბლიკანიზმის მაგალითების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებებს თანამედროვე

საფრანგეთი და თურქეთი წარმოადგენენ. ხოლო, იაკობინიზმი და ქემალიზმი, შესაბამისად, მათი წინამორბედი მიდგომებია (O'Leary, 2009).

მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიასთან მიმართებაში, მოცემული რესპუბლიკანური ინტეგრაციის მომხრეები მიიჩნევენ რომ კონსოციონალური შეთანხმება, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში 1998 წლის 10 აპრილს იქნა მიღწეული, არ გამოიყურება დამაჯერებლად რადგან ირლანდია ერთიანი ერი-სახელმწიფოა (O'Leary, 2009). მსგავსი მოსაზრებებით, ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხთან მიმართებაში, სამოქალაქო ერთობის მომხრე რადიკალური ნაწილი მიიჩნევს რომ ცენტრალიზებულ კავშირს საფრთხე არ უნდა შეექმნას და ტერიტორიული თვითმმართველობის მინიჭება მინიმალური უნდა იყოს, ისე როგორც ეს ლონდონის ან უელსის შემთხვევებშია (O'Leary, 2009).

რაც შეეხება აკომოდაციონისტებს, ჯონ მაკგარი და ბრედან ო'ლეარის მიხედვით აკომოდაციონისტების ორი ჯგუფი არსებობს, კონსოციონალისტები და ფედერაციის მომხრე პლურალისტები (ან სხვაგვარად პლურალისტ ფედერალისტები) (McGarry & O'Leary, 2013). აკომოდაციონისტები ინტეგრაციონისტებთან ზოგადად თანხმდებიან იმაში, რომ კონფლიქტი გამოწვეულია მიკერძოებული და ეთნო-ცენტრისტული ხელისუფლებების მიერ, მაგრამ ვერ თანხმდებიან იმაში თუ როგორ უნდა მოგვარდეს უმცირესობების საკითხები მრავალეროვან სახელმწიფოებში (McGarry & O'Leary, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური კონსოციონალური თეორია 1960 და 1970-იან წლებში შემუშავდა რიგი აღიარებული მეცნიერების, მათ შორის, გერჰარდ ლემბრუხის (Gerhard Lembruch), იურგ შტეინერის (Jurg Steiner), სიდ ნოელის (Sid Noel), ერიკ ნორდლინგერის (Eric Nordlinger) და კენეტ მაკრაეს (Kenneth McRae) მიერ, ეს თეორია ყველაზე მეტად მაინც უკავშირდება არენდ ლაიპჰარტის (Arend Lijphart) ინოვაციურ ნაშრომს რომელიც ნიდერლანდების თავისებურ პოლიტიკურ მოწყობას აღწერს (McGarry & O'Leary, 2013). დაყოფილ საზოგადოებებში კონფლიქტების მოგვარების კუთხით, კონსოციონალური მოდელის მთავარი ინსტრუმენტია ურთიერთ-გადამკვეთი იდენტობების მქონე ჯგუფებისგან შემდგარი მმართველი კოალიციური ორგანოების შემუშავება (McGarry & O'Leary, 2013).

მაგრამ, კონსოციონალისტები, გარდა ძალაუფლების აღმასრულებელ ორგანოში კონსოციონალური გაზიარებისა, ითვალისწინებენ ასევე განსხვავებული იდენტობების მქონე ჯგუფებისთვის ავტონომიების (მაგ., ტერიტორიულ ან კორპორატიულ) მინიჭებასაც. მეტიც, კონსოციონალისტები მხარს უჭერენ უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას, და სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის ჯარშიც და ასევე სამართალდამცავ ორგანოებშიც, განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფების პროპორციულ წარმომადგენლობას (McGarry & O'Leary, 2013).

ინტეგრაციონისტებისგან განსხვავებით, ის მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომლებიც პოლიტიკური აკომოდაციის კონსოციონალურ ხედვას უფრო ემხრობიან (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იდენტობა გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, აღმოჩნდეს უფრო რეზისტენტული და მყარი ცვლილებებისთვის), გამოსავალს ხედავენ განსხვავებული იდენტობების ჯგუფებისგან შემდგარი საზოგადოების იმგვარ მოწყობაში და თანაცხოვრებაში, სადაც ორმაგი თუ უფრო მეტი იდენტობის მქონე ჯგუფები, მეტაფორულად რომ გამოვხატოთ, პროპორციული განაწილების პრინციპით თავიანთი იდენტობების მიხედვით განთავსდებიან მრავალ-ოთახიან პოლიტიკურ რეზიდენციებში (O'Leary, 2009).

თუმცა როგორც ჯონ მაკკარი და ბრედან ო'ლეარი კრიტიკულად მიანიშნებენ, კლასიკური კონსოციონალიზმის თეორიაც განსხვავებული იდენტობების საკითხების მოგვარებას მხოლოდ სახელმწიფოს შიდა ფარგლებში განიხილავს (McGarry & O'Leary, 2013). ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, როგორც ლაიპჰარტი ისე სხვა ცნობილი კონსოციონალისტები, არ განიხილავენ უმცირესობებს როგორც ეროვნულ უმცირესობებს, და ისინი ასევე არ განიხილავენ მათ როგორც სხვა ერების მონათესავე ნაწილებს, რომლებიც შესაძლოა არსებობენ მოსაზღვრე სახელმწიფოებში (McGarry & O'Leary, 2013). შესაბამისად, ლაიპჰარტისთვის, განსხვავებული ეროვნული იდენტობის მქონე ჯგუფები არ განიხილებიან როგორც ეროვნული უმცირესობების ჯგუფები, არამედ როგორც ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და კლასობრივი ნიშნით დაყოფილი ჯგუფები (McGarry & O'Leary, 2013).

განსხვავებით კონსოციონალისტებისგან, პლურალიზმის მომხრე ფედერალისტები (მაგ., ვილ კიმლიკა, Will Kymlicka), რიგ ქვეყნებს მოიაზრებენ რა როგორც მრავალეროვან სახელმწიფოებს უფრო მეტად ითვალისწინებენ ამგვარ ქვეყნებთან მიმართებაში ტერიტორიული ავტონომიების სხვადასხვა ფორმებით გამოყენების საჭიროებას. მათ შორის ავტონომიების ისეთი ფორმებით გამოყენებას როგორებიცაა მრავალეროვნული ფედერაციები. ხოლო, უნიტარული სახელმწიფოების შემთხვევაში, ისინი ემხრობიან დეცენტრალიზაციის ან დეცენტრალიზაციის მიდგომების გამოყენებას (McGarry & O'Leary, 2013).

1.2. კონსენსუალური (Consensus) და მაჟორიტარული (Majoritarian) მიდგომები

შედარებითი პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ჰოლანდიელი მკვლევრის, არენდ ლაიპჰარტის მიერ შემოთავაზებულ დემოკრატიულ მოდელთაგან ორი სახის მიდგომა შეიძლება გამოიკვეთოს, ერთი მაჟორიტარული და მეორე კონსენსუალური (Lijphart, 2012). უფრო სიღრმისეულად თუ ჩავეძიებთ მათ, განსაკუთრებით კონსენსუალურ მიდგომას, აღმოჩნდება, რომ კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი, რომელიც პოლიტიკურ აკომოდაციას (ან ძალაუფლების გაზიარებას, მშვიდობიანი გზებით კონფლიქტების მოგვარებას და თანაცხოვრებას) გულისხმობს, კონსენსუალური დემოკრატიის მოდელთან ბევრი საერთო მახასიათებლით არის დაკავშირებული (Lijphart, 2008).

არსებობს არგუმენტირებული დასაბუთება იმის შესახებ, რომ ძალაუფლების განაწილებისა და პოლიტიკური აკომოდაციის საკითხებში, პოლიტიკური ინტეგრაციის მაჟორიტარული მიდგომებისგან განსხვავებით, პოლიტიკური აკომოდაციის კონსენსუალური და კერძოდ კონსოციონალური დემოკრატიული მოდელი გამოირჩევა ისეთი თვისებებითა და მახასიათებლებით, როგორებიცაა „პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემა, მრავალპარტიული სისტემა, კოალიციური მთავრობები და ფედერაციული და დეცენტრალიზებული მმართველობა“ (Barrington, Bosia, Bruhn, Giaino, & McHenry, 2010).

მაგალითად, ფრენკ კოენის მტკიცებით, განსხვავებით მაჟორიტარულ პრინციპებზე დაფუძნებული ინსტიტუტებისგან, პროპორციულ პრინციპებზე დამყარებული ინსტიტუტები უკეთეს პოლიტიკურ აკომოდაციას და ბალანს გვთავაზობენ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის (Cohen, 1997). მისი მტკიცებით ეს გამომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომ პროპორციული პრინციპებით შექმნილი ინსტიტუტები ამცირებენ ჯგუფებს შორის კონკურენციის ინტენსივობას და ზრდიან პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი მათ ხელმისაწვდომობას (Cohen, 1997). ხოლო მაჟორიტარული პრინციპებით შექმნილი ინსტიტუტები ზრდიან კონკურენციის ინტენსივობას და ამცირებენ პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი პირდაპირ წვდომას (Cohen, 1997).

კოენის მტკიცებით, მიუხედავად იმისა რომ პროპორციული მოწყობის შედეგად კონფლიქტების სიხშირე შესაძლოა გაიზარდოს, კონფლიქტის ფორმა ნაკლებად ინტენსიური და ძალადობრივი შეიძლება აღმოჩნდეს, გამომდინარე იმ ინსტიტუციური საშუალებებიდან რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია უკმაყოფილო უმცირესობათა ჯგუფებისთვის (Cohen, 1997). შესაბამისად, ინსტიტუტებზე მეტი ხელმისაწვდომობით და ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი დაპირისპირებების უფრო სააშკარაოზე გამოტანით, ეთნიკური ჯგუფები შესაძლოა ერთმანეთთან უფრო ხშირად შევიდნენ დაპირისპირებაში თუმცა ნაკლებად ინტენსიურ და ძალადობრივ კონფლიქტში (Cohen, 1997).

განსხვავებით, მაჟორიტარული მოწყობისთვის მიმართული მცდელობები და მიდგომები, კოენის მტკიცებით, ღრმა ეთნიკური დაპირისპირებების ასიმილაციისკენ არის მიმართული და შესაძლოა ფარულ ეთნიკურ რეპრესიასაც უწყობდეს ხელს. შესაბამისად, ასეთმა ინსტიტუციონალურმა რეპრესიამ და თავსმოხვეულმა გარემომ შესაძლოა თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატად წახალისოს ეთნიკური ჯგუფები ექსტრა-ინსტიტუციური (არაკონსტიტუციური) ქმედებებისკენ (Cohen, 1997).

შესაბამისად, როგორც ბევრი ექსპერტი და მკვლევარი თანხმდება, კონსენსუალურ მიდგომებს თუ შევადარებთ მაჟორიტარულს, განსაკუთრებით კონფლიქტების თავიდან აცილების ან გადაჭრის კუთხით, ისეთი ქვეყნებისთვის,

რომლებსაც ახასიათებთ მკვეთრად განსხვავებული იდენტობის მქონე საზოგადოებებად დაყოფა, კონსენსუსზე დაფუძნებული დემოკრატიის მოდელი პოლიტიკური აკომოდაციის უკეთეს შესაძლებლობას გვთავაზობს. ეს უკავშირდება ისეთ მახასიათებლებს, განსაკუთრებით განათლებისა და კულტურის საკითხებში, როგორებიცაა ძალაუფლების თანასწორად გაზიარება და უმცირესობათა ჯგუფებისთვის ავტონომიის მინიჭება (Lijphart, 2004).

თუმცა საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს ენტონი მაკგანი და სოციალურ თეორიაზე დაყრდნობით ამტკიცებს რომ მაჟორიტარული წესით მოწყობილი გადაწყვეტილების მიღების სისტემები (მაგ., საკანონმდებლო ორგანო ან პარლამენტი), სხვა სისტემებთან შედარებით, გვთავაზობს ყველაზე მოწყვლადი უმცირესობათა ჯგუფების საუკეთესო დაცვის მექანიზმს. ასეთი შედეგი, მისი აზრით, გამომდინარეობს იქიდან რომ მაჟორიტარული წესით მოწყობილ სისტემას გააჩნია ბევრად უფრო მეტი უნარი და შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად შეცვალოს არასასურველი შედეგები ან თუნდაც არსებული სტატუს-კვო (McGann, 2002).

მაჟორიტარული და კონსენსუსის წესის მიხედვით შექმნილ ინსტიტუტების შედარებისას, ლაიპჰარტი აღნიშნავს რომ ერთადერთი დამაჯერებელი არგუმენტი მაჟორიტარული სისტემების (მაგ., პლურალისტული წესით ჩატარებული არჩევნები, ორპარტიული სისტემები, და ერთპარტიული კაბინეტები) კონსენსუსალური სისტემებზე უპირატესობის სასარგებლოდ მდგომარეობს იმაში რომ მაჟორიტარული სისტემები, ერთი შეხედვით, უფრო მეტად არიან ანგარიშვალდებულნი ამომრჩევლების მიმართ და ასევე ამომრჩევლისთვის უფრო ადვილია ასეთი სისტემის პირობებში ამოიციოს თუ ვინ არის კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი (Lijphart, 2008).

თუმცა მაჟორიტარულ სისტემებში მეტ ანგარიშვალდებულებას რაც შეეხება, ლაიპჰარტი აქვე იმ სუსტ მხარეზეც მიუთითებს რაც მაჟორიტარული წესით შექმნილ ერთპარტიულ მთავრობას შესაძლოა დაემუქროს. მაგალითად, ერთია რომ ასეთი სისტემის პირობებში მოქალაქეებს უფრო უადვილდებათ საჯარო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ძალის ან წარმომადგენლის ამოცნობა და განსჯა, მაგრამ მეორეა

როდესაც ერთპარტიული მთავრობა ხდება ასევე სასურველი და ადვილი სამიზნე გავლენიანი ვიწრო ინტერესთა ჯგუფებისთვის (Lijphart, 2008).

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რომ კონსოციონალური დემოკრატია მიუხედავად იმისა რომ არღვევს მაჟორიტარული დემოკრატიის რეჟიმის პრინციპებს, ძალიანაც არ სცილდება ნორმატიულ დემოკრატიის თეორიას (Lijphart, 2008). მაგალითად, როგორც საერთო ეროვნული თანხმობის მთავრობის ფორმირება არის მიჩნეული სათანადო პასუხად საგარეო საფრთხის შემცველი მდგომარეობის შემთხვევაში, ისე დიდი კოალიციური კაბინეტის ფორმირებაც ან, ალტერნატიული ფორმის სახით პოლიტიკური ელიტების კარტელის შექმნაც, სათანადო პასუხია ქვეყნის ისეთ შიდა კრიზისზე რომელიც ხასიათდება საზოგადოების მტრულად განწყობილი სუბკულტურებად დაყოფით (Lijphart, 2008).

შესაბამისად, კონსოციონალური დემოკრატია ნიშნავს პოლიტიკური ელიტების მიერ ფორმირებულ კარტელური ტიპის მთავრობას, რომლის ამოცანაც არის ფრაგმენტირებული პოლიტიკური კულტურის მქონე დემოკრატია აქციოს სტაბილურ დემოკრატიად (Lijphart, 2008). წარმატებულად განხორცილებული კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის მთავარი პირობა კი არის ის თუ რამდენად შესწევს უნარი პოლიტიკურ ელიტას მოახდინოს არსებული განსხვავებული ინტერესების აკომოდაცია (Lijphart, 2008). მაგრამ, აქვე საყურადღებოა ის გარემოებაც რომ, პოლიტიკური ელიტების მიერ განსხვავებულ ინტერესთა წარმატებული აკომოდაცია (ძალაუფლების გაზიარება და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა) შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ისინი შეძლებენ არსებული განხეთქილებების გადალახვას და მოწინააღმდეგე სუბკულტურების ელიტებთან საერთო მიზნებისთვის გაერთიანებას (Lijphart, 2008).

1.3. კონსოციონალიზმის კრიტიკა

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ უშუალოდ კონსოციალურ მოდელთან დაკავშირებით, შედარებითი პოლიტიკის დარგში მოღვაწე ცნობილმა მეცნიერებმა (მაგალითად ისეთები, როგორებიც ბრაიან ბარი და დონალდ ჰოროვიცი არიან) არგუმენტირებული დასაბუთებისა და მეცნიერული ანალიზის მეშვეობით გააკრიტიკეს კონსოციონალიზმის თეორიის უნივერსალურობა და სანდოობა (Lijphart, 2004) განსაკუთრებით დემოკრატიულ სტაბილურობასთან მიმართებაში უკლებლივ ყველა ისეთი ქვეყნისთვის, რომლებიც განიცდიან მკვეთრად განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფას.

მაგალითად, ლეიდენის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მკვლევრები, რუდ კოლე და ჰანს დაალდერი თავიანთ ნაშრომში, სადაც ისინი იკვლევენ არის თუ არა ნიდერლანდები კონსოციონალური მოდელის იდეალური შემთხვევა, როგორც ეს არენდ ლაიპჰარტმა თავის 1968 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „პოლიტიკური აკომოდაცია: პლურალიზმი და დემოკრატია ნიდერლანდებში“ აღმოაჩინა, ოთხ ძირითად კონტრარგუმენტზე მიუთითებენ, რის მიხედვითაც ნიდერლანდები არც თუ ისე იდეალურ კონსოციონალურ მოდელად გამოიყურება როგორც ეს ლაიპჰარტმა წარმოაჩინა (Koole & Daalder, 2002).

შესაბამისად, ლაიპჰარტის მიერ ნიდერლანდების პოლიტიკური სისტემის დახასიათების მიმართ გამოთქმული პირველი კრიტიკა ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ ლაიპჰარტის ის მტკიცება, რომ ნიდერლანდები წარმოადგენდა (დროის გარკვეულ პერიოდებში, მაგალითად, 1848-1965 წწ.) კონსოციონალური დემოკრატიის იდეალურ მოდელს, ისტორიული თანამიმდევრულობის მიხედვით, არ არის ზუსტი. კერძოდ, ლაიპჰარტის მიხედვით, ნიდერლანდების სუბკულტურებს შორის კონსოციონალური შეთანხმება იმ მწვავე დაპირისპირებების შედეგად იქნა მიღწეული რასაც ადგილი მეოცე საუკუნის 50-ან და 60-იან წლებში ჰქონდა. მაშინ როდესაც სუბკულტურებს შორის ასეთი სეგმენტაცია გამოწვეული იყო უკვე 1917 წელს მიღწეული კონსოციონალური და სამშვიდობო შეთანხმების შედეგად (Koole & Daalder, 2002).

მეორე მნიშვნელოვანი ხარვეზი ლაიპჰარტის მიერ ნიდერლანდების პოლიტიკური სისტემის დახასიათებისას ეგრეთწოდებულ ბლოკების მეტაფორას ეხება. ანუ ავტორთა კრიტიკის მიხედვით, ლაიპჰარტის მიერ არასაკმარისად და ნაკლებად ამომწურავად იქნა განხილული ის მნიშვნელოვანი განსხვავებები რომლებსაც ადგილი ჰქონდა ნიდერლანდების როგორც თითოეულ სამ ძირითად სუბკულტურაში (მაგ. კალვინისტები, კათოლიკეები და სოციალისტები) ისე ამ სამ ძირითად სუბკულტურებს შორისაც (Koole & Daalder, 2002).

რაც შეეხება ლაიპჰარტის ნიდერლანდების პოლიტიკური სისტემის ანალიზში აღმოჩენილ მესამე ხარვეზს, კოლე და დაალდერი ლაიპჰარტს ნიდერლანდების სოციალური სეგმენტაციის სიმწვავის ზედმეტად გაზვიადებაში ადანაშაულებენ და სანაცვლოდ მიუთითებენ, რომ იდეოლოგიური დაყოფა, რომელიც იმ დროისთვის ჰოლანდიაში არსებობდა, ისეთ ძირითად სოციალურ სექტორებს შორის როგორცაა მონარქია, სასამართლო, შეიარაღებული ძალები და პოლიცია, ბიუროკრატია და ზოგადად მუშათა კლასი არ იყო ისეთივე ღრმა ან მწვავე, როგორსაც ამას ლაიპჰარტი წარმოაჩენდა (Koole & Daalder, 2002).

და ბოლოს, მეოთხე პრობლემა, ელიტების კონტროლის შესახებ არსებულ განსხვავებულ თეორიებს ეხება რომელიც ლაიპჰარტის ნიდერლანდების პოლიტიკური სისტემის ანალიზში იქნა აღმოჩენილი. მაგალითად, რამდენიმე ავტორმა ელიტების აკომოდაციის შესახებ ლაიპჰარტის თეორიას დაუპირისპირა ალტერნატიული თეორია, რომელიც ელიტების მიერ მიზანმიმართული აპარტიდის ხელშეწყობაში მდგომარეობს, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს ელიტების ვიწრო ინტერესებიდან რომ არა თანამშრომლობით არამედ კიდევ უფრო მეტი პოლარიზაციით და რადიკალიზაციით მოახდინონ თავიანთი პოზიციების კონსოლიდირება თავიანთ წარმომადგენელ ჯგუფებში თუ სუბკულტურებში (Koole & Daalder, 2002).

გარდა ამისა, ზემოთ ხსენებული მეცნიერების, კერძოდ კი ბრაიან ბარის მოსაზრებით, კონსოციონალური მოწყობის მიმართ კრიტიკა ძირითადად გამომდინარეობს იმ გარემოებიდანაც რომ ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით თუ როგორ ან რა სახით არიან ისინი დაყოფილი შინაგანად სხვადასხვა

საზოგადოებად, ჯგუფებად ან სუბკულტურებად. შესაბამისად, მისი მტკიცებით, ასეთ მრავალფეროვან მოცემულობაში კონკრეტულად კონსოციალურმა მოდელმა შესაძლოა რიგ შემთხვევაში უკეთესად იმუშაოს, ხოლო სხვა შემთხვევაში შესაძლოა უფრო მეტადაც კი გააღრმავოს ქვეყნის შიგნით არსებული დაპირისპირებები (Barry, 1975).

შესაბამისად, ბრაიან ბარი აღნიშნავს რომ მეტი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო როდესაც კონსოციონალურ ფორმულას სხვადასხვა ტიპის დაყოფილი საზოგადოებების, კერძოდ, ეთნიკური იდენტობის მიხედვით დაყოფილ საზოგადოების მიმართ ვაგრცელებთ (Barry, 1975). მისი მოსაზრებით ამგვარი სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდან რომ, როდესაც დავა კლასობრივ და რელიგიურ საკითხებს უკავშირდება, მთავარი კითხვა ამ შემთხვევაში ეხება იმას თუ როგორ უნდა იმართოს ქვეყანა. შესაბამისად, ასეთ მოცემულობაში კითხვა შემდეგი სახით ფორმულირდება: როგორ უნდა ვიცხოვროთ ერთად? კითხვის ამ ფორმით დასმის შემთხვევაში ბუნებრივია რომ კონფლიქტის გადაჭრის ერთ-ერთი შესაფერისი გზა კონსოციონალური მოდელიც აღმოჩნდეს (Barry, 1975).

ბარის განმარტებით, თუ დავა ეთნიკური ან ეროვნული ნიშნით დაყოფას უკავშირდება, ამ შემთხვევაში კითხვა აღარ დგას ისე თუ როგორ უნდა იმართოს ქვეყანა, არამედ ჩნდება კითხვა უნდა არსებობდეს თუ არა ქვეყანა საერთოდ არსებული მოცემულობით. ამ შემთხვევაში კი კითხვები შეიძლება უფრო სხვანაირად დაისვას: უნდა გამოეყოს თუ არა ერთი რომელიმე ჯგუფი ქვეყანას და შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო? უნდა შეიერთოს სახელმწიფომ სხვა სახელმწიფო თუ თვითონ უნდა შეუერთდეს სხვა სახელმწიფოს? ეს ის კითხვებია რომლებიც მოლაპარაკებების დროს ცოტა ადგილს ტოვებენ მანევრირებისთვის, რადგან სულ ცოტა ერთმა მხარემ მაინც შესაძლოა უარი თქვას არსებულ ფორმატში შემოთავაზებული გამოსავლის თანხმობაზე (Barry, 1975).

ამ მოსაზრების დასამოწმებლად ბრაიან ბარი ბელგიის შემთხვევას იშველიებს. მაგალითად, იმის მტკიცება რომ ბელგია წარმოადგენს კონსოციონალური მოწყობის კლასიკურ შემთხვევას ეფუძნება ბელგიაში არსებულ რელიგიური ნიშნით დაყოფილ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დალაგებას. აქედან გამომდინარე, ბარი მიიჩნევს,

რომ ბელგიის შემთხვევა არ გულისხმობს სხვადასხვა ეთნოსებს შორის თანხმობის მიღწევას, ანუ ბელგიის ორ შემადგენელ ეთნიკურ ჯგუფებს (მაგ., ფლანდრიელები და ვალონები) შორის ურთიერთობების მოგვარებას (Barry, 1975).

ამ მოსაზრებების გასამყარებლად აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ კონსოციალურმა მიდგომებმა ვერ გაამართლეს კვიპროსისა და ნიგერიის შემთხვევაში, ხოლო ურუგვამ საერთოდ უარი თქვა შვეიცარიული ტიპის კონსოციონალურ მოდელზე (Lijphart, 2008). კვიპროსის მაგალითზე შესაძლებელია ითქვას რომ პოლიტიკური ელიტები დღემდე მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ პოლიტიკური ძალაუფლების ერთმანეთში განაწილებისთვის რადგან კვიპროსის დაყოფილ საზოგადოებებში არსებული ურთიერთგანსხვავებული ისტორიული ნარატივები ხელს უშლის ამ საზოგადოებების მხრიდან უფრო შემრიგებლური და კონსოციალური შედეგის ან თანხმობის მხარდაჭერას (Yakinthou, 2009).

ჩრდილოეთ ირლანდიის და ერაყის კონფლიქტების შემდგომ გამოცდილებებზე დაყრდნობით, სადაც კონსოციონალურ შეთანხმებებს ან კონსოციონალურ საკონსტიტუციო წყობის შემუშავების მცდელობებს ჰქონდათ ადგილი, პოლიტიკის მკვლევარი პოლ დიქსონი ამტკიცებს რომ კონსოციონალიზმის შესახებ არსებული თეორია უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი ფორმით ჩამოყალიბდა. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში 1998 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება არა მხოლოდ კონსოციონალურ არამედ ინტეგრაციულ და სხვა ტიპის დემოკრატიულ ასპექტებსაც მოიცავდა. გარდა ამისა, ერაყის 2005 წლის კონსტიტუციის შექმნის პროცესებში ქურთი და შიიტი მოსახლეობისგან განსხვავებით მოხდა სუნიტი მოსახლეობის პოლიტიკური სივრციდან გარიყვა (Dixon, 2011).

შესაბამისად, ავტორის მოსაზრებით, კონსოციონალიზმი, როგორც დაყოფილ საზოგადოებებში კონფლიქტების მართვის დომინანტი თეორია, ვერ გამოდგა უნივერსალური და მკაფიო პასუხი იმ საკითხებზე რაც გლობალური კონფლიქტების მოგვარებას უკავშირდება (Dixon, 2011). კონსოციონალისტების მიმართ კრიტიკას ინტეგრაციონისტებიც გამოხატავენ, გამომდინარე იქიდან რომ მათი აზრით

კონსოციონალისტები კონფლიქტების ინტერპრეტირებას და იდენტობების ფორმირებას პრიმორდიალურ შეხედულებებზე დაყრდნობით აკეთებენ (Dixon, 2011).

შესაბამისად, ინტეგრაციონისტების შეხედულებით, დაყოფილ საზოგადოებებში კონსოციონალისტები კონფლიქტების მართვას პრიმორდიალიზმით, ნებაყოფლობითი სეგრეგაციებით (ან აპართეიდით) და ზედმეტად ელიტებზე დაყრდნობით მიღწევას სცდილობენ. აქედან გამომდინარე, მათი (ინტეგრაციონისტები) მოსაზრებით ამგვარმა მიდგომებმა შესაძლოა პირიქით კიდევ უფრო მეტად ხელი შეუწყოს განსხვავებულ იდენტობების მქონე ჯგუფთა შორის მეტი ანტაგონიზმის გაღვივებას (მაგ., ომის შემდგომი ერაყის მდგომარეობა) (Dixon, 2011).

მეტიც, დიქსონის მტკიცებით კონსოციონალიზმის მიმართ გამოთქმულმა მწვავე კრიტიკამ აიძულა ზოგიერთი კონსოციონალისტი (მაგ., ჯონ მაკკარი და ბრენდან ო'ლეარი) ახლებურად გადაეხედა კონსოციონალური თეორიისთვის და შესაბამისად უარი ეთქვა კონფლიქტების ეგრეთწოდებულ პრიმორდიალურ და ეთნო-ნაციონალურ ინტერპრეტირებაზე (Dixon, 2011). შესაბამისად, ამგვარი თეორიული რევიზიის შედეგად კონსოციონალიზმის ახლებური ხედვა თავსებადია ასევე ინტეგრაციულ თეორიებთანაც (Dixon, 2011).

გარდა ინტეგრაციონისტების მიერ კონსოციონალიზმის მიმართ გამოთქმული კრიტიკისა, კონსოციონალური თეორია და მიდგომები ასევე პოსტ-სტრუქტურალისტმა რადიკალმა დემოკრატებმაც გააკრიტიკეს. მათი მოსაზრებით, გამომდინარე ამ კონფლიქტების კომპლექსურებიდან და სირთულიდან, ადამიანის ცნობიერება, ბოლომდე და ამომწურავად, ჩაწვდეს ყველა გლობალური კონფლიქტების ასპექტებს შეზღუდულია. ამის გათვალისწინებით, პოსტ-სტრუქტურალისტები მიიჩნევენ რომ კონსოციონალისტები ხშირად ზედაპირულად განიხილავენ კონფლიქტს და მათ კატეგორიზაციას ზედმეტად მარტივი ახსნის საშუალებებით ახდენენ. შესაბამისად, მათი მოსაზრებით, კონსოციონალისტების მიერ შეთავაზებული კონფლიქტების მართვის უნივერსალური რეცეპტები რიგ შემთხვევებში არ მუშაობს (Dixon, 2011).

მაგალითად, კრიტიკა, რომელიც კონსოციონალიზმში ელიტების როლთან არის დაკავშირებული, მიუთითებს ამ მოდელის გადაჭარბებულ დამოკიდებულებას

ელიტებს შორის აკომოდაციის აუცილებლობაზე (Sisk, 1996). მეტიც, ჯორჯ ცებელისის (Tsebelis, 1990) ვარაუდის მიხედვით, კონსოციონალურმა ინსტიტუტებმა შესაძლოა წახალისოს პოლიტიკოსები ელიტებს შორის კონფლიქტის გაღვივებისკენ (Sisk, 1996). ხოლო, სტივენ ბურგი (Steven Burg) მიიჩნევს რომ კონსოციონალური მოდელი ელიტებს მანიპულაციების და კონტროლის უამრავ საშუალებას აძლევს (Sisk, 1996). მეტიც, გარკვეული მემარცხენე ჯგუფები და პარტიები ფიქრობენ რომ კონსოციონალიზმის მომხრეები, როგორც ანალიტიკურად ისე ნორმატიულად, ელიტისტები და ელიტებზე ორიენტირებულები არიან (O'Leary, 2009).

გარდა ამისა, კვიპროსის შემთხვევის განხილვისას ასევე ნათლად გამოჩნდა რომ გრძელვადიანი კონფლიქტების არსებობის დროს თითოეულ დაპირისპირებულ მხარეს, მაგალითად როგორც ბერძნულ ისე თურქულ მხარეს, უყალიბდება უფრო ხისტი პოზიცია საერთაშორისო სამართლისა და ნორმების მიმართ. შესაბამისად, საერთო თანხმობის და ინტეგრაციის მისაღწევად საჭიროა რომ ამგვარი ხისტი პოზიციები შეიცვალოს უფრო კონსტრუქციული მიდგომებით (Yakinthou, 2009).

მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს იან ლუსტიკის მიერ შემოთავაზებული კონსოციონალიზმის არადემოკრატიული, თუმცა ალტერნატიული, მიდგომა რომელიც დაყოფილ საზოგადოებებში სტაბილურობის მიღწევას კონტროლის მექანიზმებით აღწევს (Lustick, 1979). შესაბამისად, ე.წ. „კონტროლის“ მიდგომა წარმოადგენს იმ ალტერნატიულ ახსნის თეორიას რომელიც შესაძლოა უკეთესად ხსნიდეს ზოგიერთ ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრების შემთხვევებს (Lustick, 1979).

რაც შეეხება კონსოციონალიზმსა და კონტროლს შორის არსებულ კონცეპტუალურ განსხვავებებს, კონსოციონალიზმი ღრმად დაყოფილი საზოგადოების მქონე ქვეყნებში არსებულ ყველა სეგმენტის ელიტებს შორის შედარებით უფრო სიმეტრიულ თანამშრომლობას და ურთიერთობებს გულისხმობს, რაც სოციო-პოლიტიკური სტაბილურობის წინაპირობაა. ხოლო კონტროლის თეორიას რაც შეეხება, სტაბილურობის მიღწევა ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში ასევე შესაძლებელია სხვა მეთოდებითაც. თუმცა ისეთი ასიმეტრიული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით,

სადაც ერთი რომელიმე დომინანტი სეგმენტი (ან ჯგუფი), ეფექტური მობილიზაციის შედეგად, ახერხებს სტაბილურობის მიღწევას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგრამ, აღნიშნული სტაბილურობა, მიიღწევა სხვა სეგმენტების თუ ჯგუფების პოლიტიკური შესაძლებლობების, უფლებების და აქტივობების შეზღუდვის ხარჯზე (Lustick, 1979).

აქედან გამომდინარე, ლუსტიკის მტკიცებით სრულიად რაციონალურია იმის განხილვა რომ ზოგიერთ დაყოფილ საზოგადოებებში დომინანტი ჯგუფის მიერ სხვა ნაკლებად დომინანტი ჯგუფების ეფექტური დაქვემდებარება ბევრად უფრო უკეთესი გამოსავალია ვიდრე ქაოსი და სამოქალაქო არეულობა, რომელიც შესაძლოა წარუმატებელ კონსოციონალიზმს მოჰყვეს (მაგალითად, სამოქალაქო ომი ლიბანში, რომლის ხანგრძლივობაც 1975 წლიდან 1990 წლამდე პერიოდს მოიცავდა) (Lustick, 1979).

თუმცა აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევებში ღრმად დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებისთვის კონტროლის მექანიზმების არადემოკრატიული და რეპრესიული მახასიათებლებიდან გამომდინარე (მაგალითად, გარკვეულწილად კონტროლის მიდგომა ქვეყნის შიდა კოლონიალიზმსაც შესაძლოა შევადაროთ) ამგვარი მიდგომა სავალალო შედეგებითაც დასრულდეს. მაგალითად, კონტროლის მეთოდების უარყოფითი და ტრაგიკული გამოცდილებები შესაძლებელია დავინახოთ რუანდის, სამხრეთ აფრიკის აპარტეიდული რეჟიმის, და საბჭოთა კავშირის მწვავე სამოქალაქო დაპირისპირებების შემთხვევების განხილვისას (Lustick, 1979). თუმცა არის კონტროლის მიდგომების გამოყენების უფრო მშვიდობიანი შედეგებიც მაგალითად, ისრაელის და ტაივანის სახით (Lustick, 1979).

1.4. კონსოციონალური დემოკრატიის მახასიათებლები:

ამ ქვეთავში განვიხილავთ კონსოციონალური დემოკრატიული მოდელის ისეთ ძირითად მახასიათებლებს როგორებიცაა პროპორციული საარჩევნო სისტემა, კოალიციური მმართველობა, ტერიტორიული ავტონომია/ფედერაცია და ძალაუფლების გაზიარება.

ა). **პროპორციული საარჩევნო სისტემა**; რაც შეეხება დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებისთვის მისაღები საარჩევნო სისტემის გარშემო არსებულ დებატებს, დონალდ ჰოროვიცი აკრიტიკებს პროპორციული საარჩევნო სისტემას, რომელიც კონსოციონალური მოდელის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, და ამგვარ საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში მიიჩნევს რომ ისეთი საარჩევნო სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური ნიშნით პარტიების ფორმირებას უფრო მეტად აღრმავებენ და ართულებენ უკვე არსებულ ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ დაპირისპირებებს და კონფლიქტებს (Horowitz, 1985).

მეტიც, მიუხედავად იმისა რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს პროპორციულობას და ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკაში მეტ ჩართულობას, არსებულმა პერსპექტივამ, რომ წარმომადგენლის ყოლა პარლამენტში თუნდაც მცირე დოზით (და ასევე საპარლამენტო ხელფასი) მეტ ნაკლებად გარანტირებულია, შესაძლოა უბიძგოს პოლიტიკოსებს დაჯგუფდნენ ვიწრო შეხედულებების ექსკლუზიურ პარტიებად, რომელ ფენომენსაც ჯოვანი სარტორი (Sartori, 1960) პოლარიზებულ პლურალიზმს უწოდებს (Sisk, 1996).

ცენტრისკენული მიდგომების მომხრეები (მათ შორის დევიდ ჰოროვიცი), კონსოციონალისტებისგან განსხვავებით, უპირატესობას ალტერნატიული ხმის მიცემის საარჩევნო სისტემას უჭერენ მხარს. მიუხედავად იმისა რომ ეს საარჩევნო სისტემა პრეფერენციულ ხმის მიცემასაც გულისხმობს, კანდიდატის გასამარჯვებლად საჭიროა რომ კანდიდატმა ერთ-მანდატიან საარჩევნო ოლქში ხმების უმრავლესობა მოიპოვოს (O'Leary, 2009).

ბ). **კოალიციური მმართველობა**; პოლიტიკის მეცნიერები რომლებიც აღიარებენ პოლიტიკური ინსტიტუტების შესაძლებლობას ხელი შეუწყონ აკომოდაციას, მაგრამ ნაკლებად არიან დარწმუნებულები იმაში, რომ ეს ინსტიტუტები შეძლებენ ეთნიკური იდენტობების საბოლოო ასიმილაციას, ცენტრისკენული მიდგომების მომხრეებს (სხვაგვარად ცენტრიპეტალისტები) წარმოადგენენ. შესაბამისად, ისინი პოლიტიკური ინსტიტუტების იმგვარ მოწყობას უჭერენ მხარს რომლებიც ზომიერ და ცენტრისტულ პოლიტიკას წაახალისებენ (O'Leary, 2009).

ამიტომ, ე.წ. ცენტრიპეტალისტები² მიიჩნევენ რომ დაყოფილ საზოგადოებებში პარტიებმა კონფლიქტების მოგვარებაში უფრო დადებითი როლი რომ ითამაშონ, მათ უნდა მოახერხონ არსებულ განსხვავებულ ინტერესთა კომბინაცია ზომიერი პოლიტიკოსების საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პარტია მხოლოდ ეთნიკური ნიშნის მიხედვით იქნება შექმნილი, მაშინ ის მხოლოდ ამ ეთნიკური ნიშნის ქვეშ მყოფ ამომრჩეველს წარმოადგენს, და, შესაბამისად, განურჩევლად თუ ვინ იყრის კენჭს, ეთნიკური ნიშნით მოტივირებული ამომრჩეველი ერთხმად აძლევს ხმას ამგვარ პარტიას (Horowitz, 1985).

ამგვარად, ჰოროვიცი მიიჩნევს რომ მწვავე ეთნიკური დაპირისპირებების თავიდან ასაცილებლად და დემოკრატიული სტაბილურობის მისაღწევად ღრმად დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია მულტი ეთნიკური კოალიციების შექმნა არჩევნებამდე, რომელიც გააერთიანებს ორ ან უფრო მეტ ეთნიკური ნიშნით ფორმირებულ პარტიებს და რომლებიც თავის მხრივ შეეცდებიან ერთობლივად მოიპოვონ საკანონმდებლო მანდატები საკანონმდებლო ორგანოში (Horowitz, 1985).

გ) ტერიტორიული ავტონომია და ფედერაცია; გარდა აკადემიურ წრეებში კოალიციური კაბინეტების და საარჩევნო სისტემების მიმართ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ინტეგრაციონისტებსა და აკომოდაციონისტებს შორის დებატებია ასევე ტერიტორიული ავტონომიების და ფედერაციული თუ უნიტარული სისტემების მიზანშეწონილობაზე ღრმად დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში.

მაგალითად, ნენსი ბერმეოს (Nancy Bermeo) მტკიცებით ფედერალური სისტემები, დემოკრატიზაციის პროცესთან მიმართებაში, ახალ დემოკრატიებს მეტი გრძელვადიანი სტაბილურობით უზრუნველყოფენ. მისი აზრით ასეთი შედეგი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან რომ ფედერალური მოწყობა ხელს უწყობს ძალაუფლების უფრო ფართოდ განაწილებას და გაზიარებას სხვადასხვა მმართველობების დონეებზე, რითაც მეტ სივრცეებს ქმნის პოლიტიკური ჩართულობისთვის. შესაბამისად, ბერმეოს მტკიცებით, ფედერალიზმი პოლიტიკურ ელიტებს აძლევს მეტ მოტივაციას

² ცენტრისკენული მისწრაფების მომხრეები. (საპირისპირო) ცენტრიდანული

გაუფრთხილდნენ და შეინარჩუნონ ახლად შექმნილი დემოკრატიული სისტემა (Barrington, Bosia, Bruhn, Giaimo, & McHenry, 2010).

სხვები, მაგალითად ჰეილი და ჰოროვიცი, უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ტერიტორიული ავტონომიების საკითხს. მაგალითად ჰეილი, ფედერალური სისტემების შესახებ, აღნიშნავს იმას, თუ როგორ შეუწყო ხელი გარკვეული ტიპის ეთნო-ფედერალურმა სისტემამ ტერიტორიულ რღვევას (იუგოსლავიის შემთხვევაში) და სამოქალაქო ომს (ნიგერიის შემთხვევაში) (Barrington, Bosia, Bruhn, Giaimo, & McHenry, 2010). ჰოროვიცი, მაგალითად, ღრმად დაყოფილ საზოგადოებებთან მიმართებაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში ემხრობა ფედერალურ სისტემებს თუ ფედერაციის ქვეყნის შიდა საზღვრები ურთიერთ გადამკვეთი იდენტობების მიხედვით დადგინდება. მაგრამ იგი ეწინააღმდეგება ეთნო-ფედერალურ სისტემებს, რადგან ის მიიჩნევს რომ ასეთი სისტემა კიდევ უფრო გაამძაფრებს ისედაც უკვე არსებულ ღრმა სოციალურ დაყოფას (Barrington, Bosia, Bruhn, Giaimo, & McHenry, 2010).

დაყოფილ საზოგადოებებში არსებული კონფლიქტების მართვის მიზნით ტერიტორიული მიდგომების ირგვლივ არსებული განხილვის უფრო ფართოდ შესწავლის მიზნით, შტეფან ვოლფი ცდილობს გასცდეს ჩვეულებრივ ვიწრო აკადემიურ ინტერესს, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ ფედერაციაზე და ავტონომიაზე. იგი თავის ნაშრომში ავითარებს ტერიტორიული თვითმმართველობის კონცეფციას, როგორც ეფექტურ მოდელს სახელმწიფო მშენებლობისთვის და კონფლიქტების მართვისთვის (Wolff, 2013). ავტორი ამტკიცებს, რომ კონცეფცია მოიცავს კონფედერაციისაგან და ფედერაციისგან განსხვავებულ ისეთი ტიპის ტერიტორიულ მოწყობებს, როგორებიცაა სხვადასხვა ფედერალური მიდგომები, დეცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია. ავტორი ამ მოდელების გამოვლინებებს განიხილავს სამი კონტინენტის მასშტაბით თორმეტი ქვეყნის მაგალითზე (Wolff, 2013).

ვოლფის მტკიცებით პოსტკომუნისტური (მაგ., იუგოსლავია) და პოსტსაბჭოთა (მაგ., სამხრეთ კავკასია) რეგიონების უარყოფით გამოცდილებებზე დაყრდნობით, ფედერალიზმის ბევრმა კრიტიკოსმა არ გაითვალისწინა ტერიტორიული თვითმმართველობის კონცეფციის სასარგებლო ასპექტები. მაგალითად, ავტორი

აღნიშნავს, რომ ტერიტორიული პარამეტრების მეშვეობით კონფლიქტის მართვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფედერალურ და ფედერალურ შეთანხმებებზე დაფუძნებული მიდგომებით, რადგან ეს კონცეფცია ასევე მოიცავს ისეთ მიდგომებს, როგორებიცაა დელეგირება (მაგ., შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია) და დეცენტრალიზაცია (მაგ., მაკედონია, კოსოვო) (Wolff, 2013).

გარდა ამისა, შტეფან ვოლფმა გამოიკვლია ის პირობები, რომელთა თანახმადაც ტერიტორიული თვითმმართველობის კონცეფცია თანხვედრაშია სხვა ისეთ კონფლიქტების მართვის სტრატეგიებთან როგორცაა ძალაუფლების კონსოციონალური გაზიარება. ასევე ავტორმა შეაფასა რა ტერიტორიული თვითმმართველობის მიდგომების გამოცდილებები დაყოფილი საზოგადოებების მქონე ქვეყნებში, განსაკუთრებით სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით, დაადგინა რომ შედეგი უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ამას კრიტიკოსები ვარაუდობდნენ (Wolff, 2013).

დ) ძალაუფლების გაზიარება/განაწილება; კონსოციონალიზმის მიმართ კრიტიკა ასევე თვით ძალაუფლების გაზიარების პრინციპსაც შეიძლება ეხებოდეს. მაგალითად, დონალდ როთჩილდის მტკიცებით, აფრიკის ქვეყნებში მიღებული გამოცდილებებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ძალაუფლების გაზიარების მიზნით შექმნილი კოალიციები შეიძლება აღმოჩნდნენ გაურკვეველ და არასტაბილურ მდგომარეობაში (Rothchild, 2009). მისი დაკვირვებით, ეს იმის გამო შეიძლება მოხდეს, რომ ძალაუფლების გაზიარების შემთხვევებში გარიგება რჩება მყიფე, უნდობლობა და დაუცველობის შეგრძნება კვლავაც ფართოდ გავრცელებულია, გარდა ამისა სუსტია საყოველთაოდ მიღებული ნორმები და აქედან გამომდინარე შესაძლოა პარტიის წევრებმა უარიც კი თქვან შეთანხმების პირობებზე (Rothchild, 2009).

შესაბამისად, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში ძალაუფლების პროპორციულად გაზიარების პრინციპით შექმნილი მოწყობა შეიძლება არასტაბილური გამოდგეს, უმცირესობების დაცვის უფრო ეფექტური და გრძელვადიანი საშუალება შესაძლოა ძალაუფლების გამიჯვნა და თანასწორად გადანაწილება (ანუ ერთი დიდი ჯგუფიდან რამდენიმე უმრავლესობის ჯგუფების შექმნის სტრატეგია) აღმოჩნდეს და

არა ძალაუფლების გაზიარება, როგორც ეს კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის მიხედვით ხდება (Rothchild, 2009).

როთჩილდის მტკიცებით იმ იმედით, რომ საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნას მულტი-ეთნიკური ალიანსები, რომლებიც ყველა მოქალაქის სამოქალაქო უფლებების დაიცავდნენ, პლურალისტურ საზოგადოებაში კონსტიტუციის შექმნისას პოლიტიკის მეცნიერებმა შესაძლოა, ძალაუფლების გამიჯვნის და თანაბრად გადანაწილების (ანუ ერთი უმრავლესობის ჯგუფიდან ბევრი უმრავლესობის და უმცირესობების ჯგუფების შექმნა) სტრატეგიას უფრო დაუჭირონ მხარი, ვიდრე ძალაუფლების პროპორციულად გაზიარების სტრატეგიას (Rothchild, 2009). როგორც ფილიპ როედერი (2005, 62) აღნიშნავს ეთნიკური ნიშნით დაყოფილ საზოგადოებებში ეთნიკური უმრავლესობის რამდენიმე ურთიერთ-გადამკვეთ უმრავლესობებად და უმცირესობებად დაყოფით, ძალაუფლების გამიჯვნის და განაწილების სტრატეგია ცდილობს ხელი შეუწყოს დაპირისპირებების დისპერსიას და არა აკუმულირებას (Rothchild, 2009).

რაც შეეხება, კონსოციონალური დემოკრატიული მოდელის დამკვიდრებაში საგარეო ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან კავშირების როლს, კლასიკური კონსოციონალური თეორიის მიმდევრებმა, როგორებიც არიან არენდ ლაიპჰარტი და ერიკ ნორდლინგერი, განჭვრიტეს ვილ კიმლიკას მიერ დანახული ირედენტისმის და სეპარატისმის საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს მონათესავე სახელმწიფო კავშირებიდან (McGarry & O'Leary, 2013). მაგალითად ლაიპჰარტის მოსაზრებით, ცალმხრივი ჩარევები მეზობელი ირედენტისტული სახელმწიფოს მხრიდან, გამოიწვევს ინტერ-ეთნიკური დამაბულობის პროვოცირებას და შეამცირებს ძალაუფლების გაზიარების პერსპექტივას (McGarry & O'Leary, 2013). ერიკ ნორდლინგერიც თავის მხრივ აღიარებდა რომ საგარეო საფრთხეებს შეუძლია დაყოფილი საზოგადოებების გაერთიანება, მაგრამ მხოლოდ მაშინ თუ საგარეო საფრთხეები სახელმწიფოში ყველა მხარისთვის საერთოა (McGarry & O'Leary, 2013).

1.5. კონსოციონალური მიდგომების შეფასება: ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევა

მეტი სიცხადისთვის და შედარებითი ანალიზისთვის, ამ მოცემულ ქვეთავში ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითზე შევეცდები განვიხილო კონსოციონალური მიდგომების პრაქტიკული გამოვლინებები, როგორც პოლიტიკური აკომოდაციის კუთხით, ისე ევროინტეგრაციის და დემოკრატიული სტაბილურობის მიღწევის პერსპექტივების კუთხითაც.

ყოფილი იუგოსლავიის შემადგენელი ნაწილი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბევრი რამით წააგავს საქართველოს, მაგალითად იმით რომ არის მცირე ზომის ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო რომელიც შეიქმნა დამანგრეველი და კატასტროფული ეთნიკური ომის შედეგად. თუმცა, მიუხედავად იმისა რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა კონსოციონალური მოდელის მიხედვით არის მოწყობილი, იქ არსებული პოლიტიკური სტაბილურობა, მხოლოდ შეზღუდული სუვერენიტეტის და მძლავრი საერთაშორისო მეთვალყურეობის ხარჯზე იქნა მიღწეული (Bieber, 2010).

გარდა ამისა, ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითზე შეგვიძლია ასევე ვარაუდი რომ მიუხედავად მოქმედი კონსოციონალური მოდელის მიხედვით მოწყობისა, დემოკრატიული სტაბილურობა ჯერ ისევ ძალზედ მყიფედ გამოიყურება რადგან ამ ქვეყანაში შესამჩნევია ეთნოსის უპირატესობა დემოკრატიზაციაზე, ფრაგმენტაციის კი ეკონომიკურ რეფორმებზე, ხოლო სახელმწიფო მშენებლობაში უფრო მეტი როლი ეთნობა საერთაშორისო ძალების როლს ვიდრე ადგილობრივ ინიციატივებს (Bieber, 2010).

როგორც აღმოჩნდა, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებისთვის ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სტრუქტურა გარკვეულ სეცესიურ ინცენტატივებს შეიცავდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ყოფილი იუგოსლავიის შემადგენელი ერთეულების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება, რაც თავის მხრივ იმის დემონსტრირება იყო რომ არსებული სახელმწიფოების დამოუკიდებელ ერთეულებად დაყოფა ან დაშლა სავსებით შესაძლებელი მოვლენა გახდა (Sisk, 1996).

მაგალითად, ბოსნიის ომში ნატოს მიერ ბოსნიელ სერბებზე მიტანილი საავიაციო იერიშებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდგომ პროცესებზე. შედეგად,

ბოსნიასთან მიმართებაში 1995 წლის ნოემბერში დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე კონ-ფედერალური ძალაუფლების განაწილების შეთანხმება იქნა მიღწეული (Sisk, 1996).

თუმცა უკვე 1992 წლის ოქტომბერში, გაეროს და ევროკავშირის მედიატორებმა, საირუს ვენსმა (Cyrus Vance) და ლორდ დევიდ ოუენმა (The Lord Owen), ბოსნიის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის წარმოადგინეს ახალი საკონსტიტუციო მოდელი, რომელიც ითვალისწინებდა კონფედერაციის ფარგლებში შვიდიდან ათამდე ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი პროვინციების შექმნას (Sisk, 1996). აღნიშნული საკონსტიტუციო მოდელი როგორც კონსოციონალური ისე ინტეგრაციული მექანიზმების ერთ გაერთიანებულ პაკეტს გულისხმობდა (Sisk, 1996).

მიუხედავად ამგვარი მოდელის შეთავაზებისა, ვერ მოხერხდა ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მიმართებაში ძალაუფლების უფრო ინტეგრაციული გაზიარების და ტერიტორიული დაყოფის გადაწყვეტილების მიღება. შედეგად ვერ იქნა თავიდან აცილებული პროვინციების (ავტონომიური ერთეულების) ეთნიკური იდენტობების მიხედვით დასახელება და დაყოფა (Sisk, 1996).

ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მიმართებაში, მიუხედავად იმ ნორმატიული შედეგებისა რაც უკავშირდება ომის შედეგად მოპოვებული ტერიტორიების დაკანონებას და რატიფიცირებას, მიღებულმა შედეგმა რეალურად აჩვენა რომ როდესაც კონფლიქტური დაპირისპირებები იმდენად ღრმავდება როგორც ეს ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში მოხდა, გარე მედიატორების მიერ ტერიტორიის დანაწილება ან რადიკალური დაყოფა შეიძლება აღმოჩნდეს ერთადერთი შესაძლო გამოსავალი მშვიდობის მისაღწევად (Sisk, 1996).

ბოსნია-ჰერცეგოვინის სამშვიდობო ჩარჩო ხელშეკრულება, რომლის ინიცირება დეიტონში (Dayton Agreement) ხოლო ფორმალური გაფორმება პარიზში 1995 წელს მოხდა, არა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაა, არამედ ამ ხელშეკრულებით დაფუძნდა ომის შემდგომი პოლიტიკური მოწყობა. ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავდა ქვეყნის კონსტიტუცია და დადგინდა სახელმწიფო-მშენებლობის ძირითადი პრინციპები (Bieber, 2010).

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სამშვიდობო ჩარჩო ხელშეკრულებით ბოსნია-ჰერცეგოვინა მიუერთდა ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ ყველა ევროპულ თუ საერთაშორისო კონვენციებს, აღნიშნული ხელშეკრულება ავალდებულებდა ხელისუფლებას დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნებას. გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმება ომის შემდგომი სამართლიანობის აღდგენის პრინციპებიდან გამომდინარეობდა. აგრეთვე, სამშვიდობო ჩარჩო ხელშეკრულება აღიარებდა ომის შედეგად მიღებულ ეთნო-ტერიტორიულ ავტონომიებს (ეთნიკური ნიშნით შექმნილი ავტონომიის ხისტი ფორმა) (Bieber, 2010).

პოლიტიკური სისტემა რომელიც დეიტონის შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბდა კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ ორ ტერიტორიულ ერთეულს აღიარებდა: რესპუბლიკა სპრსკას (სერბული რესპუბლიკა) და ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაციას (Bieber, 2010). ბოსნია-ჰერცეგოვინას ფედერაცია, რომელიც 1994 წელს ბოსნია-ხორვატიის ომის დასრულების შედეგად შეიქმნა, შედგება მყიფე ფედერალური მოწყობის ქვეშ გაერთიანებულ ათი ერთეულისგან (კანტონისგან) და წარმოადგენს ძირითად ჩარჩოს საკონსტიტუციო მოწყობისთვის (Bieber, 2010). ფედერაციის ერთ-ერთი კომპონენტი, სერბული რესპუბლიკა, 1992 წელს შეიქმნა როგორც სეცესიური ერთეული, რომლის მიზანსაც სერბეთთან შეერთება წარმოადგენდა (Bieber, 2010).

მიუხედავად იმისა რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა განიხილება როგორც ფედერაცია და შესაბამისმა ფედერაციულმა მთავრობამ დროთა განმავლობაში მოახერხა კიდევ ძალაუფლების გარკვეულ დონეზე აკუმულირება, ბოსნიის შემადგენელი ორი პარტნიორი სახელმწიფო, ბოსნიელ მუსლიმთა და ხორვატთა ფედერაცია და ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკა, ჯერ კიდევ სარგებლობს დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის მახასიათებელი მნიშვნელოვანი კომპეტენციებით (McCormick, 2011).

აქედან გამომდინარე, ბოსნიის შემადგენელ თითოეულ ამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს გააჩნია თავისი საკუთარი მმართველობის სისტემა, პრეზიდენტის, საკანონმდებლო ორგანოს, სასამართლოს, სამართალდამცავი ორგანოების და სხვა ინსტიტუტების სახით. მაგრამ, მათ აერთიანებთ ბოსნიის საერთო ფედერაციული მთავრობა. საერთო, კოლექტიურ სახელმწიფო მეთაურს პრეზიდენტის თანამდებობა

წარმოადგენს, რომელიც ყოველი რვა თვის შემდეგ (4 წლის ვადით) როტაციის პრინციპით მონაცვლეობს სერბ, ბოსნიელ მუსლიმ და ხორვატ წარმომდგენლებს შორის (McCormick, 2011).

რაც შეეხება დემოკრატიული სტაბილურობის პერსპექტივებზე ამგვარი კონსოციონალური პოლიტიკური სისტემის ზეგავლენას, ბოსნია-ჰერცეგოვინას კონსტიტუცია ძირითადად უფრო ეთნოსებს შორის აკომოდაციას და კონფლიქტში ჩართულ მხარეთა შორის კომპრომისების მიღწევას ეფუძნება ვიდრე დემოკრატიზაციის პრინციპებს (Bieber, 2010).

მთავარი ნაკლოვანებები რაც აღნიშნულ მოწყობასთან მიმართებაში გამოიკვეთა პირველ რიგში ეხება იმ გარემოებას, რომ გამომდინარე ეთნიკური ნიშნით ტერიტორიების დანაწილებისა, მოხდა უამრავი მოქალაქის პოლიტიკური პროცესებისგან გარიყვა. მეორე, სხვა იდენტობის მახასიათებლებთან მიმართებაში (ვთქვათ უფრო საერთო სამოქალაქო და ლიბერალური პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება), კიდევ უფრო გამყარდა ეთნიკური იდენტობის უმთავრესი მნიშვნელობა და უპირატესობა. ბოლოს, რაც შეეხება პარტიულ სისტემების ფორმირებას, ეთნიკური ნიშნით ასეთმა მძაფრმა სოციალურმა დაყოფამ ხელი შეუშალა ფართო და საერთო ეროვნული პარტიის გამოჩენას (Bieber, 2010).

ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსოციონალური მიდგომების და მოწყობის შედეგად ამ ახლადშექმნილ ქვეყანაში შესამჩნევი გახდა ეთნოსის უპირატესობა დემოკრატიზაციაზე, ეთნიკური ფრაგმენტაციის ეკონომიკურ რეფორმებზე, ხოლო სახელმწიფო მშენებლობაში ადგილობრივ ინიციატივებთან შედარებით მეტი უპირატესობის მინიჭება საერთაშორისო და გლობალურ აქტორებზე (Bieber, 2010).

შესაბამისად, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ფორმალურად კი მიიჩნეოდა როგორც სრულიად დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა, თუმცა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებიდან გამომდინარე მას მაინც აკლდა სრული სუვერენიტეტი. აღნიშნული შეთანხმება ქვეყნის მართვაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა საერთაშორისო და გლობალურ აქტორებს. შესაბამისად, ბოსნია ხშირად მოიხსენიებოდა როგორც ნახევრად

პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყანა ან კონტროლს დაქვემდებარებული დემოკრატია (Bieber, 2010).

მაგალითად, დეიტონის შეთანხმების სამოქალაქო ასპექტების განხორციელების მიზნით, საერთაშორისო საზოგადოების მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინაში შეიქმნა უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი (Merdzanovic, 2015). საერთაშორისო საზოგადოების მიერ ბოსნიაში შექმნილ ამ უმაღლესი წარმომადგენლის კაბინეტს, 1997 წლიდან დამატებითი მიენიჭა საკანონმდებლო უფლებამოსილება, რაც კანონის მიღების უფლებას გულისხმობს. აღნიშნული უფლება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ხდება აქტუალური თუ ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო ვერ შეძლებს კანონის მიღებას რაიმე მიზეზის გამო. ხსენებულ უწყებას ასევე მიენიჭა იმ საჯარო მაღალჩინოსნების თანამდებობებიდან განთავისუფლების უფლებამოსილება, რომლებიც რაიმე ფორმით არღვევენ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების პირობებს (Merdzanovic, 2015).

ამას გარდა, ბოსნიის შემთხვევაში, ვერცერთი ცალკეული ეთნო ჯგუფი უმრავლესობას ვერ ქმნის. მაგალითად, ბოსნიელები (ან ბოსნიელი მუსლიმები) შეადგენენ მოსახლეობის 48 პროცენტს, სერბები 37-ს, ხოლო ხორვატები 14 პროცენტს (Fraser, 2013). რაც შეეხება ბოსნიის პოლიტიკურ სტრუქტურას, ძალაუფლების გაზიარების სახელმწიფო სტრუქტურები მყიფე კონსოციონალური და კვაზი კონფედერაციული პრინციპებით არიან მოწყობილნი და ფორმალურად არც ერთ ტიტულარულ ერს არ აღიარებენ. თუმცა, ეს სახელმწიფო სტრუქტურები ქმნიან ეგრეთწოდებულ მმართველ ტრიუმვირატს, რომელიც სამი დამფუძნებელი ეთნიკური ჯგუფისგან (ბოსნიელები, სერბები და ხორვატები) შედგება (Fraser, 2013). რაც შეეხება ბოსნიის სახელისუფლებო სტრუქტურების გამართულობას და სტაბილურობას, შესაძლებელია ითქვას, რომ ეს სტრუქტურები საკმაოდ დასუსტებულია. მაგალითისთვის, აღსანიშნავია ის, რომ ხშირად ბოსნიელი სერბი თუ ხორვატი პოლიტიკოსები არსებული ძალაუფლების გაზიარების სტრუქტურის დასასუსტებლად იყენებენ ეთნიკურ და ტერიტორიულ ვეტოს უფლებას (Fraser, 2013).

გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ ბოსნია ჰერცეგოვინაში მცხოვრები სერბი და ხორვატი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც ინარჩუნებს აქტიურ კავშირებს

თავიანთ მეზობელ ტიტულარულ ერ-სახელმწიფოებთან, სერბეთთან და ხორვატიასთან (Fraser, 2013). თავის მხრივ კი ხორვატიის და სერბეთის ნაციონალისტური რეჟიმები ხელს უწყობდნენ ომისდროინდელი ბოსნიის ხორვატიული და სერბული სეცესიური ერთეულების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას (Fraser, 2013).

შედეგად, განსხვავებით სხვა ევროპული თუ არა ევროპული ფედერაციებისგან, ბოსნიის სახელმწიფოს ცენტრალური სტრუქტურა აღჭურვილ იქნა საკმაოდ მცირე უფლებამოსილებებით, რესურსებით, და სააღსრულებლო მექანიზმებით (Fraser, 2013). მეტიც, ბოსნიის შემთხვევაში რთული აღმოჩნდა კონსენსუსის მიღწევა თუნდაც ისეთ მინიმალურ სახელმწიფოებრივ პრინციპებზე, როგორცაა მოქალაქეების მიმართ საერთო ეროვნული პოლიტიკის განხორციელება (Fraser, 2013).

რაც შეეხება ომის შემდგომ სერბეთსა და ბოსნიელ სერბებს შორის და ხორვატიასა და ბოსნიელ ხორვატებს შორის ურთიერთობებს, როგორც კი ომი აღარ შედიოდა სერბეთის და ხორვატიის რეჟიმების ეროვნულ ინტერესებში მათ აიძულეს თავიანთი შესაბამისი სატელიტური რეჟიმები ბოსნიაში რომ მიეღოთ სამშვიდობო შეთანხმება (Fraser, 2013). მიუხედავად ამისა, თითქმის მთელი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ბოსნიის სერბული და ხორვატული რეჟიმები უფრო ინტეგრირებულები იყვნენ სერბეთთან და ხორვატიასთან ვიდრე ბოსნიასთან (Fraser, 2013). ხოლო, როდესაც 2000 წელს სერბეთის და ხორვატიის ნაციონალისტურმა რეჟიმებმა დაკარგეს ძალაუფლება, შესაბამისად შეიცვალა ამ ქვეყნების მიდგომები თავიანთი მონათესავე ერების მიმართ ბოსნიაში (Fraser, 2013).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ რაც დღეს ბოსნია-ჰერცეგოვინას აწუხებს, მყიფე მმართველობის არსებობის სახით, არ არის იმდენად გამოწვეული მეზობელი სახელმწიფოების ირედენტისტული მიდგომების შედეგად, რამდენადაც უფრო შედეგია იმ სამშვიდობო შეთანხმების, რომელმაც გაამყარა ქვეყნის ომის დროინდელი ტერიტორიული დაყოფა და შექმნა სუსტი ძალაუფლების გაზიარების სისტემა. თავის მხრივ, ამგვარი სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკმარის შესაძლებლობებს სტაბილური პოლიტიკური თანამშრომლობისთვის (Fraser, 2013).

მნიშვნელოვანია, ასევე ხაზი გაესვას ბოსნიის სახელმწიფო უსაფრთხოებაში და პოლიტიკურ სტაბილურობაში ევროპეიზაციის და ევროინტეგრაციის პროცესების როლს. ცნობილია რომ გაფართოება არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ყველაზე ეფექტური მექანიზმი და რომ ევროკავშირში სრულუფლებიანი გაწევრიანების სანდო პერსპექტივის შეთავაზებით ევროკავშირს საშუალება მიეცა ასპირანტი ქვეყნებისთვის ეკარნახა ის პირობები, რამაც იმოქმედა კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციაზე (Fraser, 2013).

მაგალითად, ბოსნიაში მეტი ინტეგრაციული პროცესების წახალისებაში და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაში ევროკავშირის გავლენა ნაწილობრივ წარმატებული გამოდგა. თუმცა, ევროკავშირის ტრანსფორმაციულმა ძალამ იკლო როგორც კი შესუსტდა საერთაშორისო სანქციების დაწესების შესაძლებლობები და კვლავ საშუალება მიეცათ ბოსნიელ სერბ პოლიტიკოსებს ღიად და დაუფარავად კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინათ ცენტრალური ძალაუფლების გაზიარების ინსტიტუტები (Fraser, 2013).

შედეგად, ზოგიერთი მკვლევარი ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევას კონსოციალურ თეორიაში ახალი ტიპის კონსოციონალურ მოდელად მოიაზრებს რომელსაც შესაძლოა გარე აქტორების მიერ თავსმოხვეული კონსოციონალიზმი ვუწოდოთ და რომელიც შესაძლოა სპეციფიკურ პოსტ-კონფლიქტურ კონსოციონალურ სახელმწიფოებს მოერგოს (Merdzanovic, 2015).

შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის შემთხვევა ახლო თანხვედრაშია კონსოციონალური დემოკრატიის პრინციპებთან, როგორც პროპორციულობით, ისე სამ ძირითად ეთნოს შორის ძალაუფლების თანაბარი გაზიარებით, ასეთმა მოცემულობამ შექმნა სრულიად ახალი ტიპის კონსოციონალური სისტემა, სადაც კონსოციონალიზმის ძირითადი უპირატესობები თავდაყირაა დაყენებული და სადაც დღემდე ვერ იქნა მიღწეული სტაბილური დემოკრატიული მმართველობა (Merdzanovic, 2015).

თავი მეორე: სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები პოსტსაბჭოთა საქართველოში

მეორე თავში განვიხილავთ საბჭოთა ტიპის მოწყობის იმ ინსტიტუციური მემკვიდრეობის თავისებურებებს რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს საქართველოში უმცირესობების მიმართ პოსტსაბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე და განხორციელებაზე. ამას გარდა, ამავე თავში, განსაკუთრებით ქვეყნის პოლიტიკურ აკომოდაციასთან და დემოკრატიულ კონსოლიდაციასთან მიმართებაში (მაგალითად, სამოქალაქო თანასწორობის, თავისუფლებებისა და უფლებების კუთხით სოციალურ ჯგუფებს შორის ძალაუფლების პროპორციული განაწილება), შევისწავლით საქართველოში უმცირესობების მიმართ გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგებს ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდებში.

შესაბამისად, ამ თავის მიზანია დადგენა იმის თუ როგორი იყო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში უმცირესობების მიმართ განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა. ასევე მეორე თავში ვეცადეთ დაგვედგინა ამ მიდგომებს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები მათი მახასიათებლებისა და შედეგების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ამ ნაწილში შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვაზე თუ რა მიზეზების შედეგად შეძლო ან ვერ შეძლო საქართველოში ახლად-წარმოქმნილმა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურმა ელიტამ და მათთან ერთად ქვეყნის ინსტიტუციურმა მოწყობამ პოლარიზებულ საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებების კონსენსუსზე დაფუძნებული პრინციპების მიხედვით მოგვარება.

ამ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მეორე ნაწილი ოთხ ცალკეულ ქვეთავად დაყვავით სადაც თითოეულ ქვეთავში განვიხილეთ და შევაფასეთ პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს სხვადასხვა რეჟიმის პირობებში არსებული სტრუქტურული მახასიათებლები. ამას გარდა, ამ თავში განვიხილეთ სახელმწიფო დონეზე მიღებული ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საქართველოში პოლიტიკური აკომოდაციის და დემოკრატიული კონსოლიდაციის პერსპექტივებზე. საბოლოო შეჯამების სახით ვეცადეთ აგვეხსნა

უმცირესობების მიმართ დღემდე გატარებული პოსტსაბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებები და თავისებურებები და მათი შედეგები განსაკუთრებით უმცირესობების წარმატებულ ინტეგრაციასთან და აკომოდაციასთან მიმართებაში.

2.1. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (1990-1991)

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მიხილ გორბაჩოვის მიერ წამოწყებული რეფორმები მიზნად ისახავდა კოლასის პირას მისულ კავშირში რაიმე დოზით დემოკრატიული და პლურალისტული რეფორმები განხორციელებულიყო. თუმცა, საბჭოთა მმართველობის ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეებზე არსებული ინსტიტუციური მოწყობა და გადაწყვეტილების მიღების სისტემური მახასიათებლები (განსაკუთრებით უმცირესობების საკითხების გადაჭრის მიმართ) კვლავ მკვეთრად ცენტრალიზებული, ხისტი, მაჟორიტარული, ექსკლუზიური და უკომპრომისო მიდგომებით გამოირჩეოდა. ამგვარი ცენტრალიზებული და მაჟორიტარული ვერტიკალიდან გამომდინარე, მმართველობის ცენტრალურ თუ ადგილობრივ საბჭოებში ფორმალური თუ არაფორმალური ძალაუფლების მთელი ბერკეტები თავმოყრილი იყო ერთი რომელიმე დომინანტი ჯგუფის ხელში რომელიც კომუნისტური პარტიის სახელით მოქმედებდა (Hale, 2004).

საქართველოში საბჭოთა მმართველობის დროს დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმის შემკვიდრებიდან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური სისტემაც საკმაოდ დომინანტური გამოდგა. ამგვარი დომინანტური პარტიების გავრცელება კი გამოიხატებოდა იმაში რომ სათავეში მოსული ყოველი მომდევნო პოლიტიკური პარტია თუ მმართველი თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა თითქმის ყოველგვარი შეკავებისა და დაბალანსების ინსტიტუციური მექანიზმების გარეშე. ხშირად უმცირესობების აზრის გაუთვალისწინებლად, დომინანტური პარტიით ან ჯგუფით დაკომპლექტებული საკანონმდებლო ორგანო იღებდა არამხოლოდ ნებისმიერ კანონს ან საკანონმდებლო ცვლილებას, არამედ საკონსტიტუციო ცვლილებებსაც დაახლოებით ისე როგორც ეს საბჭოთა ერთპარტიული რეჟიმის დროს ხდებოდა (Freedom House, 2017).

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ წრეებში სიტყვა დემოკრატია (როგორც კონცეპტუალურად ისე პროცედურულად) ხშირად დღემდე მოიაზრება როგორც უმრავლესობის დიქტატი რომლის თამაშის წესების მიხედვითაც არჩევნებში გამარჯვებული ერთი რომელიმე დომინანტი პოლიტიკური ძალა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საერთოდ არ ითვალისწინებს უმცირესობათა ჯგუფების მიერ წამოყენებულ საკითხებს, როგორც ეს კონსენსუსზე დაფუძნებულ სისტემებში გვხვდება (Lijphart, 2012). შესაბამისად, დემოკრატიის ასეთი მაჟორიტარული გაგება ითვალისწინებს იმას, რომ არსებული თამაშის წესები საშუალებას მისცემს ნებისმიერ დომინანტურ ჯგუფს სრულიად უგულვებელყოს ნებისმიერი უმცირესობის პოზიცია განსაკუთრებით მაშინ თუ ეს პოზიცია წინააღმდეგობაში მოდის ძალაუფლებაში მყოფი რომელიმე დომინანტური პარტიის ან ძალის პოზიციასთან (Freedom House, 2017).

მაგალითად, ტრანზიციის პერიოდში, ცენტრალური ევროპის და ბალტიის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტებს შორის ზომიერი ურთიერთობები და კომპრომისების საფუძველზე მიღწეული შეთანხმებები შეინიშნებოდა. განსხვავებით საქართველოში, სწრაფად დისკრედიტირებული საბჭოთა რეჟიმი და მასთან ერთად კომუნისტური იდეოლოგიაც მყისიერად რადიკალური ნაციონალისტური იდეოლოგიით შეიცვალა რაც ხშირად ეთნო-ნაციონალურ და რელიგიურ საფუძველებს უფრო ეყრდნობოდა ვიდრე სამოქალაქოს და დემოკრატიულს (Broers, 2008). მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, ლიტვის შემდეგ, მეორე რესპუბლიკა იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო პირველი რომელმაც უკვე 1990 წელს მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის შემოღება სცადა, საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ელიტებში გაბატონებული იყო ურთიერთ შეურიგებელი და რადიკალური მიდგომები რამაც თავის მხრივ მეტად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ტოლერანტული და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებაზე (გაჩეჩილაძე, 2017). ამგვარი მოცემულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ ახლად წარმოქმნილ პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ ელიტებში დემოკრატიული და ლიბერალური პრინციპები ან საერთოდ იქნა უგულვებელყოფილი

ან ნაკლებად გათვალისწინებული. ხსენებული რადიკალური ნაციონალიზმი ეფუძნებოდა ერის თვითგამორკვევის უფლებებს და ვიქტიმიზაციას (მაგ., მეტწილად ჩაგრულის როლის მორგება რაც ხშირად ვლინდებოდა სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების მიმართ უნდობლობაში და უარყოფით დამოკიდებულებებში), რომლის მიხედვითაც ათწლეულების განმავლობაში ჩაგრული ქართველი ერი განიცდიდა საბჭოთა რეჟიმის მხრიდან რეპრესიებს და ასიმილაციას (Nodia, 2005).

გამომწვევი მიზეზი რომელმაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში საქართველოს თითქმის მთელ პოლიტიკურ სპექტრში ნაციონალისტური იდეოლოგიის მოძალებას უკავშირდება 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ სისხლიან დარბევას. მომხდარს რაც შეეხება, აღსანიშნავია რომ საბჭოთა სპეცდანაყოფებმა სასტიკი მეთოდებით დაშალეს რუსთაველის მოედანზე გამართული ანტისაბჭოთა მშვიდობიანი დემონსტრაცია. ამ დარბევას დაახლოებით ოცი ადამიანი შეეწირა, რომელთა შორისაც უმეტესობა ქალი იყო. საბჭოთა ცენტრალური მმართველობის მიერ ამგვარი რეპრესიული მიდგომებიდან გამომდინარე საჯარო პოლიტიკის შინაარსი საქართველოში ამ დროისათვის უფრო გაჯერებული და განპირობებული იყო რადიკალური ანტისაბჭოთა დაუმორჩილებლობით და ნაციონალიზმით ვიდრე ზომიერი სამოქალაქო და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული პატრიოტიზმით (De Waal, 2010). მეტიც, ამ ყველაფერს თან ახლდა მკვეთრად ცენტრალიზებული და მაჟორიტარული ინსტიტუციური მემკვიდრეობა, რომელიც საქართველოს საბჭოთა რეჟიმისგან ერგო და რომელიც თავის მხრივ დიდ დაბრკოლებას უქმნიდა მაშინდელ მოქმედ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო აქტორებს, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესი ყოფილიყო მოლაპარაკებების და კონსენსუსზე დაფუძნებული თანხმობის შედეგი.

აქედან გამომდინარე, საქართველოში იმ დროისთვის არსებული უნდობლობით და ნაციონალისტური განწყობებით გაჯერებული ვითარება გარკვეული ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიმართ (მაგ., ოსები, აფხაზები...) ხშირად გამოიხატებოდა ხისტი დამოკიდებულებებით (გაჩეჩილაძე, 2017). ანუ ხშირად ეს ჯგუფები, მათი პოლიტიკური პოზიციებიდან გამომდინარე (მაგალითად, ლოიალურობა კრემლის

პოლიტიკის მიმართ, სეპარატიზმი), მოიაზრებოდნენ ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან როგორც კრემლის მიერ მოსყიდული ეგრეთწოდებულ „მეხუთე კოლონად“ ან უშიშროების აგენტებად რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სვლის შეჩერება ან ძირის გამოთხრა სურდათ (Matsaberidze, 2014).

იგრძნეს რა აფხაზებმა და ოსებმა საშიშროება რომ ქართული ეროვნული მოძრაობა მათ პრივილეგიებულ მდგომარეობას საფრთხეს შეუქმნიდა, მათ ამგვარ საფრთხეს კონტრ-მობილიზაციებით უპასუხეს (Cornell, 2002). შედეგად, აფხაზურმა და ოსურმა ეროვნულმა მოძრაობებმა ყველა მათ ხელთ არსებული საშუალებებით (მაჟორიტარული ინსტიტუციური მოწყობა, მოსკოვის დახმარება, პროპაგანდა) დაიწყეს ბრძოლა საქართველოს იურისდიქციიდან გამოსასვლელად და საბჭოთა კავშირში საკავშირო რესპუბლიკების სტატუსით შესასვლელად (Koiava, 2016). მაგალითად, დონალდ როთჩილდი აღნიშნავს რომ პოლიტიკური მობილიზაციის მიზნით პოლიტიკურმა ელიტებმა თავიანთი მოსახლეობის მანიპულირება შესაძლოა ეთნიკური სიმბოლიკის გამოყენებით მოახდინონ, რადგან ეთნიკური ჯგუფი არის სწორედ ის საფუძველი საიდანაც ჯგუფი საერთო ინტერესებისთვის გაერთიანებას შეძლებს (Rothchild, 2009).

ამგვარი ვიწრო ნაციონალისტური დამოკიდებულებები კიდევ უფრო მეტად ხელს უწყობდა ეთნიკური დაძაბულობის გაღვივებას, განსაკუთრებით საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში. მეტიც, ეთნო-ნაციონალიზმის მოძალების პარალელურად საქართველოში საბჭოთა მემკვიდრეობით გადმოცემული ცენტრალიზებული და მაჟორიტარული ინსტიტუტები და სტრუქტურები კიდევ უფრო ართულებდა კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას (Gallina, 2010). შედეგად, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ვითარება ნაკლებ ადგილს ტოვებდა უმცირესობათა უფლებების საკითხებზე გააზრებული განხილვებისათვის. რადიკალურ ნაციონალისტურ განწყობებს დამატებული საბჭოთა ტიპის მაჟორიტარული, ინსტიტუციონალური, სტრუქტურული თუ აქტორული მახასიათებლები სავალალო აღმოჩნდა ჩანასახში მყოფი ქართული სახელმწიფოსთვის. ამგვარმა გარემოებებმა განაპირობა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების მიმართ

დისკრიმინაციული რიტორიკის და ხისტი მიდგომების გამოყენება. თავის მხრივ, ასეთმა გაუთვლელმა და არასტაბილურმა სახელმწიფო მიდგომებმა ხელი შეუწყო ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი ძალადობრივი კონფლიქტების გაღვივებას და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას, რომელიც მალე სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა (Zurcher, 2007).

ეთნიკური უმცირესობების მიმართ მაშინდელ მიღებულ კანონებს რაც შეეხებათ, აღსანიშნავია ე. წ. "კანონი ენის შესახებ", რომელიც 1989 წლის აგვისტოში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) უზენაესი საბჭოს მიერ იქნა მიღებული. მიღებული კანონი ითვალისწინებდა ქართული ენის სავალდებულო გამოყენებას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, იმის გაუთვალისწინებლად, რომ აფხაზების და ოსების უმრავლესობა ქართულ ენაზე თითქმის საერთოდ ვერ საუბრობდნენ (Zurcher, 2007). ასევე, 1990 წლის მარტში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019), რამაც თავის მხრივ უკანონოდ სცნო და გააუქმა 1921 წლიდან საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული ყველა ხელშეკრულება. მათ შორის, ხელშეკრულებები აფხაზების და ოსების უფლებებისა და ავტონომიური სტატუსების შესახებ (Zurcher, 2007). გარდა ამისა, საქართველოში პირველი მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, იმავე საკანონმდებლო ორგანომ კანონის მიღებით აუკრძალა რეგიონულ პარტიების არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა. რეფერენდუმის მონაწილეებს შემდეგ კითხვაზე უნდა ეპასუხათ: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ გამოკითხვაში მონაწილეობა სამ მილიონ სამასი ათასზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო. გამოკითხულთა 98 პროცენტმა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი რესპუბლიკის არაქართველი

მოსახლეობის უმეტესობამაც დაუჭირა. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2019).

თუმცა თანდათანობით საქართველოში ცენტრსა და რეგიონებს შორის მაშინ არსებულ დაძაბულ ურთიერთობებს სიტუაციის კიდევ უფრო მეტად გაურესება მოჰყვა. როგორც ჩანს ამ რთული გარდამავალი პერიოდის არასათანადოდ გააზრებით, პოპულარობის ზენიტში მყოფმა საქართველოს ეროვნულმა ლიდერმა, ზვიად გამსახურდიამ უმცირესობების ჯგუფების მიმართ გამოიყენა პოპულისტური და ეთნონაციონალისტური რიტორიკა (გამსახურდია, 1990-1991). მაგალითად, იმის მაგივრად რომ აფხაზები და ოსები განხილული ყოფილიყვნენ როგორც საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა, გამსახურდია ხშირად მის საჯარო გამოსვლებში ეთნიკურ უმცირესობებს (მათ შორის აფხაზებს და ოსებს) მიიჩნევდა ემიგრანტებად და არ ცნობდა მათ ავტონომიურ უფლებებს (გამსახურდია, 1990-1991). გამსახურდიას მიერ უმცირესობების მიმართ მსგავსმა დისკრიმინაციულმა ლექსიკამ, როგორცაა „სტუმრები“, „კრემლის აგენტები“, „ერის მოღალატეები“, ხელი შეუწყო საქართველოს ცენტრალურ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შესაბამის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ეგრეთწოდებულ ურთიერთ-საპასუხო „საკანონმდებლო ომს“ (Berglund & Blauvelt, 2016).

უფრო მეტიც, 1989 წელს, ზვიად გამსახურდიამ აჭარაში გამართულ ერთ-ერთ საჯარო შეკრებაზე აგრესიული რელიგიურ-ნაციონალისტურ, ანტი-თურქულ და ანტი-რუსული რიტორიკის გამოყენებით (მაგ., გამსახურდიამ თურქეთი და რუსეთი დაადანაშაულა საქართველოსთვის აჭარის წართმევის მცდელობებში), ღიად განაცხადა, რომ სურდა აჭარის ავტონომიის საერთოდ გაუქმება (გამსახურდია, 1989). თუმცა, აჭარას რაც შეეხება, დაპირისპირება არ გადაზრდილა ძალადობრივ კონფლიქტში და აჭარამ თავისი ავტონომიური სტატუსის დაცვა რადიკალური სეპარატიზმის გარეშე მოახერხა (Zurcher, 2007).

ძალაუფლების ცენტრალიზაციისკენ მიმართული გამსახურდიას შემდგომი მცდელობები მის მიერ დანიშნულ პრეფექტებს ეხება. პრეფექტების დანიშვნის მიზანი

ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონების გაკონტროლება წარმოადგენდა (Berglund & Blauvelt, 2016). მაგალითად, მის მიერ ამგვარმა ცენტრალიზაციისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა მძაფრი წინააღმდეგობა გამოიწვია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ჯავახეთში და ქვემო ქართლში. თუმცა აღსანიშნავია, რომ სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან წარმოქმნილი დაპირისპირება არ გადაზრდილა ძალადობრივ სეპარატისტულ კონფლიქტში როგორც ეს აფხაზების და ოსების შემთხვევაში მოხდა (Berglund & Blauvelt, 2016).

რაც შეეხება გამსახურდიას მმართველობის პერიოდში აღმოჩენილ ადამიანის უფლებების დარღვევებს, აღსანიშნავია ბრალდებები სიტყვის, შეკრების, გამოხატვის და სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვების შესახებ. მაგალითად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას რაც შეეხება აღსანიშნავია კანონის მიღება რომელიც კრძალავდა პრეზიდენტის კრიტიკას. შეკრების თავისუფლების აკრძალვას რაც შეეხება, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს საქართველოს კომუნისტური პარტიის აკრძალვა და მომიტინგეების დარბევები. გარდა ამისა, გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ისმოდა ბრალდებები პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ (მაგ., პოლიტიკურ მოტივებით დაპატიმრებულ პირებთან ერთად მოიაზრებოდა თორეზ კულუმბეგოვიც, რომელიც მაშინ სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოვალეობას ასრულებდა). გამსახურდიას მიმართ წაყენებულ ბრალდებებში პოლიტპატიმრების მიმართ უფლების შემლახველი მოპყრობაც სახელდება. მაგალითად, იყო პატიმრების ცემის და მათ მიმართ არაადამიანური მეთოდების გამოყენების შემთხვევები. ასევე, სამხრეთ ოსეთის ოლქში განვითარებულ პროცესებს რაც შეეხება, გამსახურდიას მთავრობას ადანაშაულებდნენ სეპარატისტულად განწყობილი ოსების წინააღმდეგ შეირაღებული თავდასხმების ხელშეწყობაში ან გულგრილობაში (News From Helsinki Watch, 1991).

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ მიუხედავად ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობებისა, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ სცადეს ძალაუფლების გაზიარების შესახებ შეთანხმების მიღწევა. შეთანხმება ითვალისწინებდა

საარჩევნო სისტემის ისეთი წესით რეფორმირებას სადაც საარჩევნო ოლქები ეთნიკური მიკუთვნებულობით განისაზღვრებოდა (Zurcher, 2007). კერძოდ, ამ მოდელის მიხედვით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული მოსახლეობა ახალ 65 ადგილიან ავტონომიური საკანომდებლო ორგანოში (1989 წელს 45.7%) 26 ადგილს მიიღებდა, აფხაზური მოსახლეობა (17.8%) 28 ადგილს ხოლო სხვა ჯგუფები (სომხები 14.6%, რუსები 14.3%) დარჩენილ 11 ადგილს მიიღებდნენ (Zurcher, 2007). ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით, კონსტიტუციურ საკითხებზე რეზოლუციების მიღება ხმების ორი მესამედის უმრავლესობით უნდა მომხდარიყო, რაც გულისხმობდა იმას რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება მხოლოდ სხვა ძირითადი ჯგუფის წევრების თანხმობით იყო შესაძლებელი. თუმცა, გამსახურდიას მთავრობის განდევნის შემდეგ, აღნიშნული ე.წ. "ძალაუფლების გაზიარების შესახებ მიღწეული გარიგება" დაუყოვნებლივ იქნა უგულებელყოფილი როგორც ცენტრალური ისე ავტონომიური ხელისუფლებების მიერ. აღნიშნული ძალაუფლების გაზიარების შეთანხმების ვერ განხორციელება შეიძლება დავუკავშიროთ შემდეგ ორ მიზეზს: პირველი, ედუარდ შევარდნაძის ადმინისტრაცია ცდილობდა გამსახურდიას მთავრობის დელეგიტიმიზაციას და შესაბამისად ეს გარიგებაც წარმოჩინდა როგორც ეროვნული ინტერესების ღალატად (Zurcher, 2007). მეორე მიზეზს რაც შეეხება, უფრო რადიკალური სეცესიური მოთხოვნების დაყენებით, აფხაზეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა ესარგებლა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში შექმნილი არეულობით.

სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შემთხვევებისგან განსხვავებით, შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება მოხერხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიის ხანგრძლივი გავლენის შედეგად, აჭარელთა ნაწილი სუნიტი მუსლიმია (დაახლოებით 65% ქრისტიანი და 30% მუსლიმი) (European Centre for Minority Issues, 2012). მიუხედავად იმის, რომ აჭარლები 1917-1921 წლებში რუსების და ქართველების წინააღმდეგ წამოწყებულ ომში თურქებს უჭერდნენ მხარს, ისინი ეთნიკურად ქართველები არიან (Dundua, 2014).

მიუხედავად იმის, რომ საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სამხედრო გადატრიალების და ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების

შედეგად ქვეყანაში სამოქალაქო ქაოსმა, სოციო-ეკონომიკურმა კოლაფსმა და უკანონობამ დაისადგურა (De Waal, 2010). საქართველოში შექმნილი ასეთი რთული და არასტაბილური ვითარება მძიმედ აისახა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სექტორებზე. მაგალითად, იმ დროისთვის ქვეყანას უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები მართავდნენ, რომლებმაც პირველი პრეზიდენტის, გამსახურდიას, და მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, დაიქვემდებარეს პოლიტიკური ძალაუფლების ბერკეტები და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ეკონომიკურ რესურსები (Wheatley, 2009). გარდა ამისა, აღნიშნული შეარაღებული დაჯგუფებები (მაგ., მხედრიონი, ეროვნული გვარდია) თავიანთი კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებებით საზოგადოებაში ნიჰილიზმს და გაუცხოებას ამკვიდრებდნენ (Berglund & Blauvelt, 2016). ლეგიტიმური და დემოკრატიული მანდატის მქონე ხელისუფლების არ არსებობიდან გამომდინარე, საზოგადოება და სახელმწიფო კოლაფსის პირას იმყოფებოდა (Jones, 2013).

ქვეყანაში შექმნილ მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, ე.წ. "ტრიუმვირატის" დროებითმა მთავრობამ (სამხედრო მმართველობა, რომელიც სამი ლიდერისგან შედგებოდა), საქართველოში ბევრისთვის მოულოდნელად, მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძე ჩამოიყვანა. შევარდნაძე გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა და საერთაშორისო საზოგადოებაში დიდი გავლენით სარგებლობდა (Wheatley, 2009). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს არსებული გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც საბჭოთა მემკვიდრეობით იქნა მიღებული, საშუალებას აძლევდა მოქმედ ლიდერებს ყოველგვარი ფართო განხილვების და დემოკრატიული პროცედურების გარეშე ჩამოეყვანათ შევარდნაძე საქართველოში ძალაუფლების გადასაბარებლად.

შეჯამებისთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული კონფლიქტები ეფუძნებოდა ეთნო-ტერიტორიულ მოთხოვნებს რამაც საქართველოში პოლიტიკური ძალადობა და ქაოსი გამოიწვია. ხოლო, ამ კონფლიქტების წარმოქმნის თავიდან ვერ აცილება (განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში)

ძირითადად განპირობებული იყო ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკური ელიტებით და მათ მიერ ყველა სახელისუფლებლო დონეზე (ცენტრალური, რესპუბლიკის თუ ავტონომიების) შემუშავებული და განხორციელებული ცენტრალიზებული და მაჟორიტარული მიდგომებით. თავის მხრივ, საქართველოში შექმნილი ამგვარი რადიკალური მდგომარეობა საბჭოთა ინსტიტუციური მემკვიდრეობის გავლენის შედეგად წარმოიშვა. მაგრამ ასეთი ვიწრო შეხედულების ეთნო-პოლიტიკა, რომელიც თითქმის მთელ პოსტ-საბჭოთა პერიოდის პოლიტიკურ ელიტებს შორის დომინირებდა, ძალიან მცირე შესაძლებლობას თუ ტოვებდა დემოკრატიული პრინციპების მიხედვით გამართული დებატებისთვის, კომპრომისებისთვის და კონსენსუსისთვის, განსაკუთრებით ისეთ საკითხზე როგორცაა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და პოლიტიკური აკომოდაცია.

2.2. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები შვედარდნადის მმართველობის პერიოდში (1992-2003)

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში როდესაც შვედარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, ქვეყანა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის და მწვავე ურთიერთდაპირისპირებების წინაშე იდგა. კერძოდ, სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის) რეგიონში კონფლიქტი ჯერ არ იყო დასრულებული, ხოლო სამეგრელოში გამსახურდია და მისი მხარდამჭერები შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ დეფაქტო ცენტრალურ ხელისუფლებას (De Waal, 2010). სამხედრო გადატრიალების შემდეგ, გამსახურდია და მისი მომხრეები იბრძოდნენ დაკარგული ძალაუფლების აღდგენისთვის. დეფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ წამოწყებულ შეიარაღებულ ბრძოლას გამსახურდია ამართლებდა იმ არგუმენტით რომ ის იყო ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, რომელიც უსამართლოდ იქნა დამხობილი ე.წ. "სამხედრო ხუნტის" მიერ რომელსაც მხარს (ფარულად თუ ღიად) შვედარდნაძე უჭერდა (Zurcher, 2007).

საქართველოში გარდა შიდა ფაქტორებით გამოწვეული არეულობებისა, აღსანიშნავია აგრეთვე რუსეთის, როგორც გარე ფაქტორის, დესტრუქციული და უარყოფითი როლი. რუსეთს, საბჭოთა მემკვიდრეობად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს

შორის ყველაზე დიდი და ყველაზე მძლავრი სახელმწიფო ერგო წილად, რომელსაც ამავდროულად მსოფლიო ლიდერ სახელმწიფოდ დამკვიდრების ამბიციებიც ამოძრავებდა. შესაბამისად, რუსეთი, მიუხედავად შიდა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევებისა და სისუსტეებისა, ცდილობდა ხელი შეეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სვლისთვის. თავდაპირველად, სეპარატისტული რეჟიმების მიმართ რუსეთის მხარდაჭერა იყო არაპირდაპირი. მაგალითად, საქართველოში განვითარებული ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების დროს, რუსეთმა არ ჩაკეტა თავისი საზღვარი საქართველოსთან რითაც საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებულ და გასამხედროებულ ჯგუფებს შემოსულიყვნენ საქართველოში აფხაზი და ოსი სეპარატისტების დასახმარებლად (Human Rights Watch/Helsinki, 1995). გარდა ამისა, ამ კონფლიქტებში საქართველოს მარცხის შემდეგ, რუსეთმა საქართველო აიძულა შეერთებოდა იმ დროისთვის ახლადშექმნილ თავის კონფედერაციულ კავშირს, რომელსაც დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობა (დსთ) ეწოდებოდა. შემდგომში, რუსეთმა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას ჯერ თავისი სასურველი კანდიდატი დაანიშნინა თავდაცვის მინისტრად და შემდეგ აიძულა ხელისუფლება დასთანხმებოდა უკვე რუსეთის ფედერაციის მფლობელობაში მყოფ ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენას (De Waal, 2010).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (ცხინვალის რეგიონში) მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტს რაც შეეხება, რუსეთის შუამავლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. ხელმომწერთა შორის იყვნენ რუსეთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და ჩრდილოეთ ოსეთის და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები (De Waal, 2010). აღნიშნული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული სამშვიდობო შეთანხმების ძირითადი პუნქტების გათვალისწინებით ყველა მხარეს კონფლიქტის ზონიდან თავისი შეიარაღებული ძალების გაყვანა დაევაღათ ხოლო მათ სანაცვლოდ ახლად შექმნილი სამშვიდობო ძალები უნდა განლაგებულიყვნენ, რომლებიც რუსებისგან, ქართველებისგან და ოსებისგან იქნებოდა დაკომპლექტებული. რუსეთის მიერ

თავსმოხვეული ეს შეთანხმება ნიშნავდა იმას რომ საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა იურისდიქცია ცხინვალის რეგიონზე (Zurcher, 2007). ხოლო დსთ-ს გარდა ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ეუთო (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) აღმოჩნდა, რომელმაც კონფლიქტის ზონაში სიტუაციის მონიტორინგს განხორციელება სცადა, თუმცა ძალიან შეზღუდული მანდატით და პასუხისმგებლობით (van Rie, 2009).

იმ პერიოდში, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ ახლად არჩეული პარლამენტის (რომელიც ეკლექტური და მეტწილად შევარდნაძის მომხრე ფრაქციებით იყო წარმოდგენილი) თავმჯდომარეობა ითავა, საქართველოს პოლიტიკა განპირობებული იყო პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებული მწვავე ფრაგმენტაციით და პოლარიზაციით. ამგვარი მყიფე მოცემულობა სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა გონივრულ, კონსენსუსზე დაფუძნებულ და პრაგმატულ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შანსებს (Nodia & Scholtbach, 2006). პოპულიზმის ამგვარი დრამატული ზრდის პირობებში, საზოგადოების დიდი ნაწილი უპირობოდ მიემხრო გავლენიან პოლიტიკურ ლიდერს, ხოლო სხვა ოპოზიციური კანდიდატი ზოგადად როგორც პოტენციურ მოღალატედ ან მტრად განიხილებოდა (Nodia & Scholtbach, 2006). შესაბამისად, ქვეყანაში შექმნილი ამგვარი ქაოტური, შეუწყნარებელი და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების ხელშეწყობით ეხლა უკვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოულოდნელად კიდევ ერთი შეირადებული კონფლიქტი წარმოიშვა, რომელიც საქართველოსთვის გაცილებით უფრო მძიმე შედეგებით დასრულდა (Human Rights Watch/Helsinki, 1995).

საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის კონფლიქტის ესკალაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა იყო (Kolsto & Blakkisrud, 2008). სეპარატისტულად მოაზროვნე აფხაზეთის ხელისუფლებამ, საქართველოს რესპუბლიკიდან სრული გამოყოფით ან მეტი ავტონომიის მოპოვების მიზნით, მიიჩნია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა კიდევ უფრო შეკვეცავდა მათ ავტონომიურ სტატუსს (Human Rights Watch/Helsinki, 1995). აფხაზეთი მხარის ამგვარი შეშფოთება

განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთი, სხვა ავტონომიურ სუბიექტებთან ერთად, განიხილებოდა საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად, რაც ნიშნავდა საქართველოსთან აფხაზეთის თუნდაც კვაზი კონფედერაციული სტატუსის დაკარგვას (საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, 1921).

ქართულ-აფხაზური ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი (რომელიც ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა) ყველაზე უფრო დამანგრეველი და ხანგრძლივი გამოდგა საქართველოსთვის (Goldenberg, 1994). ორივე მხრიდან მძიმე დანაკარგების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევების შემდეგ (Human Rights Watch/Helsinki, 1995), საქართველო კვლავ იძულებული გახდა, რუსეთის პირობებს დასთანხმებოდა და ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. რუსეთის მთავრობიდან სამხედრო, პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერის მოპოვებით და ამასთან ერთად საქართველოში შექმნილი პოლარიზებული და ქაოტური მდგომარეობის გამოყენებით, აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას მიეცა სეპარატიზმის შესაძლებლობა (Zurcher, 2007).

აფხაზეთის დროებითი დაკარგვის და საქართველოს დსთ-ში იძულებითი შესვლის შემდეგ, ძირითადად რუსული სამხედრო ძალების და ქართული გასამხედროებული დაჯგუფებების გამოყენების საშუალებით შევარდნაძემ შეძლო გამსახურდიას და მისი დარჩენილი მხარდამჭერების იოლად განეიტრალება (Human Rights Watch/Helsinki, 1995). მოგვიანებით, შევარდნაძემ (კვლავ რუსეთის ხელშეწყობით) დაიწყო არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფებების აღმოფხვრა სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, ან ხდებოდა მათი ახლადშექმნილ სამართალდამცავ ორგანოებთან შერწყმა ან, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მათი საბოლოო განადგურება (Zurcher, 2007).

რაც შეეხება აჭარას, როგორც კრისტოფ ცურხერი აღნიშნავს, 1993 წელს შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოსა და აჭარას შორის ურთიერთობა შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც დამაბული თუმცა ამავე დროს სტაბილურიც (Zurcher, 2007). აჭარასთან მიმართებაში მიუხედავად ყველა იმ

კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორების არსებობისა (მაგალითად, ავტონომიური სტატუსი და შესაბამისი ინსტიტუტები, რუსეთის სამხედრო ბაზები, რელიგიური განსხვავებები, ნაციონალიზმის მოზღვაება, გეოსტრატეგიული მდებარეობა), ძალადობრივი კონფლიქტი თავიდან იქნა აცილებული.

საქართველოსთვის ამგვარი ხელსაყრელი შედეგი შეიძლება აიხსნას შემდეგი ფაქტორებით, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში გარკვეულ დონეზე პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მაგალითად, პირველ რიგში აღსანიშნავია ქართველებს და აჭარლებს შორის არსებული მჭიდრო კულტურული მსგავსებები რაც იმის საფუძველს იძლევა რომ ეს ხალხები ერთ ეთნოსად განვიხილოთ (მაგ., აჭარლები თავს ქართველებად თვლიან და მიიჩნევენ რომ აჭარა ისტორიულად მუდმივად საქართველოს განუყოფელი ნაწილია (Dundua, 2014)).

მეორე ძირითად ფაქტორს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული კომუნისტური ნომენკლატურის მიერ მოხდა აჭარის მოსახლეობის წარმატებული ასიმილაცია რაც თავის მხრივ განპირობებული იყო საბჭოთა სისტემის მიერ ზოგადად რელიგიების უარყოფით და უფრო მეტად ეთნიკური მიკუთვნებულობის წინ წამოწევით (Zurcher, 2007). ასევე აღსანიშნავია აჭარის მიმართ თურქეთის, როგორც ყოფილი პატრონის, გავლენების შესუსტება, რამაც აჭარლები დანარჩენ საქართველოსთან უფრო მჭიდროდ დააკავშირა (Waal, 2012). გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შესამჩნევია მართლმადიდებლობისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გაზრდილი როლი აჭარის მოსახლეობაში (მაგ., მზარდი გაქრისტიანების ფაქტები აჭარაში) (European Centre for Minority Issues, 2012).

მესამე ფაქტორი უკავშირდება აჭარაში ძველი ნომენკლატურული პატრონაჟის კავშირების შენარჩუნებას რაც გამოიხატებოდა პოლიტიკური ელიტების დონეზე ურთიერთმხარდაჭერაში, თანამშრომლობაში და ურთიერთ-კომპრომისებში. მაგალითად, ამგვარი ნომენკლატურული დამოკიდებულება განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ასლან აბაშიძესა და ედუარდ შევარდნაძეს შორის ჩამოყალიბებულ კოლეგიურ თანამშრომლობაში, რაც თავის მხრივ სეპარატისტული განწყობების წინააღმდეგ გარკვეული სტაბილურობის ფაქტორი აღმოჩნდა.

რაც შეეხება მეოთხე ფაქტორს, იქიდან გამომდინარე რომ საქართველო იმ პერიოდში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულებთან უკვე ჩაბმული იყო სეპარატისტულ კონფლიქტებში, აჭარისთვის ამან შექმნა ერთგვარი ხელსაყრელი მდგომარეობა რათა თავიდან აცილებულიყო ცენტრსა და რეგიონს შორის მორიგი მძაფრი დაპირისპირება. ბოლოს, აღსანიშნავია გარე აქტორების კონსტრუქციული როლიც საქართველოს სტაბილურობის მხარდაჭერაში (მაგალითად, საქართველოს სტრატეგიულად მიკავშირე თურქეთის მიერ რელიგიური გრძნობების ესკალაციის არ წახალისება აჭარის მუსლიმურ თემში). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მსოფლიოს გავლენიანი დემოკრატიული სახელმწიფოები (აშშ, ევროკავშირი, თურქეთი და ა.შ.) საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებად ჩამოყალიბდნენ და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობით ცდილობენ ქვეყანაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცებას და არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

ახალი კონსტიტუცია, რომელიც საქართველომ 1995 წელს მიიღო, ძირითადად ცენტრალიზებული და მაჟორიტარული მახასიათებლებით გამოირჩეოდა (George, 2008). თუმცა მიღებული კონსტიტუცია, ისევე როგორც სხვა შემდგომი საკანონმდებლო აქტები (მაგ., სამოქალაქო კოდექსის, 1997 წელს მიღებული განათლების შესახებ კანონი), ძირითადად აკმაყოფილებდა სამოქალაქო თანასწორობის პრინციპს, განსაკუთრებით კულტურული და საგანმანათლებლო უფლებების თვალსაზრისით (საქართველოს კონსტიტუცია, 2017). მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეთნო-ნაციონალისტური რიტორიკა ოფიციალური დისკურსიდან გაქრა, სახელმწიფო სტრუქტურები აღმოჩნდნენ ქმედუნარო იმისთვის რომ შექმნილიყო ისეთი ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც შეძლებდნენ დემოკრატიზაციის პროცესის, სამოქალაქო ერთიანობის და ეკონომიკური განვითარების უფრო მეტ ხელშეწყობას. სანაცვლოდ, ახლად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მართვის სტილად შევარდნაძემ მანკიერი საბჭოთა მმართველობის მიდგომები აღადგინა (მაგ., საბჭოთა ტიპის პატრონ-კლიენტელისტური

ურთიერთობები და კავშირები, ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია (Wheatley, 2009)).

ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, კონკრეტულად კი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოში 1999 წელს გადაიდგა, როდესაც ქვეყანა ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა (კვაჭაძე, 2012). იმ მიზნით რომ ქვეყანაში შექმნილიყო დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის უკეთესი პირობები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიერთებით (კვაჭაძე, 2012), საქართველომ იკისრა ვალდებულება შეასრულოს და პატივი სცეს კონვენციის წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს და შესაბამის ვალდებულებებს (Council of Europe Secretariat, 2013). ასევე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიების კუთხით, აღსანიშნავია ისიც რომ საქართველო გაერო-ს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტს შეუერთდა, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას უმცირესობათა უფლებები (Broers, 2008).

კონკრეტულად შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველოში მცხოვრები სხვა დიდი ეთნიკური ჯგუფების (მაგ., სომხები და აზერბაიჯანელები) მიმართ სახელმწიფოს მიერ უმცირესობების მამართ გატარებულ პოლიტიკას რაც შეეხება, ჯონათან უითლი მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო შევარდნაძის პერიოდში თითქმის არც კი ინტერესდებოდა საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრირების ბედზე (Wheatley, 2009). საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების ინტეგრირების სხვა ხელის შემშლელ მიზეზებად შეგვიძლია განვიხილოთ ასევე ენობრივი ბარიერი, სახელმწიფო სტრუქტურებში უმცირესობების დაბალი წარმომადგენლობითობა და როგორც უმრავლესობაში ისე უმცირესობებშიც დაბალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება (Broers, 2008). მიუხედავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თანაცხოვრებისა (სადაც სახელმწიფო ენად ქართული ენა ითვლებოდა), ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობისათვის მთავარ საკომუნიკაციო საშუალებად რუსული ენა გამოდგა (Blauvelt, 2013).

ამგვარი შექმნილი სიტუაცია ჩვეულებრივ გამოიხატება აღნიშულ ეთნიკურ ჯგუფებში (განსაკუთრებით სომხებით და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში) ქართული ენის არცოდნით და შესაბამისად დაბალი სამოქალაქო განათლებით. გამომდინარე აქედან, ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, უმცირესობების ჯგუფებში არსებული ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა და დაბალი სამოქალაქო თვითშეგნება, ხშირად ხელისუფლებების სასარგებლოდ გამოიყენებოდა. კონკრეტულად, არჩევნებში ხმების გარანტირებული მოპოვების მიზნით, ცნობილია, რომ როგორც შევარდნაძის მმართველობის, ისე სხვა მომდევნო ხელისუფლებების დროსაც, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ამ რეგიონებიდან სახელისუფლო პარტიას თუ კანდიდატს ყოველ არჩევნებზე თითქმის 100%-იანი ხმების მიღების გარანტია გააჩნდა (Mirzoev, 2012).

შესაბამისად, შევარდნაძის მთავრობა არც კი ეცადა უმცირესობათა ჯგუფებისთვის ეფექტური ინტეგრაციული პოლიტიკის შემუშავებას, რაც მათ ახალ სახელმწიფო სტრუქტურებში უკეთეს წარმომადგენლობითობას და მონაწილეობას უზრუნველყოფდა (Dundua, 2016). მეტიც, იმდროინდელ საქართველოს ეკონომიკის და სახელმწიფო ინსტიტუტების სავალალო მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ (Papava, 2006) ძნელი წარმოსადგენია ის რომ მაშინდელ ქართულ სახელმწიფოს გააჩნდა რაიმე რეალური შესაძლებლობები (ეკონომიკური ან მატერიალური) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის შეეთავაზებინა ისეთი პირობები რომლებიც მათ მისცემდა საშუალებას დაუფლებოდნენ ქართულ ენას და უფრო აქტიურად ყოფილიყვნენ საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საკითხებში ჩართულები. მაგრამ, შევარდნაძის მმართველობის დროს მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ 1999 წელს ქართული პასპორტებიდან და პირადობის მოწმობებიდან ამოღებული იქნა ეთნიკურობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი. შესაძლებელია ითქვას, რომ ამგვარი მიდგომით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამოქალაქო ინტეგრაციისკენ (Berglund & Blauvelt, 2016).

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად მოსახლე ეთნიკური უმცირესობების უკეთესი ინტეგრაციისთვის, ნაცვლად კონსენსუსზე დაფუძნებული მიდგომებისა, ხშირად იყენებდა საბჭოთა ტიპის არაფორმალურ და არაპირდაპირ მიდგომებს (Broers, 2008). მაგალითად, მაშინდელი სახელმწიფო სომხურ თემთან მიმართებაში ცდილობდა რომ ადგილობრივი სტრუქტურების მაღალ თანამდებობებზე სომხური თემის წარმომადგენლები დაენიშნა. ხოლო, ქვემო ქართლში, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა თითქმის საერთოდ არ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო სტრუქტურებში (Wheatley, 2009). გარდა ამისა, სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმართაობამ და კანონის უზენაესობის ფაქტობრივად არარსებობამ ხელი შეუწყო რელიგიური უმცირესობების მიმართ არც თუ ისე ტოლერანტულ მოპყრობებს. ამგვარი დამოკიდებულებები, განსაკუთრებით, გამოიხატებოდა რელიგიური უმცირესობების მიმართ რადიკალურად განწყობილი მართლმადიდებელი რელიგიური ჯგუფების და საეკლესიო პირების მხრიდან განხორციელებულ დარბევებში (Broers, 2008).

ეთნიკური ნაციონალიზმის მომძლავრების პარალელურად, 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში რელიგიურმა ნაციონალიზმმაც იჩინა თავი, რომელიც, ხშირად, მჭიდროდ დაკავშირებული იყო ეთნიკურ ნაციონალიზმთან. ამგვარი რელიგიური ნაციონალიზმის შემდგომი გაღვივება განსაკუთრებით შესამჩნევია შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში და ე.წ. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ (Zedania, 2011). თუმცა, პოსტსაბჭოთა საქართველოში რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობის ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი შესაძლოა კომუნისტური იდეოლოგიის დელეგიტიმაციაც ყოფილიყო. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმი სწრაფად იქნა შევსებული მართლმადიდებლური ქრისტიანობით (Metreveli, 2016).

მაგალითად, პოსტსაბჭოთა პერიოდში მართლმადიდებლობის მზარდ სიმბოლურ როლზე და გამოვლინებაზე მიუთითებს 80-იან წლებში საქართველოს საჯარო სკოლის სასწავლო პროგრამაში საგნის ქრისტიანული ისტორიის შესავალის თანდათანობით დანერგვა, 1988 წელს ზვიად გამსახურდიას მიერ წმინდა ილია მართლის

სახელწოდებით პოლიტიკურ-რელიგიური საზოგადოების დაფუძნება და 1992 წელს ედუარდ შევარდნაძის ნათლობა (European Centre for Minority Issues, 2012). თუმცა აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი რომ მიუხედავად მართლმადიდებელი ეკლესიის მზარდი ავტორიტეტისა (რაც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდიდან შეიმჩნევა), 1989 წლის 9 აპრილს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა პატრიარქის მოწოდებას რომ დაშლილიყვნენ არ გაითვალისწინეს და არ დაიშალნენ.

გარდა ამისა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფო სისტემა მეტად კორუფციული და ავტორიტარული გამოდგა (მაგ., ელექტორალური ავტორიტარიზმი, ჰიბრიდული რეჟიმი და ა.შ.), რამაც თავის მხრივ გზა გაუხსნა ე.წ. "ვარდების რევოლუციას" 2003 წელს.

რაც შეეხება ვარდების რევოლუციას, პროცესი ხასიათდებოდა ფართო მასშტაბიანი სახალხო გამოსვლებით, რაც საბოლოოდ შევარდნაძის გადადგომით და სანაცვლოდ მიხეილ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის სათავეში მოსვლით დასრულდა. მოვლენათა ამგვარი განვითარების ძირითად მიზეზებს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია აღინიშნოს უკიდურესად ცენტრალიზებული და მაჟორიტარული მიდგომები რომლებიც ხელისუფლებამ გამოიყენა ოპოზიციის პოლიტიკური პროცესებიდან გამოსათიშად. მეტიც, ამგვარმა ცენტრალიზაციისკენ და მაჟორიტარიზმისკენ მიმართულმა პოლიტიკამ ხელი შეუშალა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, განსაკუთრებით აღმასრულებელ დონეზე, უმცირესობათა ჯგუფების რაიმე მნიშვნელოვან ჩართულობას და თანამონაწილეობას.

2.3. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები სააკაშვილის მმართველობის პერიოდში (2004-2012)

მიუხედავად ვარდების რევოლუციის, ერთი შეხედვით მშვიდობიანი და უსისხლო პროცესისა, ეს არ იყო არჩევნებში დამარცხებული ძალის მიერ გამარჯვებული პოლიტიკური ძალისთვის კონსენსუსზე დაფუძნებული კანონიერი ძალაუფლების გადაცემა (Muskhelishvili, 2005). არამედ პროცესი უფრო წააგავდა უსისხლო სახელმწიფო გადატრიალებას, რომელმაც შევარდნაძის რეჟიმი აიძულა გადამდგარიყო. ხოლო ამგვარი შედეგი გამომდინარეობდა იქიდან რომ შევარდნაძის რეჟიმმა უკიდურესად

სუსტი და კორუმპირებული მმართველობის გამო დაკარგა ყოველგვარი საშინაო თუ საგარეო ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები უმცირესობათა ჯგუფების უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის მთავრობამ, სააკაშვილის ლიდერობით, შეიმუშავა გარკვეული მიდგომები (Dundua, 2016). განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებული ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტში ჩაბარების მიზნით უმცირესობათა ენებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების უნარ-ჩვევების გამოცდას და უმცირესობათა სტუდენტებისათვის კვოტის სისტემის ჩამოყალიბებას (მაგ., დანერგილი "1 + 4" კვოტის სისტემა საშუალებას აძლევს არაქართულენოვან აბიტურიენტებს თავიანთ მშობლიურ ენაზე ჩააბარონ გამოცდა ზოგად უნარებში. ბარიერის გადალახვის შემდეგ, უმცირესობათა ჯგუფების სტუდენტები ერთწლიანი ქართული ენის პროგრამაზე ჩაირიცხებიან და საბაკალავრო დონეზე სწავლას გააგრძელებენ (UN Association of Georgia, 2016)).

ეთნიკური უმცირესობების უკეთესი ინტეგრაციისკენ მორიგი პოზიტიური ნაბიჯი 2004 წელს გადაიდგა, როდესაც საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ახალი კონცეფცია შეიმუშავა, რომლის მიზანიც ეთნიკური საკითხების მოგვარების ახალ მიდგომებს ითვალისწინებდა (Broers, 2008). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც რომ ვარდების რევოლუციის მთავრობამ, სააკაშვილის ლიდერობით, მიიღო გარკვეული ინსტიტუციური და საკანონმდებლო აქტი რაც მიზნად უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას ისახავდა. კერძოდ, აღსანიშნავია სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს (ტოლერანტობის ცენტრი) შექმნა.

გარდა ამისა, იმავე წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია“, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და კოლექტიური უფლებების შენარჩუნებას. 2009 წელს მიღებული "კონცეფცია ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ", ითვალისწინებს სამოქალაქო ინტეგრაციას და ჯგუფის იდენტობების დაცვას. 2012 წელს

ახლად მიღებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს უმცირესობათა უფლებების დაცვას და უმცირესობების საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას (Abbasov, Delihuseyinoglu, Pipia, Rumyansev, & Sanamyan, 2016). თუმცა, იმის გამო რომ ამ მიდგომებს აკლდა თანამიმდევრულობა და განახლება, და ამავე დროს ამას დამატებული სააკაშვილის ეთნო-ნაციონალისტური რიტორიკაც (განცხადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენის აუცილებლობაზე, თუნდაც ძალის გამოყენებით) ძირს უთხრიდა უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაციის პერსპექტივებს (Abbasov, Delihuseyinoglu, Pipia, Rumyansev, & Sanamyan, 2016).

რაც შეეხება ევროინტეგრაციის პროცესს, 2004 წელს საქართველო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამას შეუერთდა. ევროინტეგრაციის ფარგლებში ევროკავშირთან საქართველოს მიერ 2006 წელს გაფორმებული სამოქმედო გეგმა შეიძლება ჩაითვალოს როგორც მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისკენ. ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების კუთხით, სამოქმედო გეგმამ, მიუხედავად მისი სისუსტეებისა და ნაკლოვანებებისა, წახალისა სასამართლო რეფორმები და ევროკავშირსა და საქართველოს შემდგომი დაახლოების პროცესებს შეუწყო ხელი (Partnership for Open Society, 2005). მეტიც, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისგან განსხვავებით ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტმა, რომლის წევრიც საქართველო აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ გახდა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები უფრო მაღალ დონეზე აიყვანა, სადაც საქართველო განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც მეზობელი ქვეყანა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებისთვის, არამედ როგორც პარტნიორი (Shapovalova & Youngs, 2012).

თუმცა, მიუხედავად ევროკავშირის პროექტებში ჩართვის შედეგად საქართველოს ევროკავშირთან უკეთესი დაახლოებისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილისა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის თითქმის მთელი პერიოდი აღინიშნებოდა დემოკრატიული პრინციპების იგნორირებით, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო ორგანოებისა და ინსტიტუტების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის მძიმე შემთხვევებში. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე

საკაშვილმა საჯაროდ დააფიქსირა თავისი სახელმწიფო ხედვა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაციას, კორუფციის აღმოფხვრას და აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგული ავტონომიური ტერიტორიების რე-ინტეგრაციას (Wheatley, 2009).

საქართველოს მესამე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, სააკაშვილმა კონსტიტუციური ცვლილებების საშუალებით თავისი საპრეზიდენტო ძალაუფლება კიდევ უფრო გაიძლიერა. ამგვარი ცვლილებების შედეგად მოხდა პრეზიდენტის უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი გაზრდა კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმების ხარჯზე. გარდა ამისა, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონებს შორის ახალ დაპირისპირების ფაზაში შევიდა (George, 2008). ავტონომიურ სუბიექტებთან ამგვარი კონფრონტაციული ურთიერთობები, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად იყო განპირობებული სააკაშვილის და მაშინდელი პოლიტიკური ელიტის ორაზროვანი და პროვოკაციული მიდგომებით. მაგალითად, ავტონომიურ სუბიექტებთან მიმართ მისი მიდგომები ხისტი ძალის დემონსტრირებას და მშვიდობიან ინიციატივებს შორის მერყეობდა, რამაც ხელი შეუწყო კონფლიქტის ხელახალ ესკალაციას, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონში (Broers, 2008).

საკაშვილის რეჟიმის მიერ საქართველოს პოლიტიკური სისტემის კიდევ უფრო მეტი ცენტრალიზაციის სურვილი პირველად აჭარასთან მიმართებაში გამომჟღავნდა. როგორც ცურხერი აღნიშნავს, საქართველოს ახალ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, არ სურდა პატივი ეცა წინა მთავრობის დროს სეპარატისტულ რეგიონებთან მიღწეული ე. წ. ჯენტლმენური შეთანხმებებისთვის. სანაცვლოდ იგი ცდილობდა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ცენტრალური კონტროლის აღდგენას (Zurcher, 2007). ვარდების რევოლუციიდან ექვსი თვის შემდეგ, რასაც შევარდნაძის გადადგომა მოყვა, სააკაშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა, ვარდების რევოლუციის სცენარის მიხედვით მოახერხეს აჭარის ავტოკრატული და კორუმპირებული მმართველის, ასლან აბაშიძის, აჭარის ხელისუფლებიდან განდევნა. ასლან აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოცილების

პროცესში აღსანიშნავია ასევე რუსეთის, როგორც მესამე მხარის, შუამავლის და მომლაპარაკებლის როლიც.

თუმცა, აჭარის ავტონომიურ სტატუსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებით, საქართველოს პარლამენტმა რეგიონს ბევრი ავტონომიური უფლებამოსილება შეუძცირა. მაგალითად, ცვლილებები შეეხო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების ისეთ საკითხებს როგორცაა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის უმაღლესი საბჭოს დაშლის იმუნიტეტი. შედეგად, მიუხედავად სააკაშვილის დაპირებებისა და რიტორიკისა, რომ საქართველო დასავლური ღირებულებების თანამედროვე ევროპული ტიპის ქვეყნად უნდა ჩამოყალიბდეს, აჭარის ავტონომიური სტატუსისადმი მისი რეალური მიდგომები საპირისპირო სურათს ასახავდა. ანუ როგორც ეთნიკური საკითხების მკვლევარი, ჯულია ჯორჯი, მიანიშნებს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტისთვის მინიჭებული უფლება რეგიონალურ დონეზე ჩარეულიყო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მიღებაში (მაგ., აჭარის მთავრობის თავმჯდომარის შერჩევა და უმაღლესი საბჭოს დათხოვნა) უფრო წააგავდა რუსეთის საპრეზიდენტო და ცენტრალური ხელისუფლების გაფართოების პოლიტიკას (George, 2008).

საკაშვილის მმართველობის პერიოდში, თვითნებური და ზედმეტად ცენტრალიზებული სახელმწიფო მიდგომების შემდგომი გამოვლინებები სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის) სეპარატისტულ რეგიონში სიტუაციის ხელახალ ესკალაციას უკავშირდება. სააკაშვილმა, ანტიკორუფციული მოტივებით, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონთან მიმართებაში, სცადა ადგილობრივი პრო-რუსული რეჟიმის შეცვლა. თუმცა სააკაშვილის მიერ აჭარაში უკვე აპრობირებულმა სცენარმა (რომლის მიხედვითაც მოხდა ასლან აბაშიძის სახელისუფლებლო ძალაუფლებიდან ჩამოშორება) ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში ვერ გაამართლა. მაგალითად, ანტიკორუფციული და ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების საბაზით, ერგნეთი, ერთადერთი ბაზარი, რომელიც სეპარატისტული რეგიონის საზღვარზე მდებარეობდა და რომელიც ქართველ და ოს ხალხს შორის კომერციული ურთიერთობების ადგილს

წარმოადგენდა (თუმცა ვერ ხდებოდა ბაზრობის სათანადო სახელმწიფო მონიტორინგი გადასახადების აკრეფის და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით), სააკაშვილის და მისი ხელისუფლების განკარგულებით ცალმხრივად და მყისიერად დაიხურა (De Waal, 2010).

საკაშვილის და მისი თანმხლები პირების მიერ გადადგმულმა ასეთმა ნაჩქარევმა და დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა, გამოიწვია ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების საქართველოს სახელმწიფოსგან კიდევ უფრო მეტი გაუცხოება. სანაცვლოდ, თავიანთი უსაფრთხოების და ინტერესების უზრუნველსაყოფად, მოხდა ადგილობრივი ოსების რუსეთის სახელმწიფოზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებულება. მაგალითად, ერგნეთის ბაზარი კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრები ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაც მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, ერგნეთის ბაზრობის ნაჩქარევი დახურვით, სააკაშვილმა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური საჭიროებების საკითხები არ გაითვალისწინა (ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", 2009).

რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე (რაც მდგომარეობს რუსეთის სურვილში ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დომინანტი ძალის სტატუსი) ქართულ და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობებმა (მაგ., საზღვრისპირა სოფლებში გახშირებული შეტაკებები და ძალადობა) საშუალება მისცა რუსეთს სამხედრო ინტერვენცია განეხორციელებინა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი მოქალაქეების დაცვის საბაზით. რუსეთმა, თავისი ინტერვენციის გასამართლებლად, საქართველოს შეიარაღებულ ძალების მიერ ცხინვალის რეგიონის რაკეტებით დაბომბვის ფაქტი გამოიყენა, რასაც რამდენიმე რუსი სამშვიდობო მისიის ჯარისკაცი ემსხვერპლა. შედეგად, ავტონომიურ ოლქში გამწვავებული დაპირისპირება რუსეთთან დამანგრეველ ხუთდღიან ომში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ომი ევროკავშირის სწრაფი ჩარევით დასრულდა, რუსეთმა, საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის და ქართველების მიერ დასახლებული სოფლების განადგურების შემდეგ, რასაც ასევე ეთნიკური ქართველების ეთნოწმენდაც მოჰყვა (ფონდი "ღია

საზოგადოება-საქართველო", 2009), ცალმხრივად და თვითნებურად აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა (Radio Free Europe/Radio Liberty, 2008).

რაც შეეხება რელიგიურ ნაციონალიზმს, მისი აღზევება შესაძლოა ასევე ბოლო დროს განხორციელებულ მოდერნიზაციის პროექტებთანაც დავაკავშიროთ, რომელიც ახალი ფორმის რევოლუციურ ნაციონალიზმსაც შეიცავს (Zedania, 2011). თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში რელიგიურ-ნაციონალისტური დისკურსის ასეთი სწრაფი აღმასვლა რიგ შემთხვევებში არც თუ ისე ტოლერანტულად აისახა სხვა რელიგიური უმცირესობების მიმართ (Zedania, 2011), რაც ზოგჯერ გამოიხატებოდა ძალადობრივ გამოვლინებებში სხვადასხვა ევანგელურ ორგანიზაციების (მაგ., იეჰოვას მოწმეები) (Broers, 2008) ან აჭარასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მუსლიმი თემების მიმართ (European Centre for Minority Issues, 2012).

პოსტსაბჭოთა საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მზარდი რელიგიური გავლენა გამოვლინდა ასევე 2002 წლის ოქტომბერში კონკორდატის ხელმოწერით (Broers, 2008). მართლმადიდებლურ ეკლესიას და სახელმწიფოს შორის დადებული კონკორდატი ითვალისწინებს ამ ორ ინსტიტუტს შორის კონსტიტუციურ თანხმობას და საქართველოს სახელმწიფო მშენებლობაში მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ ისტორიულ როლს (Zedania, 2011). აგრეთვე, ხუთჯვრიანი დროშის ეროვნულ დროშად აღიარება, ახალი სამების ტაძრის აღმართვა და ოფიციალურ შეხვედრებზე თუ კონფერენციებზე მაღალი რანგის სამღვდელოების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა ნათელი მანიშნებელია იმ გარემოების თუ რამდენად დიდი გავლენითსარგებლობს რელიგია და კერძოდ მართლმადიდებელი ეკლესია დღეს-დღეისობით ქართულ საზოგადოებაში (Broers, 2008). აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ზოგიერთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის მიერ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, სხვა ინსტიტუტების მსგავსად (მაგ., სეპარატისტული რეჟიმები, რუსეთის უზარმაზარი შრომითი ბაზარი, ენერგო რესურსები და რუსეთის მიმართ მეგობრულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციები თუ პოლიტიკური პარტიები), განიხილება როგორც რეგიონში რუსეთის რბილი ძალის განხორციელების ერთ-ერთი ბერკეტი და გამტარი (Makarychev, 2016).

ედუარდ შევარდნაძის ბოლო საპრეზიდენტო პერიოდის მსგავსად, ვარდების რევოლუციიდან სამი წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის მმართველობას საზოგადოების მხრიდან მასობრივი აღშფოთება და დემონსტრაციები მოჰყვა. თუმცა საზოგადოებრივი აღშფოთების მიზეზები ამ ორ რეჟიმთან მიმართებაში განსხვავებული იყო. განსხვავებით შევარდნაძის რეჟიმისგან, რომელიც ძირითადად დაგმობილი იქნა კორუმპირებული და ცუდი მმართველობის გამოვლინებების გამო (Papava, 2006), სააკაშვილის წინააღმდეგ საზოგადოების უკმაყოფილება ხშირ შემთხვევაში განპირობებული იყო ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევებისა და ოპოზიციის წინააღმდეგ რეპრესიული სახელმწიფო აპარატის ცალმხრივი გამოყენებით. შედეგად, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ისე ერთი წლის შემდეგ, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი მაშინდელ ოპოზიციურ კოალიციურ ბლოკ "ქართული ოცნება"-სთან საარჩევნო ბრძოლაში დამარცხდა.

2.4. სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობები ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში (2013-2017)

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებთან მიმართებაში ამჟამინდელ სახელმწიფო პოლიტიკას და მის შედეგებს, მნიშვნელოვანია ნათლად გამოჩნდეს თუ რამდენად შეძლებს ქართული ოცნების მთავრობა გადადგას ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯები. მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული მრავალი გამოწვევისა, აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების მიერ ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზე მოპოვებული საარჩევნო გამარჯვება ბევრის მიერ შეფასდა, როგორც ძალაუფლების მშვიდობიანი ცვლილებისკენ მიმართული დადებითი დინამიკის მაჩვენებელი (Lutsevych, 2013). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის შემთხვევისა, ეს ჯერ კიდევ არ გულისხმობს იმას რომ საქართველომ უკვე შეძლო დემოკრატიის საბოლოოდ კონსოლიდირება (Freedom House, 2017).

დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციის პროცესში მიღწეულ წარმატებებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს 2014 წელს მიღებული ანტი-

დისკრიმინაციული კანონი (საქართველოს მთავრობა, 2014). საქართველოს პარლამენტის მიერ ეს დამტკიცებული კანონი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს (სამართლებრივი საშუალებებით) უმცირესობათა უფლებების დაცვისთვის. გარდა ამისა, საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის საშუალებითაც მოხდა სუპერ-საპრეზიდენტო სისტემიდან უფრო მეტად საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა, შეიძლება აღმოჩნდეს წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის. ამას გარდა, საქართველოს სახელმწიფომ, ქართული ოცნების ხელმძღვანელობით, აჩვენა თანამიმდევრულობა ევროატლანტიკური კურსის მიმართ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების და ვიზების ლიბერალიზაციის თაობაზე ხელმოწერის გაფორმებით (European Commission, 2017).

გარდა ამისა, წინა რეჟიმთან შედარებით, ბევრი რამ გაუმჯობესდა, განსაკუთრებით, ოფიციალურ ან სახელმწიფო რიტორიკის დონეზე. მაგალითად, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, ხშირად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ, განსაკუთრებით აფხაზებსა და ოსებს მიმართ, იყენებენ უფრო შემრიგებლურ რიტორიკას (საქართველოს მთავრობა, 2014). გარდა ამისა, რუსეთთან მიმართებაში ოფიციალურ დონეზე გამოყენებული მტრული ენა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმისთვის უფრო დამახასიათებელი იყო, ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში უფრო დიპლომატიური ენით შეიცვალა. თუმცა რიტორიკის ამგვარი ცვლილება არ მომხდარა საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესების ხარჯზე, რაც გულისხმობს საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას (Cecire, 2014). მაგალითად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, კონფლიქტურ რეგიონებში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების (მაგალითად არჩილ ტატუნაშვილის და გიგა ოთხოზორიას საქმეები) გამო რუსეთის მთავრობისადმი მიმართვისას განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან (Netgazeti.ge, 2018).

ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში თანაბარი და ადეკვატური მონაწილეობის მიზნით, 2015 წელს, მთავრობამ შემდგომ სამოქმედო გეგმებთან ერთად (რომლის განხორციელების ვადებია 2015-2020 წლები), მიიღო "სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია" (Abbasov, Delihuseyinoglu, Pipia, Rumyansev, & Sanamyan, 2016). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად, რაც თითქოს ფორმალურად უზრუნველყოფს სამოქალაქო თანასწორობას, უმცირესობების საზოგადოებაში თანამონაწილეობას და ჩართულობას, პრაქტიკაში ჩანს რომ ქართულ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნია შესაბამისი ნება და უნარი რომ უზრუნველყოს საკმარისი პირობები უმცირესობების საზოგადოებაში უკეთესი ინტეგრაციისთვის (Abbasov, Delihuseyinoglu, Pipia, Rumyansev, & Sanamyan, 2016).

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის და ჩართულობის დინამიკას რაც შეეხება, აღსანიშნავია რომ წინა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან შედარებით (რომელიც უმცირესობების მხრიდან სუსტი მონაწილეობით და ჩართულობით გამოირჩეოდა), ბოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში შეინიშნებოდა ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობის მზარდი პოლიტიკური აქტიურობა (Shiriev, 2016). დაბალი პოლიტიკური აქტივობის შესაძლო ფაქტორები შესაძლოა განპირობებული იყოს უმცირესობათა ჯგუფებში ქართული ენის არცოდნით. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოში მოსახლე ეთნიკური უმცირესობები ხშირად ნაკლებად ინფორმირებულები არიან საქართველოს პოლიტიკური თუ საარჩევნო სისტემების შესახებ (Shiriev, 2016).

იმავედროულად აღსანიშნავია რომ, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში აზერბაიჯანული უმცირესობის მხრიდან პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად შეიძლება განპირობებული იყოს თაობათა ცვლილებით (მაგ., უფრო მეტი ახალგაზრდა თაობის კანდიდატების მონაწილეობა არჩევნებში). გარდა ამისა, საყურადღებოა არაქართულენოვან სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა ქართულ უნივერსიტეტებში რაც ხელ შეწყობილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამებში

განხორციელებული რეფორმების შედეგად (მაგალითად, 2003 წლიდან დღემდე არაქართულენოვანი სტუდენტის რაოდენობა 300-დან 2000-ზე გაიზარდა). ამგვარი საგანმანათლებლო რეფორმების შედეგად მოხდა უმცირესობებს შორის ქართული ენის ცოდნის ზრდა (Shiriev, 2016). გარდა ამისა, აზერბაიჯანელი უმცირესობის წარმომადგენელთა სურვილმა, რომ უკეთ იყვნენ ინტეგრირებული საქართველოს საზოგადოებაში და პოლიტიკაში, გამოიწვია პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით თემის ახალგაზრდა წევრებში (Shiriev, 2016). აზერბაიჯანელი უმცირესობის მსგავსად, ბოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საქართველოს სომეხმა უმცირესობის წევრებმაც აჩვენეს მეტი პოლიტიკური აქტივობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (Aliyev & Badasyan, 2016). გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში, რაც შეიძლება ინტეგრაციისკენ გადადგმული შემდგომი ნაბიჯი იყოს.

ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში რელიგიური შემწყნარებლობის საკითხებს რაც შეეხება, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014-2016 წლებში მომხდარი რამდენიმე შემაშფოთებელი შემთხვევა, რომელიც ძირითადად მუსლიმური თემით დასახლებულ რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთში და აჭარაში დაფიქსირდა. მაგალითად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოში რელიგიური თავისუფლების მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშებში ნახსენებია რელიგიურ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (კერძოდ სამცხე ჯავახეთში და აჭარის ავტონომიურ ერთეულში) მუსლიმების მიმართ ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან გამოხატულ შეუწყნარებლობაში. რაც თავის მხრივ ვლინდებოდა მუსლიმური სალოცავების აშენების აგრესიულ ხელისშემლაში (აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, 2012-2016).

ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე, რომ უმცირესობების მიმართ გამოხატული ასეთი შემრიგებლური რიტორიკა საჭიროებს უფრო ხელშესახებ საჯარო პოლიტიკად გარდაქმნას. ამან თავის მხრივ უმცირესობათა ჯგუფების შემდგომი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია და აკომოდაცია

უნდა უზრუნველყოს. საქართველოს საზოგადოებაში უმცირესობათა უკეთესი პოლიტიკური ინტეგრაციის ნაკლებობა შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს ახსნილი. მაგალითად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემა, მისი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური მოწყობით, ზედმეტად ცენტრალიზებული, ჰიბრიდული (მაგ., ნაწილობრივ თავისუფალია ფრიდომ ჰაუსის შეფასებების მიხედვით) და მაჟორიტარულია. ამგვარი გარემოებები ხელს უშლის უმცირესობათა ჯგუფებს უფრო თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი და უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. აქედან გამომდინარე, ძირითადი გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაციის პერსპექტივას, შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე (Georgian Institute of Politics, 2017) და რუსეთის ამჟამინდელი მტრული დამოკიდებულება საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

პოსტსაბჭოთა მრავალეთნიკური საქართველოს რესპუბლიკისთვის, რომელიც აქტიურად ისწრაფვის დემოკრატიული კონსოლიდაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხი ყველაზე რთული გამოწვევა აღმოჩნდა. ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ქართულ სახელმწიფოში მშვიდობიანი პოლიტიკური აკომოდაციისა და ინტეგრაციის არასათანადო მიდგომების შედეგად მოხდა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების (მაგალითად, აფხაზები და ოსები) თვითგამოცხადებულ სეპარატისტულ რეჟიმებად ჩამოყალიბება. ამგვარმა მოცემულობამ ძალადობრივი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები გამოიწვია არაღიარებულ ერთეულებში, რამაც ზიანი მიაყენა საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

ძალადობრივი კონფლიქტების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები შეიძლება მიეკუთვნებოდეს ეთნიკური საკითხების მართვის საბჭოთა ინსტიტუციონალურ მემკვიდრეობას, რომელიც ცენტრალიზებულ, ნაციონალისტურ, პოპულისტურ და მაჟორიტარულ მიდგომებში გამოიხატებოდა (Jones, 2013). მიუხედავად ეთნიკური უმცირესობების საკითხების მოგვარების მცდელობებისა, შედეგად ჩანს, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ვერ უზრუნველყო უმცირესობათა ჯგუფების საზოგადოებაში სტაბილური და მშვიდობიანი პოლიტიკური აკომოდაცია. მაგალითად, გამსახურდიას მმართველობის პერიოდში (1990-1991) სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობათა ურთიერთობებს შორის მოხდა ეთნიკური ურთიერთობების რადიკალიზაცია. მიუხედავად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისა, რომელმაც თითქოს ახალ დასაწყის დაუდო საფუძველი ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ სვლისთვის, შემდგომმა ძალადობრივმა ეთნიკურმა მობილიზაციებმა კონფლიქტის წარმოშობა განაპირობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველომ, შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში (1992-2003), მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც აღიარებდა ძირითად დემოკრატიულ პრინციპებს და ლიბერალურ ღირებულებებს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს იმ დროისთვის აკლდა საკმარისი ნება და შესაბამისი შესაძლებლობები, განეხორციელებინა ის მიდგომები რაც უმცირესობების უკეთეს პოლიტიკურ აკომოდაციას და სამოქალაქო ინტეგრაციას უზრუნველყოფდა. შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შევარდნაძის მმართველობის დროს უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა ჩიხში შევიდა.

ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, შეინიშნება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მზარდი როლი სახელმწიფო მართვაში (მაგ., 2002 წელს ხელმოწერილი კონკორდატი). მიუხედავად ვარდების რევოლუციის უხვი დაპირებებისა, რომ თითქოს მოხდებოდა უმცირესობების უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაცია, სააკაშვილის ცენტრალიზებულმა, თვითნებურმა, პოპულისტურმა და აგრესიულმა მცდელობებმა ხელახლა შემოერთებინა

სეპარატისტული რეგიონები, გამოიწვია ძალადობრივი დაპირისპირება ცხინვალის რეგიონთან და აფხაზეთთან. შესაბამისად, აღნიშნული ეთნო-ტერიტორიული დაპირისპირებები რუსულ-ქართულ ომში გადაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ უფრო პლურალისტური და ინკლუზიური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისკენ ქართული ოცნების მთავრობამ სამართლებრივ დონეზე გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადადგა, შესაფერისი პირობების არარსებობა (მაგალითად, ძალაუფლების გაზიარების შესაბამისი მექანიზმები, რეალური დეცენტრალიზაცია და ძლიერი თვითმმართველობები, დასაქმების პრობლემები როგორც კერძო ისე საჯარო სფეროში) ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში უკეთეს პოლიტიკურ და სოციალურ აკომოდაციას და ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, ნაცვლად უფრო აკომოდაციური და ინტეგრაციული ზომებისა, საქართველოს სახელმწიფო აგრძელებს უმცირესობების საკითხების მაჟორიტარული (მაგ., უმცირესობების გარიყვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან), ექსკლუზიური და ცენტრალიზებული მიდგომებით მართვას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მიდგომები კვლავ ხასიათდება ზემოდან ქვემოთ ნაკარნახევი გადაწყვეტილების მიღების ფორმებით.

განსაკურებით უმცირესობათა პოლიტიკური აკომოდაციისა და მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში მიღწეული შედეგების თვალსაზრისით ამ რეჟიმების შედარებას რაც შეეხება, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბევრი რამ შეიცვალა გამსახურდიას დროინდელი ეთნო-ნაციონალისტური მიდგომებისგან და რიტორიკისგან. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად შევარდნაძის უმცირესობების მიმართ შედარებით მულტიკულტურული დამოკიდებულებისა, მიდგომა ზედაპირული აღმოჩნდა, ვინაიდან სახელმწიფომ ძალიან მცირე და არასაკმარისი ინტერესი გამოიჩინა უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაციისა და მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაციასთან მიმართებაში.

მიუხედავად სააკაშვილის ენაზე ორიენტირებული ნაციონალიზმისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართ მისი მცდელობებისა, მის მიერ გამოყენებულმა ზედმეტად ავტორიტარულმა და ცენტრალიზებულმა მიდგომებმა ვერ მიიღო

სასურველი შედეგები საზოგადოების მრავალფეროვან სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში ძალაუფლების და თანასწორუფლებიანობის განაწილების კუთხით. რაც შეეხება ქართული ოცნების მიერ განხორციელებულ უმცირესობებთან მიმართებაში მიმდინარე პოლიტიკას, ფორმალურ დონეზე, შეიძლება არსებობდეს გარკვეული გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით. თუმცა, არაფერი შეცვლილა არსებითად, რადგან ქართული პოლიტიკაში უმცირესობები კვლავ რჩებიან არასაკმარისად წარმოდგენილნი, ხოლო ქართულ საზოგადოებაში არასათანადოდ ინტეგრირებულნი.

თავი მესამე:

საქართველოში კონსოციონალური მიდგომების თავსებადობა

მესამე ნაწილის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ დასკვნითი მსჯელობის საშუალებით დადგინდეს თუ რამდენად შესაძლებელია საქართველოს პოსტსაბჭოთა გარემოებებიდან (მაგ., საბჭოთა ტიპის ეთნო-ფედერალიზმი, გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები და ნეგატიური საგარეო ზეგავლენები) გამომდინარე კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის საქართველოს მოცემულ მდგომარეობასთან თავსებადობა. განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ კონსოციონალური დემოკრატიის ისეთ ფუნდამენტურ მახასიათებლებს როგორებიცაა: განსხვავებულ იდენტობის მქონე ჯგუფების წარმომადგენელ პოლიტიკურ ელიტებს შორის პოლიტიკური თანხმობა ძალაუფლების პროპორციულად გაზიარებაზე, მრავალპარტიული საპარლამენტო მმართველობა და პროპორციული საარჩევნო სისტემა, უმცირესობათა (მაგ., ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური) ჯგუფებისთვის ვეტოს ან ავტონომიის უფლების მინიჭება და ფედერალიზმი ან მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია.

3.1. ფედერალიზმის თავსებადობა საქართველოს ამჟამინდელ ვითარებასთან

სანამ საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობასთან და მის მშვიდობიან დემოკრატიულ კონსოლიდაციასთან მიმართებაში ფედერალიზმის, როგორც კონსოციონალური მოდელის ერთ-ერთი ფუნდამენტური შემადგენლის, თავსებადობას განვიხილავთ, შემდგომ ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ თუ რა გავლენა იქონია უკვე საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის გამოცდილებამ საქართველოში პოსტსაბჭოთა კონფლიქტების გაღვივებაზე.

3.1.1 საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის შედეგები

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილ გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში, კერძოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ორი სისხლისმღვრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი განვითარდა რომლებმაც დამანგრეველი შედეგი მოუტანა საქართველოს სახელმწიფო მშენებლობას, დემოკრატიზაციას, ეკონომიკურ განვითარებას, დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს.

საქართველოში ამგვარი შეიარაღებული კონფლიქტების გაღვივების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამომწვევ მიზეზად „საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის დესტრუქციული მექანიზმი“ (Zurcher, 2007) მიიჩნევა. აღნიშნული მიდგომა გულისხმობდა ქვეყნის ტერიტორიების ეთნიკური ნიშნით იერარქიულ დაყოფას ადმინისტრაციული ერთეულების (Wheatley, 2009) მიხედვით, სადაც მოსკოვი უპირობოდ საკავშირო ცენტრი და ძალაუფლების სათავე უნდა ყოფილიყო.

საკავშირო ცენტრის ქვედა მომდევნო რგოლებს, რომელთა შორისაც საქართველოც იგულისხმებოდა, საკავშირო რესპუბლიკები წარმოადგენდნენ. ხოლო ამ ეთნო-ფედერალური სტრუქტურის კიდევ უფრო დაბალ დონეებზე ავტონომიური ერთეულები მოექცნენ. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, არსებობდნენ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და, შედარებით უფრო დაბალი საფეხურის ადგილობრივი მმართველობის სტატუსით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

მეორეს მხრივ საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის ამგვარ იერარქიულ მექანიზმში მოქალაქეობის განსაზღვრა ხდებოდა ეთნიკური ჯგუფის მიკუთვნებულობის მიხედვით. განსხვავებით სამოქალაქო კუთვნილებისგან, მაგალითად როგორც ეს ეხლა არის მიღებული როგორც საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში, საბჭოთა პასპორტის მიხედვით მოქალაქე შესაძლოა დაზადებული ყოფილიყო საქართველოს რომელიმე რეგიონში მაგრამ ეროვნების სახით დამატებით ეთნიკური კუთვნილებაც ქონდა მინიშნებული პასპორტში.

მეტიც, საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის პრინციპის მიხედვით იერარქიულად დანაწილებული ტერიტორიების კონტროლი შესაბამის ტიტულარულ ეროვნებებზე (Zurcher, 2007) გადანაწილდა, მიუხედავად მათი ამ ტერიტორიებზე უმცირესობითი თუ უმრავლესობითი წარმომადგენლობისა. ტერიტორიული ადმინისტრირების ამგვარი ეთნო-ფედერალური სტრუქტურული მოწყობიდან გამომდინარე, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში აფხაზებს და ოსებს ადგილობრივ დონეებზე, თუნდაც ნომინალურად, მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ბერკეტები და პრივილეგიები მიენიჭათ. ხოლო, საქართველოს დაჟინებულმა სწრაფვამ დამოუკიდებლობისკენ, მათი შეხედულებით, მათ ამ პრივილეგიებს ერთგვარი ეგზისტენციალური საფრთხე შეუქმნა.

მაგალითად, იმის მიუხედავად რომ 1989 წლის მონაცემების მიხედვით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ეთნოსი მხოლოდ 17.8%-ით იყო წარმოდგენილი ხოლო ქართველები 45.7%-ით (Zurcher, 2007), აფხაზები, საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის წყალობით, მაინც ფლობდნენ არა მხოლოდ პრივილეგირებულ წვდომას როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ რესურსებზე არამედ ფლობდნენ ასევე საკვანძო ბიუროკრატიულ პოზიციებსაც ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციაში.

საბჭოთა სისტემის თანდათანობით რღვევასთან ერთად არსებულმა ეთნო-ფედერალურმა სისტემამაც დაიწყო დასუსტება, რომელიც მხოლოდ იერარქიულ, დიქტატორულ და ცენტრალიზირებულ მართვას ეყრდნობოდა (Zurcher, 2007). ამ პროცესების შედეგად იერარქიის ქვედა დონეებზე (Zurcher, 2007) სეცესიკენ მიმართულ მსვლელობებს და აქტივობებს მიეცათ ბიძგი, რომლებმაც თავის მხრივ ხელი შეუწყვეს განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების ეთნიკური ნიშნით პოლიტიკურ მობილიზებას.

თავის მხრივ, საკავშირო რესპუბლიკის დონეზე მდგომარეობის ამგვარმა ცვლილებამ, ქართულ მხარეს უბიძგა, მაჟორიტარული მიდგომების გამოყენებით, გაეუქმებინა აფხაზების და ოსების ხელში არსებული სოციო-პოლიტიკური პრივილეგიები. საპასუხოდ, ავტონომიურ ერთეულებში მცხოვრები აფხაზები და ოსები, თავიანთი პოლიტიკური ელიტების ხელმძღვანელობით და მოსკოვის მხარადაჭერით,

ყველანაირად ცდილობდნენ თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის არათუ შენარჩუნებას არამედ კიდევ უფრო გაუმჯობესებას თუნდაც საკავშირო რესპუბლიკის სტატუსის მიღებით.

შედეგად მიღებული გამდაფრებული სეპარატისტული მდგომარეობა მეტ წილად ხელშეწყობილი იყო შესაბამისი საბჭოთა ეთნო-ფედერალური, ავტორიტარული და მაჟორიტარული ინსტიტუციური სტრუქტურების მიერ. ამ სტრუქტურების მეშვეობით, აფხაზებს და ოსებს, სხვა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებისგან განსხვავებით, რომლებსაც ამგვარი ავტონომიური სტატუსები არ გააჩნდათ, მიეცათ შესაძლებლობა თავიანთ ავტონომიურ ერთეულებში მოიპოვებინათ საკმარისი ინსტიტუციური მექანიზმები რომლის საშუალებითაც შეძლებდნენ ეფექტურ პოლიტიკურ მობილიზაციას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (Zurcher, 2007).

ეთნიკურ ჯგუფებს შორის წამოჭრილი კონფლიქტების და დაპირისპირებების შესახებ დონალდ ჰოროვიცი მიიჩნევს რომ ხშირად ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში, განსაკუთრებით ეთნიკური ნიშნით დაყოფილ საზოგადოებებში, გამდაფრებული ეთნიკური იდენტობა ღრმად აღწევს არა მხოლოდ ორგანიზაციებში არამედ ასევე ამ ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობებშიც და ასევე მათ ფუნქციებშიც ანუ იქ სადაც წესით ეთნიკურობას ფორმალურად არანაირი კავშირში არ უნდა ქონდეს (Horowitz, 1985).

როგორც საკავშირო რესპუბლიკის პოლიტიკის დონეზე ისე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულების პოლიტიკის დონეებზეც, ისედაც დასუსტებული საბჭოთა სისტემის კიდევ უფრო მეტად დესტაბილიზირებას მოსახლეობის ეფექტური მობილიზების შედეგად ადგილობრივი ნაციონალისტური მოძრაობების დომინანტურ პოზიციებზე გადასვლა მოჰყვა. შექმნილმა ეთნო-ნაციონალისტურმა მდგომარეობამ კი თავის მხრივ ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებს და ლიდერებს შორის გააღვივა მძაფრი კონკურენცია და ინტერესი პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რესურსებზე წვდომის მოსაპოვებლად.

მაგალითად, დონალდ ჰოროვიცის მტკიცებით, პლურალისტული საზოგადოებების მქონე ცენტრალიზირებულ სისტემებში ეთნიკურად განსხვავებული

ჯგუფებისთვის ცენტრი ძალაუფლების მოპოვების მთავარი სამიზნე და კონკურენციის ობიექტი ხდება, გამომდინარე იქიდან რომ მკვეთრად ცენტრალიზირებულ სისტემებში ეთნიკურად განსხვავებულ ჯგუფებს შორის გამყოფი ხაზები და მათ შორის არსებული განსხვავებულობა კიდევ უფრო მძაფრდება და აშკარავდება (Horowitz, 1985).

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ იმდროინდელ ქართულ ეროვნულ მოძრაობისგან განსხვავებით, რომელიც მწვავე შიდა ურთიერთქიშპობით და მტრობით გამოირჩეოდა, სეცესიის მომხრე პოლიტიკურმა ლიდერებმა, როგორც აფხაზეთში ისე სამხრეთ ოსეთში, მოახერხეს გაერთიანებულიყვენ საერთო მიზნების და ამოცანების ირგვლივ. შედეგად, აფხაზური და ოსური პოლიტიკური ელიტა წარმატებულად იბძროდა საქართველოდან გამოყოფისთვის და საამისოდ საკმაოდ ეფექტურადაც კი იყენებდა თავის ხელში არსებულ ადგილობრივ ადმინისტრაციულ და პარტიულ რესურსებს (Zurcher, 2007).

შესაბამისად, მაშინდელი ოსი და აფხაზი პოლიტიკური ლიდერების ამგვარი ერთიანობის საფუძველზე მოხერხდა სეპარატისტული მოძრაობების ეფექტური გადატანა ქუჩიდან ადგილობრივი მართვის ორგანოებში (მაგ. საბჭოებში), რაც თავის მხრივ ამ სეპარატისტული ელიტების მიერ გამოყენებული იყო როგორც ფორმალური პლატფორმა მოსკოვისთვის თავიანთი მოთხოვნების გასაქლერებლად. ხოლო მათი ეს მოთხოვნები თავის მხრივ მდგომარობდა იმაში რომ ეს რეგიონები მთლიანად გამოყოფოდნენ საქართველოს რესპუბლიკას და მოსკოვის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადასულიყვნენ.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი სტრუქტურების საბჭოთა პროცედურების ფარგლებში მოქმედებებმა მათ არსებობას გარკვეული ლეგიტიმურობაც კი შესძინა საბჭოთა ცენტრალური მთავრობის თვალში. ამან კი თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეაფერხა მაშინდელი საქართველოს მთავრობის მცდელობები აღესრულებინა თავისი იურისდიქცია ამ რეგიონებში, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქართველოს საზოგადოების უმრავლესობამ და პოლიტიკურმა ლიდერებმა არჩიეს კრემლის გავლენის სფეროდან გამოსვლა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

მეტიც, ხშირად საკავშირო რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, გააქტიურებული ეროვნული მოძრაობების დასაბალანსებლად და ხელის შესაშლელად, ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლება მიზანმიმართულად აღვივებდა სეპარატისტულ მოძრაობებს ავტონომიურ ერთეულებში.

გამომდინარე აქედან, შესაძლებელია იმის დადგენა რომ საბჭოთა ტიპის ეთნო-ფედერალური სტრუქტურების წყალობით, საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში მცხოვრებ ტიტულარულ ეთნიკურ ჯგუფებს მინიჭებული ჰქონდათ საკმარისი ინსტიტუციური და ბიუროკრატიული პრივილეგიები მოსკოვიდან შესაბამისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური რესურსების მოსაპოვებლად. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ამგვარ პრივილეგიებზე წვდომა განპირობებული იყო ცენტრალური საბჭოთა მმართველობის მიმართ გამოჩენილი ლოიალურობითა და ერთგულებით.

მოსკოვმა შედეგად მიღებული საბჭოთა ეთნოფედერალური სისტემა საქართველოს წინააღმდეგ სტრატეგიულად გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შესაფერხებლად. მაგალითად მოსკოვი, როგორც აფხაზური ისე ოსური სეპარატიზმისთვის, თავდაპირველად პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა, ხოლო, შემდგომში, როდესაც თანდათანობით ხდებოდა კონფლიქტების ესკალაცია, ამ სეპარატისტული რეჟიმებისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენაც კი გადაწყვიტა.

საქართველოს შემთხვევის მაგალითზე დაყრდნობით (მაგ., აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ჯავახეთი, ქვემო ქართლი, აჭარა) შესაძლებელია დადგინდეს რომ ეთნიკური ნიშნით ტერიტორიული ავტონომიის ინსტიტუციონალიზებამ შესაძლოა უფრო გაზარდოს ვიდრე შეამციროს ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის ალბათობა ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებს შორის (Cornell, 2002).

3.1.2 ფედერალიზმის საქართველოსთან თავსებადობა

მიუხედავად ჯერ კიდევ გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების არსებობისა, საქართველოში, მოცემული მდგომარეობით, ფედერალიზმის სრულფასოვანი დამკვიდრების პერსპექტივა ახლო მომავალში ოპტიმისტურად არ გამოიყურება. პირველ რიგში ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა საქართველოს საბჭოთა ეთნო-ფედერალური გამოცდილებები და არსებული საგარეო საფრთხეები. გარდა ამისა, ამგვარი ვარაუდის არსებობას ხელს უწყობს ახლო წარსულის პოსტ-საბჭოთა გამოცდილებაც, რომელიც მეტ წილად უფრო ცენტრალიზაციისკენ მიმართული ტენდენციებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა ვიდრე დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული რეალური ნაბიჯებით.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში საქართველოს ფედერალიზაციაზე საუბრები და მსჯელობები ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის გააქტიურებისთანავე, 80-იანი წლების ბოლოს, და შემდგომში უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან, 90-იანებშიც, ხდება აქტუალური (წამალაშვილი, 2007). მაგრამ, აქ აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ფედერალიზაციის მომხრეთა რაოდენობა მკვეთრ უმცირესობაში აღმოჩნდა საქართველოს ფედერალიზაციის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობის წინაშე (წამალაშვილი, 2007).

მაგალითად ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში (1997-2003), რამდენიმე ექსპერტმა (პაატა ზაქარეიშვილი, ივლიანე ხაინდრავა, კოტე კუბლაშვილი, არჩილ გეგეშიძე, დავით დარჩიაშვილი და სხვები) შეიმუშავა საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის კონცეფცია (მოსაზრებები საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ) რომელიც ასიმეტრიულ ფედერალიზმს გულისხმობდა, განსაკუთრებით აფხაზეთთან მიმართებაში (წამალაშვილი, 2007). მაგალითად, აფხაზეთთან მიმართებაში, კონფლიქტის მოგვარების მიზნით ფედერალურ გამოსავალს ხედავს ბელგიელი მეცნიერი ბრუნო კოპიტერსი (Coppieters, 2001).

თუმცა ზემოთხსენებული ექსპერტების მეორე შემუშავებული კონცეფცია ვერ იქცა კონკრეტულ პოლიტიკურ მიდგომად იქიდან გამომდინარე, რომ, ამ საკითხის სერიოზულად განსახილველად ქვეყანაში არ იყო შექმნილი შესაბამისი პოლიტიკური ვითარება და ფონი. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი დღემდე ღიად რჩება. მაგალითად ფედერალიზმის ზოგიერთ კრიტიკოსთა მოსაზრებით ქართულ-აფხაზური ეგრეთწოდებული ორსუბიექტიანი ფედერაცია (სხვაგვარად ბიპოლარული ფედერაცია) „დეცენტრალიზაციის გაცილებით მაღალ რისკს შეიცავს, ვიდრე შედარებით მრავალრიცხოვანი ფედერაცია (გორაძე, 2009).

ამ ქვეთავის მიზანია დაადგინოს თუ რამდენად მიზანშეწონილია დღევანდელი მოცემულობით, ფედერალიზმი, როგორც კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მექანიზმი, საქართველოში არსებული ჯერ კიდევ მოუგვარებელი კონფლიქტების გადასაჭრელად და ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციის განსამტკიცებლად. ამის დასადგენად, მოხდა ინტერვიუების ჩაწერა როგორც ადგილობრივ პოლიტიკოსებთან, ისე ექსპერტებთან და აკადემიის წარმოდგენელებთან. ამ ქვეთავში წარმოდგენილია მათი პასუხები კონკრეტულად ფედერალიზმის საქართველოსთან თავსებადობის შესახებ.

რაც შეეხება ფედერალიზმთან მიმართებაში ინტერვიუსთვის შერჩეულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლთა მოსაზრებებს, გამოიკითხა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების (ქართული ოცნება (საპარლამენტო უმრავლესობა), ევროპული საქართველო, ნაციონალური მოძრაობა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) წარმომადგენლები. მიუხედავად პარლამენტში პარტიათა უმრავლესობის თუ უმცირესობის სტატუსისა, მათი წარმომადგენელებთან გასაუბრების შემდგომ იკვეთება რომ ფედერალიზმის საქართველოში დამკვიდრება ამ ეტაპზე არ განიხილება.

მაგალითად, პარლამენტში ქართული ოცნების წარმომადგენელი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა ფედერალიზმთან მიმართებაში ამბობს რომ „ამ ეტაპზე ამის განხილვა ნაკლებად მიმდინარეობს იმიტომ

რომ ამასაც სჭირდება გარკვეული წინაპირობები და მზაობა იმისთვის რომ შესაძლებელი იყოს განიხილო დაუშვათ ეს როგორც რეალური გზა კონფლიქტის მოგვარების“ (ხულორდავა, 2018).

მსგავს მოსაზრებას აფიქსირებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, რომან გოცირიძეც, რომელიც ფედერაციას მხოლოდ ორი რეგიონის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების, მიმართ განიხილავს. მაგალითად, მისი მოსაზრებით „ფედერალიზმი ეს არის ყველაზე მაღალი სტატუსი რაც კი შეიძლება საქართველოს რომელიმე რეგიონს, ამ შემთხვევაში აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს, მიენიჭოს“ (გოცირიძე, 2018).

პარლამენტის წევრი ადა მარშანია, რომელიც პარლამენტში პატრიოტთა ალიანსს წარმოადგენს, ასევე გამოთქვამს აზრს რომ იგი მხარს უჭერს საქართველოში ფედერალიზაციას, ოღონდ ასიმეტრიულს და ისიც აფხაზეთში და ყოფილ სამხრეთ ოსეთში (მარშანია, 2018).

რაც შეეხება ამ საკითხთან მიმართებაში პარტია ევროპულ საქართველოს პოზიციას, მათი წარმომადგენელი პარლამენტში, სერგი კაპანაძე, აცხადებს რომ ზოგადად ფედერალიზმი საქართველოსთვის - „მიზანშეწონილი მოდელი არი ოღონდ არარეალისტური დღეს. არ არი რელევანტური მაგაზე საუბარი იმიტომ რომ ეგ მომენტი არ დამდგარა ჯერ“ (კაპანაძე, 2018).

აღმასრულებელი ხელისუფლება, კერძოდ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი ფედერალიზმის საქართველოსთან თავსებადობის საკითხთან დაკავშირებით მიიჩნევს რომ მსჯელობა ნებისმიერ მოდელზე, ისევე როგორც ფედერალიზმზე, შესაძლებელია განსაკუთრებით მაშინ თუ ეს მოდელი კონკრეტული რეგიონალური ამოცანების გადაჭრას შეუწყობს ხელს. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ამჟამად სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული საკითხია არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაცია უფრო პრაქტიკული და მცირე ზომის ნაბიჯების გადადგმით. ხოლო უშუალოდ ფედერალურ მოდელთან მიმართებაში მინისტრი მიიჩნევს რომ ამის უფრო საფუძვლიანად განხილვას აკლია ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი, რაც ამჟამად არ არის, და არის

მხოლოდ სხვადასხვა ჯგუფების მიერ გაჟღერებული რაღაცა მოდელები რასაც შეჯერება სჭირდება. აგრეთვე, მისი მტკიცებით, აუცილებელია ამ პროცესებში „იმ მხარის ჩართულობა ვისაც ეს ყველაზე მეტად ეხება“ (ციხელაშვილი, 2018).

ფედერალიზმის საქართველოსთან თავსებადობას სკეპტიკურად აფასებენ აგრეთვე გამოკითხული აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც. მათი აზრით ამ ეტაპზე ფედერალური მოდელის შემოღება საქართველოში არცთუ ისე რეალისტურად გამოიყურება და ეს დისკურსი უფრო 90-იან წლებს მიეკუთვნება. საქართველოში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტების გადაჭრასთან ფედერალიზმის კავშირს რაც შეეხება, მათი მოსაზრებით ეს მომენტი გავლილია უკვე და დღის წესრიგში არ დგას არც აფხაზეთში, არც ცხინვალის რეგიონში და არც ჩვენთან.

მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, დავით მაცაბერიძე, საქართველოში ფედერალიზმის შემოღების პერსპექტივასთან მიმართებაში აღნიშნავს რომ „დღეს არსებულ რეალობაში ფედერალიზმი უკვე მკვდარი იდეაა იმდენად, რამდენადაც ფედერალისტური შეთავაზებები, რომლებიც არსებობდა იგივე ვთქვათ შევარდნაძის პერიოდში, ნაწილობრივ სააკაშვილის პერიოდში, და 1997 წლის დოკუმენტი რომელიც იყო ვიარქესლავ ჩირიკბას შემოთავაზება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში, რომელსაც ვთქვათ არ დათანხმდა მაშინ ცენტრალური ხელისუფლება“ (მაცაბერიძე, 2018).

საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივას არც თუ ისე სახარბიელოდ უყურებენ ასევე გამოკითხული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები ამგვარი მოდელის საქართველოში დამკვიდრების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად შემდეგ ფაქტორებს მოიაზრებენ: მართვის ეფექტურობა და სისტემის ხარჯიანობა, გაშვებული შანსი, ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული უნდობლობა და შიშები, და საგარეო საფრთხეები (რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში).

მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) აღმასრულებელი დირექტორი, კობა თურმანიძე, არ გამორიცხავს შესაბამისი სიტუაციის მომწიფების შემთხვევაში რომ ფედერალიზაცია აღმოჩნდეს ის მოდელი რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება კონფლიქტური რეგიონების (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონები) საქართველოს სივრცეში შემორიგება. თუმცა, რესპონდენტის მტკიცებით, საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ფედერალური მოდელის შემოღება არ არის მიზანშეწონილი, გამომდინარე ისეთი ფაქტორებიდან რომელიც ეფექტურ მმართველობას და ხარჯიანობას ეხება. მაგალითად, მისი თქმით „საქართველოს ხელა არსებობს მუნიციპალიტეტები. ხოდა საქართველო ჯერ ერთი, რა ეფექტიანობა ჩვენ გვაქ ხო? ეს რო დაანაწევრო და იქ მერე აი ეს “checks and balances” შემოიღო სხვადასხვა დონეზე და იმან იმას ვეტო უნდა დაადოს და ამან იმას ვეტო, ის იმას უნდა შეუთანხმდეს და რაღაცა ეს კონსენსუალური რაღაც, ჩათვალე რომ არაფერი არ გაკეთდება, საერთოდ არაფერი არ გაკეთდება“ (თურმანიძე, 2018). რაც შეეხება ფედერალური სისტემის შემოღების ეკონომიკურ მხარეს და ამგვარი სისტემის ხარჯიანობას, კობა თურმანიძე ამტკიცებს რომ საქართველო „ძალიან უთანაბრო ქვეყანაა. ეს გამოიწვევს იმას რომ მდიდარი უფრო გამდიდრდება ღარიბი უფრო გაღარიბდება. ბევრ რამეს ვეღარ იზავ, ახლაც ხო ვერ შვრები, მაგრამ იქ კიდევ უფრო ვერ იზავ რა. წარმოიდგინე რო წავა იქ ჭიდაობა, მერე ამ რეგიონულ ელიტებს შორის სად რა გადაქაჩონ რესურსები და ათასი მაიმუნობა რა“ (თურმანიძე, 2018).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომდგენელი, გიორგი გობრონიძე, აღნიშნავს რომ როგორც ფედერაციული ასევე კონფედერაციული მიდგომების საშუალებით საქართველოში არსებული ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების შანსი უკვე დიდი ხანია გაშვებულია. მაგალითად, აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში ის ამბობს, რომ მათ „ჩვენ ფედერაციაც შევთავაზეთ და კონფედერაციაც. ეს მოდელებიც არსებობდა. დღეს ეს უკვე ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა. ჩვენ ამ შემთხვევაში ძალიან ვგავდით პალესტინელებს ებრაელებთან მოლაპარაკების პერიოდში, როდესაც ერთ-ერთმა ებრაელმა პოლიტოლოგმა იხუმრა კიდევ რომ „არასდროს უშვებენ ხელიდან

შანსს პალესტინელები იმისა რომ გაუშვან ხელიდან შესაძლებლობებიო“. ანუ, დაახლოებით, ჩვენ ეს შესაძლებლობები გაუშვით ხელიდან, როდესაც შეიძლებოდა ლაპარაკი იგივე ასიმეტრიულ ფედერალიზმზე, იგივე ფართო ავტონომიაზე. მეტიც, შეიძლებოდა ლაპარაკი თუნდაც იგივე ტერიტორიების გაყოფაზე მაინც ხო აფხაზებთან. იყო ესეთი ხედვაც რომ გალის რაიონი და კოდორის ხეობა დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში მთლიანად, დანარჩენი წასულიყო აფხაზების მხარეს“ (გობრონიძე , 2018).

ამას გარდა, გიორგი გობრონიძის მტკიცებით „დღეს აფხაზებსაც და ოსებსაც რომც უნდოდეთ ფედერალიზმი საქართველოსთან ამის ბერკეტი აღარ გააჩნიათ იმიტომ რომ 2014 წელს მათ უკვე დადეს ინტეგრაციისა და თანამშრომლობის და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები რუსეთის ფედერაციასთან, სადაც ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“ (გობრონიძე , 2018).

ის არასამთავრობო ორგანიზაციები კი რომლებიც უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების უფლებებს იცავენ და თვითონვე წარმოადგენენ მათ თემს, საქართველოში ფედერალიზმის შემოღებას დიდი სიფრთხილით უყურებენ, გამომდინარე იმ არსებული რთული უსაფრთხოების რისკებიდან რომლებიც ჩვენ რეგიონში ძალიან მწვავედ დგას. მაგალითად, ფედერალიზაციასთან დაკავშირებით, არსამთავრობო ორგანიზაციის „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარე, არნოლდ სტეპანიანი, აცხადებს რომ „მე წინააღმდეგი ვარ ფედერალიზმის, მე ვარ მომხრე უნიტარული სახელმწიფოსი. ამ შემთხვევაში თვითონ ფედერალიზმი ძალიან კარგი რაღაცაა, მაგრამ სადღაც ევროპაში უფრო. ჩვენთან, იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან მაღალი რისკებია უსაფრთხოების კუთხით და ირგვლივ ისეთი სამეზობლოა, არა მხოლოდ ვთქვათ იმ მოსაზღვრე ქვეყნებს ვგულისხმობ, არამედ ცოტა შორსაც რომ გადავხედოთ, ისეთი რეალობა გვაქვს გეოპოლიტიკურად რთული რომ ამ შემთხვევაში ფედერალიზმი ქმნის დამატებით რისკებს“ (სტეპანიანი, 2018).

სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ზაურ ხალილოვიც საქართველოს ფედერალურ ან მსგავს სისტემაზე გადასვლას ამ ეტაპზე

სკეპტიკურად უყურებს გამომდინარე იქიდან რომ „შიში არსებობს. უსაფრთხოების თვალსაზრისით უყურებს ხელისუფლება, სახელმწიფო, და ეთნიკური უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთს. უყურებს შიშით იმიტომ რომ ერთმანეთს არ იცნობენ. ის მითი რაც არსებობდა საბჭოთა კავშირის დროს რომ ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობდით და არიქა და ლომები და შვლები ერთად მოვდნენ და ასე შემდეგ ეს ყველაფერი აღმოჩნდა რომ მითია“ (ხალილოვი, 2018).

3.2. ძალაუფლების გაზიარებაზე თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა კონფლიქტში ჩართულ ელიტებს შორის

სოციალური და ჯგუფების ფსიქოლოგიის შესწავლის თეორიებზე დაყრდნობით ეთნიკური კონფლიქტების საკითხებში ცნობილი მკვლევარი დონალდ ჰოროვიცი ამტკიცებს რომ ეთნიკური გრძნობების პერიოდული გამძაფრების მიზეზები გარკვეულწილად განპირობებულია ეროვნული თვითგამორკვევის დოქტრინის ფართო გავრცელებით და დიფუზიით (Horowitz, 1985). მისივე მტკიცებით, აფრიკის, აზიის, ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებლობის მთავარი მიზეზი ეთნიკური კონფლიქტების არსებობაა (Sisk, 1996, გვ. 127).

მეტეც, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, დანკვარტ რუსტოუ (Dankwart A. Rustow), თავის 1970 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (Transitions to Democracy: Toward a Dynamic Model), რომელიც დემოკრატიული ტრანზიციების პროცესებს შეისწავლის, ამტკიცებს რომ ნებისმიერი დემოკრატიული ტრანზიციისთვის (ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიული მოწყობისკენ სვლა ან პროცესი) და ზოგადად წარმატებული დემოკრატიზაციისთვის საერთო ეროვნული თანხმობა და ერთობა მნიშვნელოვანი და აუცილებელი წინაპირობაა (Barrington, Bosia, Bruhn, Giaimo, & McHenry, 2010).

დამოუკიდებელი საქართველო ახალ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდა ორი ავტონომიური რესპუბლიკით (აფხაზეთი და აჭარა) და ერთი ავტონომიური რეგიონით (ცხინვალის რეგიონი). თუმცა აღსანიშნავია ის მძიმე გარემოება რომ საბჭოთა

კავშირის რღვევის პარალელურად საქართველოს გადასვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოსკენ გამოდგა მეტად ძალადობრივი და არასტაბილური, რომელიც ხასიათდებოდა რამდენიმე მძიმე შიდა სისხლიანი ომით, სახელმწიფო გადატრიალებით და პოლიტიკური ძალადობით. განსაკუთრებით, შეგვიძლია გამოვკვეთოთ ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ავტონომიურ ერთეულებში.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ ჯერ კიდევ გადაუჭრელ ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტებს, მათი ძირითადი გამომწვევი მიზეზები უკავშირდება როგორც საგარეო ფაქტორებს, მაგალითად როგორცაა საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ გამოხატული ნეოიმპერიალისტური პოლიტიკა, ასევე შიდა ფაქტორებს, რომლებიც უფრო უკავშირდება ქვეყნის შიგნით მოქმედ გავლენიანი პოლიტიკური აქტორების მიერ საზოგადოების მობილიზაციისთვის გამოყენებული ეთნო-ნაციონალურ და ცენტრალიზაციისკენ მიმართულ მიდგომებს.

იმის მიუხედავად უმრავლესობის წარმომადგენელია მოპასუხე თუ ოპოზიციის, საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლების მოსაზრებები, კითხვაზე თუ რამდენად მიღწევადია ერთ სახელმწიფოში რაიმე ფორმით ძალაუფლების გაზიარებაზე თანხმობის მიღწევა კონფლიქტში მონაწილე ელიტებს შორის, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მაგალითად, ამ ეტაპზე, რაიმე ფორმით, განსაკუთრებით, აფხაზებს, ოსებს და ქართველებს შორის ძალაუფლების გაზიარების შანსებს რაც შეეხება, პარტია ქართული ოცნების წარმომადგენელი პარლამენტში, თამარ ხულორდავა, ამბობს რომ „ჩვენი მხრიდან ესეთი მზაობა ვფიქრობ რომ არსებობს, უბრალოდ წინა პირობა არ არსებობს მეორე მხარის ინტერესის არარსებობის გამო“ (ხულორდავა, 2018).

იმ შემთხვევაში თუ აფხაზების და ოსების მხრიდან იქნება მზაობა ქართულ მხარესთან რაიმე სახით ძალაუფლების გაზიარებაზე მოლაპარაკებების დაწყების, პარტია ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი, რომან გოცირიძე აღნიშნავს რომ „კი რა თქმა უნდა არის სფეროები რომელთა გარდა სრული ავტონომია შეიძლება მიენიჭოთ. მაგალითად, იგივე თავდაცვა, საერთაშორისო პოლიტიკა, ფინანსური, საერთო ვალუტა

და ა.შ. ანუ ის რაც მინიმალური დონით სჭირდება ერთიანი სახელმწიფოდ არსებობას დანარჩენი შესაძლებელია სრული დეცენტრალიზაცია“ (გოცირიძე, 2018).

ამავე საკითხზე პარტია ევროპული საქართველოს პოზიციას რაც შეეხება, პარლამენტის ვიცესპიკერი, სერგი კაპანაძე, სკეპტიკურად უყურებს ახლო მომავალში საქართველოში ამგვარი რეალობის წარმოქმნას. კონფლიქტში ჩართულ ელიტებს შორის ძალაუფლების გაზიარების შესაძლებლობებზე ის ამბობს რომ მსგავსი ტიპის თანხმობის მიღწევა “აბსულუტურად შეუძლებელია დღეს, არა რელევანტურია და არ არის რეალისტური საერთოდ. დიალოგი არ მიმდინარეობს და რაც მთავარია და მარტო ჩვენ და აფხაზებს შორის დიალოგზე არ არის აქ საქმე, იმიტომ რომ საერთაშორისო განზომილება აქვს. ანუ ჩვენ, რუსეთი და ჩვენი დასავლელი პარტნიორები მაგ დიალოგის ნაწილია. ამიტომ ჩვენ და სოხუმს და ჩვენ და ცხინვალს შორის დღესდღეობით მაგაზე საუბარიც არ არის და ვერც იქნება, სანამ საერთაშორისო კომპონენტი არსებობს” (კაპანაძე, 2018).

საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის, პატრიოტთა ალიანსის დეპუტატი, ადა მარშანია ამგვარი თანხმობის მიღწევის საკითხზე მიიჩნევს რომ „ამაზე საუბარი ჩვენ წინა გვაქვს და ღმერთმა ისე ქნას რო გვქონდეს” (მარშანია, 2018). მისი მტკიცებით ამ ეტაპზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და აუცილებელია კონფლიქტში ჩართულ მხარეებს (აფხაზები, ოსები, ქართველები) შორის ნდობის აღდგენა და დიალოგი. თუმცა, ადა მარშანიას მოსაზრებით, ამგვარი დიალოგის უზრუნველყოფაში რუსეთის როლი გადამწყვეტია. გარდა ამისა, მისი მტკიცებით სასურველი შედეგის მისაღწევად, როგორც ჩვენთვის და რუსეთისთვის ისე აფხაზებისთვის და ოსებისთვის, დიალოგი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე. მისი აზრით, განსხვავებით კულისებს მიღმა ან რომელიმე მხარის ზურგს უკან მოწყობილი შეხვედრებისგან, ღია და გამჭვირვალე დიალოგის ფორმატი უზრუნველყოფს თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის უნდობლობის კიდევ უფრო გაღრმავება, რაც მნიშვნელოვანია ნდობის აღდგენისთვის.

ძალაუფლების გაზიარებაზე კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის დიალოგის შესაძლებლობაზე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი, აცხადებს რომ „დღეს, ეს დიალოგი არ მიმდინარეობს

და ჩვენ, როგორც ქართულ მხარეს, ეს ღიაობა დაფიქსირებული გვაქვს უკვე რამდენიმე წელია და არც ვაპირებთ რომ დავხუროთ, ასე ვთქვათ კარი ამ დიალოგისთვის“ (ციხელაშვილი, 2018). მიუხედავად სამშვიდობო პროცესში გარკვეული პროგრესისა, რომელიც მისი სიტყვებით ნულს ქვემო ნიშნულზე იყო დასული 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, მისი აზრით ამ ეტაპისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და რაციონალურია არ მოხდეს მსგავსი საკითხებით სამშვიდობო პროცესის პოლიტიზირება. შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის მოსაზრებით, ამ ეტაპზე „მთავარი არი იმ მიმართულებებში მაინც გვექონდეს გარღვევა და გარკვეული კომუნიკაცია რაც არის სრულიად შესაძლებელი: ვაჭრობა, ჯანდაცვა, განათლება, გარემო, სოფლის მეურნეობა“ (ციხელაშვილი, 2018).

აკადემიური სფეროს წარმომადგენლები კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ძალაუფლების გაზიარების თაობაზე რაიმე დიალოგის წამოწყების პერსპექტივას, ისე როგორც ფედერალიზაციის შემთხვევაში, ამ ეტაპზე შეუძლებლად მიიჩნევენ. ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევთ ის შეცვლილი ვითარება რაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში 2008 აგვისტოს ომის შედეგად გაჩნდა. კონკრეტულად, რუსეთის და სხვა რამდენიმე ქვეყნის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლად აღიარება და მათი რუსეთის უსაფრთხოების სისტემებში მჭიდრო ინტეგრირება რუსეთის ფედერაციის მიერ.

მაგალითად, დავით მაცაბერიძე, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ასეთ კითხვას სვამს თუ „რამდენად შეუძლიათ მათ (აფხაზებს და ოსებს) რომ მოახდინონ ლავირება, დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ? დამდგარ რეალობას, როდესაც ეს სახელმწიფოები არიან აღიარებულნი რუსეთის ფედერაციის მიერ და არაღიარებული საერთაშორისო სახელმწიფოების მხრიდან. მეორე, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას რომელიც ადგილზე არსებობს რუსეთის უსაფრთხოების სამსახურების და სამხედრო ძალების განთავსების კონტექსტში“ (მაცაბერიძე, 2018). შესაბამისად, მაცაბერიძეს ძალაუფლების გაზიარებაზე კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის რაიმე თანხმობის მიღწევა უკვე ამ ეტაპზე არარეალურად

მიაჩნია და მისი თქმით ამგვარი პერსპექტივა „უკვე არი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, რომელიც ამ რეალობაში უკვე არარეალურია“ (მაცაბერიძე, 2018).

ძალაუფლების გაზიარებაზე დიალოგის წამოწყების პერსპექტივას ასევე სკეპტიკურად უყურებს აკადემიური სფეროს კიდევ ერთი წარმომადგენელი. მაგალითად, მისი მოსაზრებით „ფაქტობრივად ეხლა იმათთან იმ ფორმით დიალოგის დაწყება, როგორც ეს რუსეთს წარმოუდგენია, ეს ფაქტობრივად აღიარება, ლეგიტიმაციაა მათი. მათი მხრიდან, ყოველ შემთხვევაში, მე არ მსმენია ბოლო წლების მანძილზე, 2008 წლის შემდეგ რაიმე მინიშნება იმაზე რომ ისინი მზად არიან რაღაც ერთიან სახელმწიფოში ძალაუფლების გაზიარებაზე ისაუბრონ. პირიქით 2008 წელს მათ მიიღეს რუსეთის გარანტიები უსაფრთხოების და აგერ ასე ვთქვათ საერთაშორისო სარბიელზეც სცდილობენ მათ ლეგიტიმაციას. ეხლა აგერ სირია უპოვეს, მანამდე სხვა ქვეყნები იყო. ამიტომ მათი ფორმულა ასეთია ჯერ გვაღიარეთ და მერე დანარჩენი ყველაფერი. ძალიან რთულია, გაცილებით ჩიხშია ეს სიტუაცია მოქცეული ვიდრე იგივე დნესტრისპირეთის პრობლემა“.

გამოკითხული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების (არასამთავრობო ორგანიზაციები) მოსაზრებებში ასევე არ ჩანს მნიშვნელოვანი აზრთა სხვაობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. გამოკითხულ სხვა სფეროს წარმომადგენლების მსგავსად, ისინიც ვერ ხედავენ ამ ეტაპზე კონფლიქტში ჩართულ ელიტებს შორის ერთ სახელმწიფოში, თუნდაც რაიმე ფორმით (მაგ., კონსოციონალური მოდელი), ძალაუფლების გაზიარებაზე დიალოგის დაწყების რაიმე შესაძლებლობას. ამგვარი დასკვნის საფუძველს მათი აზრით ძირითად შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ: რუსეთის ინტერესი, თვითონ კონფლიქტში ჩართული ელიტების ინტერესები და პოსტ-კონფლიქტურ თაობებს შორის არსებული გაუცხოება.

მაგალითად, კობა თურმანიძე, კითხვაზე თუ რამდენად მიღწევადია დღეს ერთ სახელმწიფოში ძალაუფლების გაზიარებაზე თანხმობის მიღწევა კონფლიქტში ჩართულ ელიტებს შორის, პასუხობს რომ „დღეს არ არი და ჩვენ ეს შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდით ვთქვათ რომ ეს არ არი რუსეთის გამო“ (თურმანიძე, 2018).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მკვლევარი, გიორგი გობრონიძე, იგივე კითხვაზე პასუხობს რომ „თვალთ განჭვრეტილ მომავალში მგონია რომ ეს გამორიცხულია, იმიტომ რომ კონფლიქტის სათავეც, მოდი ასე ვქვათ, იყო არა რეალურად ეთნიკური დაპირისპირება, არამედ ელიტებს შორის არსებული პრობლემა. იმიტომ რომ ჯერ კიდევ 90-იანებშიც, ხომ, როდესაც საქართველო ალაპარაკდა გამოყოფაზე, იქ ხალხზე მეტად შიში გაჩნდა ელიტებში“ (გობრონიძე , 2018). მეტიც, მისი მტკიცებით მოცემული მდგომარეობა და შექმნილი რეალობა „ამ ელიტებს არ მისცემს იმის საშუალებას და მათ მიაღწიეს საბოლოო ჯამში იმას რომ თაობა გაიზარდა ხო უკვე. ოცდახუთი წელი გავიდა თითქმის ამ კონფლიქტების დაწყებიდან, მეტი კიდევ, თაობა შეიცვალა ისეთი რომელმაც არ იცის რა არის საქართველოსთან ერთად თანაცხოვრება“ (გობრონიძე , 2018).

„მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარე, არნოლდ სტეპანიანი, კითხვაზე თუ რამდენად მიღწევადია დღეს ერთ სახელმწიფოში ძალაუფლების გაზიარებაზე თანხმობის მიღწევა კონფლიქტში ჩართულ ელიტებს შორის, პასუხობს რომ „თუ ფასი არის ის რომ ვთქვათ აფხაზეთი და ოსეთი ფორმალურად, უფრო სწორედ, იურიდიულად დაბრუნდება (რუსეთის თვალსაზრისით თორე ისედაც ჩვენია იურიდიულად მაგრამ მაინც რუსეთის თვალსაზრისით ასე ვთქვათ), რუსეთის მიდგომებით დაგვიბრუნდება ჩვენ და ფასი იქნება ის რომ ვექცევით რუსეთის ორბიტაში, ნუ მემგონი რომ ეს ძალიან მაღალი ფასია და ამ ფასის გადახდა ოცი წლის წინაც შეგვეძლო პრინციპში და არ გადავიხადეთ ეს ფასი და სხვა მომავალი ავირჩიეთ“ (სტეპანიანი, 2018).

3.3. უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს ან ავტონომიის უფლების მინიჭების მიზანშეწონილობა შიდა და საგარეო საფრთხეების არსებობის გათვალისწინებით

სამხრეთ კავკასიის მიმართ გლობალური გავლენის მქონე ზესახელმწიფოთა მიერ გამოკვეთილმა მზარდმა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა (მაგ. საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით) აღნიშნული რეგიონი მკვეთრად დაპირისპირებული ინტერესების გადაკვეთის ადგილად აქცია. შედეგად აღსანიშნავია

რომ, უკრაინის კრიზისის ბოლო მოვლენებამდე, უახლოესი ინციდენტი რომელმაც პოსტსაბჭოთა ქვეყანა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოახვედრა იყო 2008 წლის ხუთდღიანი აგვისტოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, სადაც მოხდა ეთნიკურ ნიადაგზე წამოწყებული შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტად გარდაქმნა.

მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სწრაფი რეაგირების შედეგად კონფლიქტი შეწყდა, აგვისტოს ომის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა ისედაც კონფლიქტებით დასუსტებული საქართველოსთვის. აღნიშნულმა სამხედრო დაპირისპირებამ საქართველოსთვის მოიტანა ადამიანური მსხვერპლი, მნიშვნელოვანი მატერიალური დანაკარგი და სეცესიური რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის, აღიარება რუსეთის და რამდენიმე ქვეყნის მიერ როგორცაა ვენესუელა, ნიკარაგუა, ნაურუ და სირია. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, იმის მიუხედავად რომ სეპარატისტული ტენდენციები იქმნება შიდა გამომწვევი მიზეზების შედეგად, მათი წარმატებული შედეგი დამოკიდებულია საერთაშორისო საზოგადოებაზე, რომელსაც შეუძლია აღიაროს ან არ აღიაროს ჯგუფთა ისეთი უფლებები როგორცაა ტერიტორიული სუვერენიტეტის და თვითგამორკვევის უფლება (Sisk, 1996)

გამომდინარე აქედან, ნათლად ჩანს რომ, საქართველოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია მძლავრ და ძალზედ მნიშვნელოვან ზეგავლენებს განიცდის არა მხოლოდ შიდა ფაქტორებისგან არამედ საგარეო და გლობალური ფაქტორებისგანაც. მაგალითად, ნათლად გამოიკვეთა რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა, ეგრეთწოდებული 'ახლო საზღვარგარეთის' მიმართ, არის ის ნეგატიური ფაქტორი რომელიც არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაცნობიერებული პოსტსაბჭოთა ტრანზიციისა და დემოკრატიზაციის შესახებ არსებული ლიტერატურის მიერ (Tolstrup, 2009).

არსებობს არგუმენტები იმის შესახებ რომ მართვადი სტაბილურობის და მართვადი დესტაბილიზაციის მიდგომების საშუალებებით რუსეთი ასუსტებს ლიბერალურ დამოკიდებულებებს, მიმართულებებს და განწყობებს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში (Tolstrup, 2009). მაგალითად ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების გაღვივების დინამიკა სამხრეთ კავკასიაში, უკრაინასა და მოლდავეთში, ნათლად

აჩვენებს რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში როგორც წესი თანმიმდევრულად ხელს უწყობს ავტორიტარულ რეჟიმებს ხოლო მიზანმიმართულად ასუსტებს დემოკრატიზაციისკენ მიმავალ ქვეყნებს.

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომისთვის გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხებში გამომჟღავნდა განსაკუთრებული სიფრთხილე საქართველოში უმცირესობასთან ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამგვარი სიფრთხილე უკავშირდება როგორც შიდა ისე საგარეო გარემოებებს, რომლის წინაშეც დღეს საქართველოს სახელმწიფო იმყოფება. ანუ, გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის რომ მოცემული მდგომარეობით ამის აუცილებლობა და საჭიროება არ დგას და რომ საქართველო იყო, არის და უნდა იყოს უნიტარული მოწყობის სახელმწიფო. ფართო ავტონომიების და ფედერალური უფლებების, მათ შორის გარკვეულ საკითხებში ვეტოს უფლების, მინიჭება უნდა იქნეს განხილული მხოლოდ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში.

მაგალითად, კითხვაზე თუ რამდენად თავსებადია საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან ყველა ძირითადი უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს ან გარკვეული ავტონომიის უფლების მინიჭება, პარლამენტში ქართული ოცნების წარმომადგენელი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა, პასუხობს რომ მათ ახლახან გაიარეს „საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი და საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციური მოწყობა იყო ძირითადი საკითხი რომელიც განიხილებოდა და ის გადაწყვეტილება რომელიც მივიღეთ და ის მოდელი რომელიც განმტკიცდა და კიდევ ერთხელ ასე ვთქვათ აისახა ჩვენს ეხლა უკვე ახლად მიღებულ კონსტიტუციაში არის უნიტარული სახელმწიფო. ეს გამოხატავს კიდევ ჩემი პარტიის და ჩვენს დამოკიდებულებას“ (ხულორდავა, 2018).

შესაბამისად, თამარ ხულორდავას მტკიცებით ამ საპარლამენტო განხილვების შედეგად გამოვლინდა რომ „საქართველო იყო და დარჩა უნიტარულ სახელმწიფოდ და ეს ფედერალიზმის პრინციპი არ იქნა გაზიარებული და მიღებული და ეს განაპირობა იმანაც რომ პოლიტიკური ჯგუფები, მათ შორის, არა მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური

ჯგუფი, არამედ სხვა ძირითადი პოლიტიკური ჯგუფებიც, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობენ, საქართველოს ხედავენ უფრო აი ამ ასე ვთქვათ უნიტარული მოდელის სახელმწიფოდ მომავალში“ (ხულორდავა, 2018).

უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ დასმულ კითხვაზე, ყოფილი სახელისუფლებლო პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის- წარმომადგენელი პარლამენტში, რომან გოცირიძე შემდეგ მოსაზრებას აფიქსირებს - „არა, უმცირესობებთან მიმართებაში რაიმე ტერიტორიული ფორმის ავტონომია არც განიხილება. აქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ კულტურულ ავტონომიაზე“ (გოცირიძე, 2018).

პარტია ევროპული საქართველოს წარმომადგენელი და პარლამენტის ვიცესპიკერი, სერგი კაპანაძე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიიჩნევს რომ თუნდაც კვიპროსის, ბოსნიის ან სხვა მსგავსი მულტი-ეთნიკური ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით, შესაძლებელია უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების საკითხის განხილვა საქართველოსთან მიმართებაში. ოღონდ, მისი მტკიცებით, ამ საკითხის განხილვას თან უნდა ახლდეს შემდეგი გარემო პირობები. უპირველეს ყოვლისა აღნიშნული საკითხის განხილვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გვექნება ერთიანი სახელმწიფო და ყველა უმცირესობების ჯგუფებს ჩვენთან ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ცხოვრება ენდომება (კაპანაძე, 2018). გამომდინარე აქედან, სერგი კაპანაძე მიიჩნევს რომ ვეტოს მინიჭების საკითხის განხილვა „შესაძლებელი უნდა იყოს. ოღონდ რა თქმა უნდა განხილვის საკითხია: რაზე უნდა ქონდეს ვეტოს უფლება? რა დოზით? რო არ მოხდეს „hijacking“-ი იმ საკითხების რომლებზეც უფრო ფართო კონსენსუსი არსებობს. თორემ იმ საკითხებზე რომლებიც მათ ეხება მათ ბუნებრივია უნდა ქონდეთ ვეტოს უფლება და უფრო მეტიც, უნდა ქონდეთ გადაწყვეტილებებში მიღების და მონაწილეობის სრული უფლება“ (კაპანაძე, 2018).

რაც შეეხება პარტია პატრიოტთა ალიანსის საპარლამენტო წარმომადგენლის, ადა მარშანიას, მოსაზრებას, ის მიიჩნევს რომ ძირითადი უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების საკითხის განხილვა, მსჯელობა ამ საკითხზე, ამ ეტაპზე

ნაადრევია რადგან ჯერჯერობით ამისთვის „არ არი მზად არც პოლიტიკური სპექტრი და არც საზოგადოება და არც ხელისუფლება“ (მარშანია, 2018).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი, მიიჩნევს რომ ვეტოს უფლების მინიჭება ყველა ძირითადი ეთნიკური ჯგუფებისთვის (როგორც ამას კონსოციონალური მოდელი მოაიზრებს), არათავსებადია საქართველოში არსებულ სახელმწიფო მოწყობის მოდელთან. შესაბამისად, ის არ თვლის საჭიროდ ამგვარი პრაქტიკის შემოღებას, თანაც განსაკურებით ეთნიკური ნიშნით. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით, მინისტრი ამბობს რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს სამოქალაქო პრინციპი აქვს არჩეული რაც თავის მხრივ ეთნიკური ჯგუფების დაცვას გულისხმობს და რომ ამ ეთნიკურ ჯგუფებს ქონდეთ მშობლიურ ენაზე განათლება. მაგალითისთვის, მინისტრის მტკიცებით ჩვენი სკოლების 14% სხვა ენაზე ასწავლის ვიდრე ქართულია (ციხელაშვილი, 2018).

ქვეყანაში მცხოვრები ყველა ძირითადი ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების საკითხს პრობლემურად უყურებენ აგრეთვე გამოკითხული აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. პრობლემის მთავარი არსი, მათი აზრით, მდგომარეობს იმაში რომ ამგვარი აუცილებლობა და საჭიროება, როგორც ქვეყნის მოწყობის ისე უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით, ამ მოცემულობით, არ დგას ქვეყნის წინაშე. ხოლო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დე ფაქტო რეჟიმები, ამგვარ შეთავაზებას მათი მოსაზრებით, არც კი განიხილავენ, განსაკურებით რუსეთის მირ აგვისტოს ომის შემდგომ მათი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების შემდეგ.

მაგალითად, უმცირესობებისთვის ვეტოს უფლების მინიჭების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, აკადემიური სფეროს ერთ-ერთმა გამოკითხულმა წარმომადგენელმა შემდეგი პოზიცია დააფიქსირა - “არც კონსტიტუციით არი ეხლა გათვალისწინებული არანაირად ვთქვათ ეს და რატომ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე რაც ნუ ეხლა კონსტიტუციის გადახედვაზე არ არი საუბარი. ავტონომიური უფლება ვის უნდა მივანიჭოთ? აჭარას?”. რაც შეეხება კონფლიქტურ

რეგიონებთან ურთიერთობებს, რესპონდენტი ამბობს რომ „ამ ვითარებაში მე მგონი ეს საკითხი ესე არ დგას, მაგრამ თუ ოდესღაც დღის წესრიგში დადგება, ვთქვათ რაღაც ახალი სახელმწიფო წყობის ახალი ფორმულა სადაც ამა თუ იმ ფორმით აფხაზები და ოსები მოიაზრებიან, ბუნებრივია მათ რაღაცა უფლებები უნდა ჰქონდეთ.“

პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი, დავით მაცაბერიძე, აღნიშნულ საკითხზე ამბობს რომ ვეტოს უფლების მინიჭება პრობლემატურია „იმიტომ რომ ავტონომიას არ გვთანხმდება ის ტერიტორიები რომლებთანაც შენ კონფლიქტში ხარ, და მეორე არავითარ შემთხვევაში არც ითხოვენ და არც გვჭირდება ავტონომიები იმ ჯგუფებთან რომლებიც კონფლიქტში არ არიან. რაც შეეხება ვეტოს უფლებას, ვეტოს უფლებას ვითვალისწინებთ იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიას აქვს ავტონომია და თუ სახელმწიფო მოწყობის სისტემა ამას ითვალისწინებს და ვეტოს უფლება შენ რეალურად არ გჭირდება იმ უმცირესობებთან მიმართებაში რომლებსაც ავტონომია არა აქვთ, ისინი არც ითხოვენ, და სამოქალაქო ნაციონალიზმის ფარგლებში სრულად ხდება ნელ-ნელა მათი ინტეგრირება, განსაკუთრებით ამ ენის პოლიტიკის, სახელმწიფო ენის სწავლების და უმცირესობების ენის სწავლებით, ანუ სამოქალაქო ნაციონალიზმის ფარგლებში. რაც შეეხება აფხაზებს, ისინი დამოუკიდებლები არიან და არ აპირებენ შენთან დაბრუნებას, შესაბამისად, ეს ვეტოც მოძველებული თემაა აი იმ საკითხების და პრობლემების გათვალისწინებით“ (მაცაბერიძე, 2018).

გამოკითხული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აცხადებენ რომ, რიგი საშინაო თუ საგარეო მიზეზებიდან გამომდინარე, ისინი არ მიიჩნევენ მიზანშეწონილად საქართველოში ყველა ძირითადი უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას.

მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, კობა თურმანიძე, მიიჩნევს რომ ამ პერიოდისთვის საქართველოში არ არსებობს სათანადო მოწყობის პოლიტიკური კულტურა სადაც ჯგუფებს ვეტოს უფლების ფორმალური გამოყენების გამოცდილება ექნებოდათ. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ამგვარი პრაქტიკის შემოღებით შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი განუკითხაობა და უთანასწორობა მივიღოთ განსაკუთრებით შედარებით ღარიბ და

მდიდარ რეგიონებს შორის. მისი სიტყვებით - „ახლა რო დავიწყოთ ამის ჩამოყალიბება ამ ვეტო, ვეტოობაში ჯერ სად ვართ და მერე აღმოვჩნდებით იმას იქით კიდე. და მერე ეხლა თუ ვიქნები ღარიბი და გამვალტყავებული გინდა ვეტო უდე ერთმანეთის გადაწყვეტილებებს რაც გინდა ის ქენი“ (თურმანიძე, 2018).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, გიორგი გობრონიძე, ამგვარი უფლების მინიჭების საკითხს დიდი სიფრთხილით უყურებს გამომდინარე შემდეგი ძირითადი ფაქტორებიდან. პირველ რიგში იმიტომ რომ „ამ უმცირესობებს არ აქვთ განცდა, რომ ისინი არიან ქართული სახელმწიფოს ნაწილი“. „მეორე პრობლემა ის არის რომ ეს უმცირესობები ძირითადად განსახლებული არიან იმ ქვეყნების საზღვარზე რომლებიც არიან მათი ისტორიული სამშობლო და რომლებთანაც ჩვენ გვაქვს დემარკირებული სახელმწიფო საზღვარი.“ მესამე ფაქტორი გამომდინარეობს იქიდან რომ „ჩვენ გვაქვს ძალიან მყიფე სახელმწიფოებრიობა და ისედაც ეს ხალხი დისტანცირებულია ჩვენგან, დამატებითი დისტანცირება მათ აღარ ჭირდებათ როგორც ასეთი“. მეოთხე ფაქტორი ეხება საგარეო საფრთხეებს ანუ, გიორგის სიტყვებით - „რუსეთის ქონდა სამი მცდელობა, თუ არ ვცდები, რომ ჯავახეთში სიტუაცია დაეძაბა და სომხეთის პოლიტიკის პრაგმატულობამ და არა ჩვენი ხელისუფლების მოხერხებულობამ გვიხსნა იქიდან რომ ეს სიტუაცია არ გამწვავებულა“ (გობრონიძე , 2018).

რაც შეეხება უმცირესობათა უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარის, არნოლდ სტეპანიანის, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას, ის მიიჩნევს რომ ზოგადად თვითონ სიტყვა „ავტონომია“-ს საქართველოში საკმაოდ ნეგატიური აღქმა აქვს. ხოლო რაც შეეხება უმცირესობათა ჯგუფების უფლებების დაცვას, მას მიაჩნია რომ საქართველოში კულტურული ავტონომიით გათვალისწინებული უფლებებით ყველა ეთნიკური ჯგუფი სარგებლობს. გარდა ამისა, მისი მტკიცებით როცა პოლიტიკურ ავტონომიებზე ვსაუბრობთ „აქ უნდა ჯერ ვკითხოთ ჩვენ თავს - რისთვის? ხო ანუ რა უნდა გააკეთოს მაგ კულტურული ავტონომიით? თუ პოლიტიკურ ბერკეტებს ვაძლევთ ადამიანებს ეთნიკური ნიშნით და რეგიონალური ნიშნით, მინდა გითხრათ რომ საქართველოში ნუ

მე არ ვარ მომხრე მაგისი და არ არი კაი იდეა საერთოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით“ (სტეპანიანი, 2018).

3.4. პროპორციული საარჩევნო სისტემა როგორც ძალაუფლების გაზიარების და კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმი

ძალაუფლების გაზიარებაზე და კონფლიქტების გადაჭრაზე საარჩევნო სისტემების სახეობების ზეგავლენის შესახებ, მკვლევარი, შტეფან ვოლფი, მიიჩნევს რომ მრავალეროვან საზოგადოებებში, კონფლიქტების მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით, საარჩევნო სისტემები, უფრო ფართო ინსტიტუციონალური მოწყობის ფარგლებში, ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს (Wolff, 2005). მისი აზრით მაჟორიტარული/პლურალისტული სისტემებისაგან განსხვავებით, პროპორციული საარჩევნო სისტემები საკანონმდებლო ორგანოებში მკაფიოდ გამოკვეთილ უმრავლესობის ფორმირების ნაცვლად უფრო ხშირად უზრუნველყოფენ კოალიციური მთავრობების წარმოქმნას. თავის მხრივ, ეს უზრუნველყოფს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის საკანონმდებლო ორგანოებში უფრო ფართო და მაღალი წარმომადგენლობის ხარისხს (Wolff, 2005).

მიუხედავად იმისა რომ ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველო 2024 წლიდან დღეს მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემიდან მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადადის, ჯერ კიდევ უცნობია თუ რამდენად მოახდენს ეს კონკრეტული საკონსტიტუციო ცვლილება მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას საქართველოში ძალაუფლების გაზიარებაზე და კონფლიქტების გადაჭრაზე. გარდა ამისა, ჯერ კიდევ საკითხავია თუ რამდენად მოახერხებს ეს ცვლილება ქვეყნის უფრო მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის საქართველოში მცხოვრები უმცირესობათა ჯგუფების უფრო მეტ პოლიტიკურ და საჯარო ჩართულობას და მათ წარმომადგენლობითობას.

თუმცა ბოლოს განვითარებული პოლიტიკური კრიზისის და პროცესების ფონზე, შესაძლებელია უკვე 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით და ეგრეთწოდებული „ნულოვანი ბარიერით“ (თუმცა რეალურად აღნიშნული ფორმულა

დაახლოებით 0.67%-იან ბარიერს გულისხმობს) ჩატარდეს. ამის შესახებ განცხადება 24 ივნისს პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ - ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. აღნიშნული კრიზის კატალიზატორი რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტში სპიკერის სავარძლის დაკავებამ გამოიწვია, რომელიც საქართველოში მართლმადიდებელი საპარლამენტაშორისო ასამბლეის რიგით 26-ე სესიის წასაყვანად ჩამოვიდა სხვა წევრი ქვეყნების დელეგატებთან ერთად.

აღნიშნულ ფაქტს ოპოზიციური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მძაფრი და მყისიერი რეაქცია მოჰყვა რაც თბილისში, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციებში გადაიზარდა და რა დროსაც ნაწილი ამ საპროტესტო აქციის დემონსტრანტებისა პარლამენტში ძალით შეჭრას სცდილობდა. საპასუხოდ „საქართველოს ხელისუფლებამ 20 ივნისს ძალის გამოყენებით დაარბია მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, სადაც ხელისუფლების ზოგი მაღალჩინოსნის გადადგომას მოითხოვდნენ საქართველოში რუსეთის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით. პოლიციამ დარბევისას გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები, რომლებსაც, თვითმხილველების ცნობით, დამიზნებით ესროდნენ ადამიანებს. შედეგად, დაშავდა 240-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 80 პოლიციელი“ (Netgazeti.ge, 2019). მიმდინარე საპროტესტო აქციების ძირითადი მოთხოვნები შემდეგნაირად გაჟღერდა: შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება და 2019 წლის 20 ივნისის აქციისას დაკავებულების გათავისუფლება (Netgazeti.ge, 2019).

ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოკითხული პოლიტიკოსები, მეცნიერები და ექსპერტები პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე მოსალოდნელ გადასვლას ზოგადად დადებითი, თუმცა ზომიერი მოლოდინით აფასებენ. ანუ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობის თვალსაზრისით პროპორციული საარჩევნო სისტემა, საკითხის კომპლექსურებიდან გამომდინარე, დიდს ვერაფერს შეცვლის უკვე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. რაც შეეხება საქართველოში დანარჩენი ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების ჯგუფების

უკეთესი ინტეგრაციის საკითხებს, მათთვის ჯერ უცნობი და ბუნდოვანია თუ პრაქტიკაში რამდენად ადეკვატურად იქნება ასახული უმცირესობათა ხმები წამყვან პარტიულ სიებში პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებით. ერთ-ერთი რაზეც გამოკითხულები მეტნაკლებად დადებით პროგნოზს აკეთებენ არის ის რომ სავარაუდოდ პროპორციული სისტემა ზოგადად ხელს შეუწყობს მეტ პლურალიზმს და მრავალპარტიულობას საქართველოს პარლამენტში.

პროპორციული საარჩევნო სისტემის შესახებ გამოკითხულ პარლამენტარების მოსაზრებებს რაც შეეხებათ, კითხვაზე თუ რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ პროპორციული საარჩევნო სისტემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად კონფლიქტების გადაჭრაში, უმცირესობათა ჯგუფების მეტ პოლიტიკურ ინტეგრაციაში და ზოგადად ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის, მმართველი პარტიის - ქართული ოცნების - დეპუტატის და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა, მიიჩნევს რომ ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მთავარ მოტივაციად, მმართველი გუნდის პარლამენტის წევრი შემდეგ ფაქტორებს მიაკუთვნებს: პარლამენტში უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღება, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, პლურალიზმი და განსხვავებული აზრების მეტად წარმოჩენა საკანონმდებლო ორგანოში (ხულორდავა, 2018).

მაგრამ შემდეგ დასმულ კითხვაზე თუ რამდენად შეუწყობს ხელს პროპორციული საარჩევნო სისტემა საქართველოში მცხოვრები უმცირესობათა ჯგუფების მეტ წარმომადგენლობას პარლამენტში, თამარ ხულორდავას აზრით ამ ცვლილებას ასე პირდაპირ ვერ ექნება კავშირი პარლამენტში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლობის ზრდასთან რადგან „გვექნება პოლიტიკური პარტიების ესე ვთქვათ პროპორციული სიიდან არჩეული წევრები“ რაც, მისი აზრით, „უზრუნველყოფს იმას რომ მეტი პოლიტიკური პარტია, უფრო ესე ვთქვათ, მრავალფეროვანი პოლიტიკური ჯგუფები იქნებიან პარლამენტში წარმოდგენილი“ (ხულორდავა, 2018).

თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად წახალისებს მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პარტიებს რომ მეტი კანდიდატი ჩასვან თავიანთ გამსვლელ საარჩევნო სიაში უმცირესობათა ჯგუფებიდან, თამარ ხულორდავა პასუხობს რომ „პარტიებს მოუწევთ რომ ინტეგრირება მოახდინონ. იმიტომ რომ პარტია რომ იყოს არჩეული და ეს რო იყოს ამომრჩევლისთვის მისაღები მან უნდა გაითვალისწინოს მისი ამომრჩეველი მთლიანად და ეს მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხიც იქნება და დამოკიდებული იქნება მისი ასე ვთქვათ ბედიც იმაზე თუ რამდენად მისაღებ კანდიდატს შესთავაზებს ის ამომრჩეველს მისი ვთქვათ იგივე ეთნიკური თუ სხვა რაღაცა კუთვნილების გათვალისწინებით. ან რამდენად კარგად შეძლებს ესა თუ ის პირი რომელიც განსაზღვრული არის საარჩევნო სიაში როგორც კანდიდატი ადვოკატირება მოახდინონ ამა თუ იმ ჯგუფების ინტერესების“ (ხულორდავა, 2018).

რომან გოცირიძე, რომელიც ბოლო მოწვევის პარლამენტში პარტია ერთიან ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენს, პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებასა და ამ სისტემის ინტეგრაციულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით პასუხობს რომ პროპორციული საარჩევნო სისტემას ის უფრო ქვეყანაში პოლიტიკური ძალაუფლების სამართლიანი ფორმირების კუთხით განიხილავს და, მის აზრით, ”ამაში არასდროს ყოფილა რაღაცა ეთნიკური პრობლემის მოგვარების ან რაღაცა ამ პროპორციულ სიაში ამ ეთნიკურობის ბალანსის დაცვის თემა. არასდროს არ განხილულა. უფრო მეტად პროპორციული სიაში შეიძლება გენდერული ნიშნით იყოს საუბარი და არა ეთნიკური ნიშნით“ (გოცირიძე, 2018). მაგრამ, შემდგომ კითხვაზე თუ რამდენად უბიძგებს პროპორციულ სისტემაზე გადასვლა პოლიტიკურ პარტიებს რომ მეტი უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი კანდიდატები ჩასვან თავიანთ გამსვლელ საარჩევნო სიებში, პარლამენტარი ამბობს რომ „თუ პარტიების სიები არ იქნებათ დაბალანსებული, როგორც ეთნიკური ასევე გენდერული ნიშნით, შეიძლება ზოგადად უფრო მეტი რისკები შეექმნათ მათ ამ კუთხით“ (გოცირიძე, 2018).

პარტია ევროპული საქართველოს წარმომადგენელი და ვიცესპიკერი პარლამენტში, სერგი კაპანაძე, კითხვებზე თუ რამდენად შეუწყობს ხელს

პროპორციული საარჩევნო სისტემა, როგორც ზოგადად უმცირესობათა ჯგუფების უკეთეს ინტეგრაციას ისე მათ პოლიტიკურ წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოებში, პასუხობს რომ მას ამისთვის უფრო რეგიონულ-პროპორციული საარჩევნო მოდელი მიაჩნია მიზანშეწონილად. მისი მტკიცებით, აღნიშნულ მოდელში „ეთნიკური და ზოგადად ადგილობრივი უმცირესობების და ყველა უმცირესობების ინტერესი უფრო იქნება გათვალისწინებული. იმიტომ რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას მოუწევს კონკრეტულ რეგიონში შესაბამისი წარმომადგენლების ნომინირება და ამაში მონაწილეობის მიღება“ (კაპანაძე, 2018). თუმცა, მისი ვარაუდით უკვე მიღებული პროპორციული საარჩევნო მოდელითაც პარტიებს მოუწევთ უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლების თავიანთ საარჩევნო სიებში ასახვა რადგან, მისი სიტყვებით, „წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება პოლიტიკური პარტიისთვის ისეთ რეგიონებში წარმატების მიღწევა თუ არ იქნა, არ ეყოლა, ვთქვათ ეთნიკური აზერბაიჯანელები ან სომხები თავის გამსვლელ სიაში. ანუ, ჩემი აზრით, არის ხელშემწყობი დღევანდელზე უფრო მეტად“ (კაპანაძე, 2018).

პარტია პატრიოტთა ალიანსის დეპუტატი, ადა მარშანია თვლის რომ ჯერ კიდევ მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემის მაჟორიტარული ნაწილი „მახინჯია“ რადგან უმცირესობების „წარმომადგენელი თუ არი პარლამენტში, არის ძაან ნომინალური და პირობითი წარმომადგენელი“ (მარშანია, 2018). მაგრამ, მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან შედარებისას, დეპუტატი ამბობს რომ „მაჟორიტარულად ადამიანს შეუძლია ინდივიდუალურად გადაწყვიტოს ეს საკითხი, თავისი ბედი. ყოველ შემთხვევაში ფორმალური, სასტარტო შესაძლებლობა მას აქვს ორი და ამ შემთხვევაში ექნება მხოლოდ ერთი, მხოლოდ პოლიტიკური პარტიის მეშვეობით.“ ასე რომ, მისი აზრით „რა თქმა უნდა იზღუდება ეს მათი შესაძლებლობები ალბათ. შენ ხარ დამოკიდებული პოლიტიკურ ორგანიზაციაზე და ინდივიდუალურად უკვე ვერ შესძლებ კენჭის ყრას როგორც პიროვნება და ადამიანი“ (მარშანია, 2018).

გამომდინარე აქედან, იმის შესახებ თუ რამდენად შეუწყობს მთლიანად პროპორციულ მოდელზე გადასვლა უმცირესობების ჯგუფების უკეთეს წარმომადგენლობითობას პარლამენტში, ადა მარშანია ასკვნის რომ „ეს უკვე

პოლიტიკური ორგანიზაციების ნებაზე იქნება დამოკიდებული. იქ უკვე ადამიანი დამოუკიდებელი-მაჟორიტარული მექანიზმის მეშვეობით ვეღარ აირჩევა პარლამენტში. ეს უკვე პოლიტიკური ორგანიზაციების შეგნებაზე და მოწიფულობაზე იქნება დამოკიდებული“ (მარშანია, 2018). შესაბამისად, მისი მტკიცებით თუ პოლიტიკურ პარტიებს „მიაჩნიათ რომ ამა თუ იმ რეგიონში ჭარბათ არი ეთნიკური წარმომადგენლობა და მიაჩნიათ რომ პარლამენტში უნდა იყოს ეს მოსახლეობა ეს რეგიონი წარმოდგენილი მაშინ ჩართვენ ისეთ სიაში და ისეთ ადგილას ჩაწერენ გამსვლელი რასაც ქვია“ (მარშანია, 2018).

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან და მის მოსალოდნელ სამოქალაქო ინტეგრაციის შედეგებთან დაკავშირებულ კითხვაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი, პასუხობს რომ ამ საკითხთან დაკავშირებით იყო მთელი საჯარო მსჯელობები და „საზოგადოების დაკვეთაც არი რო პროპორციული სიტემა ყოფილიყო, რო ასახულიყო, მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლიყავით. იმიტომ რომ ჩვენ ვართ საპარლამენტო რესპუბლიკა. ხო ანუ პარლამენტი ძლიერდება და პარლამენტზე გადმოდის ძირითადი აქცენტი ძალაუფლების ვექტორში და შესაბამისად ეს სწორი სისტემაა იმიტომ რომ ბევრ ქვეყნაში არის ესეთი სისტემა მათ შორის ისეთ ქვეყნებში რომლებთაც საკმაოდ მაღალი დონის თვითმმართველობა აქვთ და ასე მუშაობს იქ პარლამენტები და მემგონია რომ სწორეა ზოგადად“ (ციხელაშვილი, 2018).

გამოკითხული აკადემიური სფეროს ექსპერტები პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას და მის სავარაუდო შედეგებს კონფლიქტების გადაჭრასა და სამოქალაქო ინტეგრაციასთან მიმართებაში დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებიან. მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით ყოველგვარი ეთნიკური ელემენტის შემოტანა საარჩევნო სისტემაში შეცდომა იქნება. კითხვაზე კი თუ რამდენად წაახალისებს პროპორციული საარჩევნო სისტემა პარტიებს ჩართონ თავიანთ რიგებში მეტი უმცირესობათა ჯგუფის წევრები, ექსპერტი ამბობს რომ მიუხედავად იმისა რომ მეტი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ამ ხალხის ჩართულობა აუცილებელია, მაჟორიტარული სისტემა, მისი აზრით, უკეთესად წარმოადგენს რეგიონებს, მათ შორის

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს. ამას გარდა, რესპონდენტის მოსაზრებით პროპორციულისაგან განსხვავებით, მაჟორიტარული სისტემა საშუალებას აძლევს ადგილობრივ რეგიონულ ამომრჩეველს მეტი კავშირი და ცნობადობა ქონდეს იმ კანდიდატის მიმართ ვისაც ამომრჩეველი ირჩევს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი, დავით მაცაბერიძე, პროპორციული საარჩევნო სისტემის სავარაუდო დადებით როლზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან არსებული კონფლიქტის გადაჭრაში, პასუხობს რომ „პროპორციული საარჩევნო სისტემა შეიძლება ის მექანიზმი იყოს რომელიც ვთქვათ აფხაზეთს შესთავაზა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც იყო ალექსიძის პროექტი და რომელმაც მაშინ ვერ იმუშავა. კი მოხდა ამ პრინციპით არჩევა მაგრამ მერე მალევე შევედით კონფლიქტში და არ იმუშავებდა. დღეს როდესაც ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აჩვენებენ, ეს პროპორციული საარჩევნო სისტემა საერთოდ წარმოუდგენელია, არა რელევანტური, და არარეალურია შეთავაზების თვალსაზრისით“ (მაცაბერიძე, 2018).

მეტ-ნაკლები სიფრთხილით და ოპტიმიზმით განიხილავენ ასევე სამოქალაქო სექტორის გამოკითხული ექსპერტები პროპორციული საარჩევნო სისტემის სავარაუდო წვლილს უკეთეს სამოქალაქო ინტეგრაციაში. მაგალითად, კობა თურმანიძე, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ამბობს რომ ის აბსოლუტურად იზიარებს იმას რომ ეს არი ყველაზე სამართლიანი სისტემა იმიტომ რომ პროპორციულად ყველას აძლევს ამ წარმომადგენლობის საშუალებას. თუმცა, იქვე მიანიშნებს რომ მიუხედავად ამისა რა თქმა უნდა უმცირესობა იქაც დარჩება უმცირესობად (თურმანიძე, 2018). მეტიც, კობა თურმანიძე მიიჩნევს რომ ამ მხრივ უფრო შორსაც შეიძლება წასვლა და დასაშვებია რეგიონული პარტიების არსებობა. ასეთი დაშვება, მისი აზრით, მისცემს უფრო მეტ საშუალებას უმცირესობების ჯგუფებს თვითონ, თავიანთი ადგილობრივი რეგიონული საჭიროებისამებრ, დააკომპლექტონ თავიანთი სიები. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ამგვარი დაშვება „წარმომადგენლობითობის და ამ უმცირესობების ხმების ცენტრში თავმოყრის კაი გზა იქნება“ (თურმანიძე, 2018).

უმცირესობების უკეთ ინტეგრირების კუთხით პროპორციული საარჩევნო სისტემის მიზანშეწონილობაზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, გიორგი გობრონიძე პასუხობს რომ „პროპორციულ საარჩევნო სისტემას თუ გავხედავთ ამან შეიძლება გამოიწვიოს ერთი პრობლემა, უბრალოდ ის პრობლემა რომ არ იყოს სათანადოდ წარმოდგენილი პარტიებში უკვე კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები“ (გობრონიძე , 2018). მისი აზრით ეხლა ჩვენ გვაქვს ის რეალობა რომ „საარჩევნო პერიოდის გარდა ამ რეგიონებში, საერთოდ სადაც გვყავს ეთნიკური უმცირესობები, პარტიების ოფისები დაკეტილია უბრალოდ. ანუ ისინი არც მუშაობენ რეგიონებში და აი აქ უკვე მე მგონია რომ საარჩევნო სისტემა უფრო მეორე ხარისხოვანია თუ რომელი გვექნება ჩვენ. მაგრამ მნიშვნელოვანია ის თუ ნებისმიერ საარჩევნო სისტემაში რამდენად ჩართავ ამ ადამიანებს ეხლა თუ არც აქ ჩავრთე და არც იქ ჩავრთე ეს ხალხი ამას მნიშვნელობა არა აქვს“ (გობრონიძე , 2018).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ თავჯდომარე, არნოლდ სტეპანიანი ამბობს რომ ისინი ზოგადად ემხრობიან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. თუმცა, იქვე აღნიშნავს რომ უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში „თუ ჩვენ არ გვეყოლება პარტიებში უმცირესობები, თუ ჩვენ არ მოვიფიქრებთ და არ ვისაუბრებთ წახალისების მექანიზმზე პარტიებისთვის და უმცირესობებისთვის, თავისთავად პროპორციული სისტემა ვერ გახდება ვთქვათ მაინტეგრირებელი ფაქტორი ჩვენი საზოგადოებისთვის. „ზოგადად საზოგადოებისთვის კარგია, ჯანსაღი ნაბიჯია, თუმცა ინტეგრაციის კუთხით, თუ დამატებითი ნაბიჯები არ გავაკეთეთ, ვერ იმუშავებს“ (სტეპანიანი, 2018).

3.5. პოლიტიკური აკომოდაციის, სამოქალაქო ინტეგრაციის და დეცენტრალიზაციის პერსპექტივები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, ეროვნულ დონეზე, უმცირესობების საკითხების მიმართ, მინიმუმ სამი ძირითადი მიდგომა შეიძლება გამოიყოს, ესენია ასიმილაცია, ინტეგრაცია და ავტონომია. ასიმილაცია გულისხმობს ცალკეული იდენტობების და განსხვავებული კულტურის მქონე თემების საერთო დომინანტურ ეროვნულ თვითმყოფადობაში და კულტურაში გაერთიანებას. ინტეგრაცია კი მოიაზრებს იმ განსხვავებული იდენტურობისა და კულტურის მქონე საზოგადოებების, რომელთაც სურთ რომ ეს თავიანთი განსხვავებული კულტურა და იდენტობები შეინარჩუნონ, დომინანტური კულტურის მიერ აღიარებას და მათ მიმართ ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას რაც უზრუნველყოფს მათ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სტრუქტურების ყველა ასპექტში ეფექტიან მონაწილეობას. რაც შეეხება ავტონომიას, ეს ცნება შეიძლება გაგებული იყოს როგორც ცალკეული სტრუქტურების შექმნის იდეა, რომლის მეშვეობითაც განსხვავებული იდენტობის მქონე საზოგადოებების წევრებს შეუძლიათ რეგიონალურ, ადგილობრივ და ფუნქციურ საფუძველზე, განახორციელონ ეფექტიანი კონტროლი საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული საკითხების (Hadden, 2005).

აღნიშნული ქვეთავის მიზანია დადგინდეს თუ რა პერსპექტივებია მოცემული მდგომარეობით საქართველოში უმცირესობების ჯგუფების უფრო უკეთესი პოლიტიკური აკომოდაციის, სამოქალაქო ინტეგრაციის და ზოგადად რეგიონული დეცენტრალიზაციის კუთხით. შესაბამისად, ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოკითხული პოლიტიკოსების, ექსპერტების და აკადემიური წრის წარმომადგენლების მიმართ დაისვა კითხვები თუ რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოში უმცირესობების ინტეგრაციის საკითხების მიმართ სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით. ასევე, მათ მიმართ დასმული კითხვები ეხებოდა იმ სახელმწიფო მიდგომების და მოდელების გამოკვეთას რაც ფუნქციონირებს დღეს როგორც კონფლიქტების მოგვარების ისე სამოქალაქო

ინტეგრაციის კუთხით. გარდა ამისა გამოკითხულების მიმართ დასმული კითხვები გულისხმობდა დეცენტრალიზაციის მიზანშეწონილობას და თუ რამდენად თავსებადია ზოგადად კონსოციონალური მოდელი საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობასთან უმცირესობათა ჯგუფების უკეთესი ინტეგრაციისთვის და ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების კუთხით. ბოლოს, რესპონდენტებმა ასევე პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებზე თუ რა ხელის შემშლელი ან ხელის შემწყობი ფაქტორებია საქართველოში შემდგომი ინტეგრაციის, დეცენტრალიზაციის და კონსოციონალური მოდელის დამკვიდრების კუთხით და თუ რა უნდა გაკეთდეს უმცირესობების ჯგუფების უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის.

ინტერვიუსთვის გამოკითხული თორმეტივე რესპოდენტის მოსაზრებებს თუ შევაჯამებთ, ჩანს ზოგადად რომ დღეს-დღეისობით საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხი (მიუხედავად იმისა რომ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და დაიხვეწა საკანონმდებლო და ნორმატიულ დონეზე) კვლავ ძალიან დაბალია, განსაკუთრებით პრაქტიკულ დონეზე. რაც შეეხება რესპოდენტთა აზრს დღემდე განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკასთან მიმართებაში (ერთის მხრივ კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრასთან და მეორეს მხრივ სამოქალაქო ინტეგრაციასთან მიმართებაში), მათი პოზიციები მეტნაკლებად განსხვავებულია.

მაგალითად, მმართველი გუნდის წარმომადგენლების მოსაზრებით სახელმწიფო ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში წარმატებით ახორციელებს სამშვიდობო, არაღიარების და დეოკუპაციის პოლიტიკას, ხოლო დანარჩენ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკას. ოპოზიციაში მყოფი საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები არსებულ ეთნიკურ ურთიერთობებს სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებლად და პრობლემურად აფასებენ. კერძოდ, მათი მოსაზრებით, სახელმწიფოს მიერ უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არ არის საკმარისად მკაფიო, გააზრებული და თანმიმდევრული, განსაკუთრებით იმპლემენტაციის დონეზე.

მაგალითად, კითხვაზე თუ როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ ეთნიკურ ურთიერთობებს სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით, პარტია ქართული ოცნების წარმომადგენელი და პარლამენტში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, თამარ ხულორდავა, აცხადებს რომ ჩვენი კონსტიტუციური წყობიდან გამომდინარე “საქართველოს მოქალაქე თავისი უფლებებით არის თანასწორი მისი ეროვნული, ასე ვთქვათ ეთნიკური კუთვნილების, ან რაღაც სხვა კუთვნილებისა და მიუხედავად“. შესაბამისად, მისი მტკიცებით “სამართლებრივად და ნორმატიულად ყველა ამ თანასწორი უფლებებით ვსარგებლობთ” (ხულორდავა, 2018). თუმცა, თამარი, აქვე აღნიშნავს რომ გარკვეულ უფლებებზე წვდომასთან მიმართებაში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებს შესაძლოა ქონდეთ გარკვეული პრობლემები. კერძოდ, მისი აზრით ახლა მთავარი მოსაგვარებელი საკითხებია თუ რამდენად არის მათი სრული ჩართულობა უზრუნველყოფილი პოლიტიკურ ცხოვრებაში; რამდენად არიან აქტიურები სოციალურად; „რამდენად არსებობს ადგილზე რაღაცა ხელის შემშლელი გარემოებები მათი უფლებების რეალიზებისთვის?“ (ხულორდავა, 2018). რაც შეეხება კონფლიქტების მოგვარების დღეს მოქმედ მიდგომებს, თამარ ხულორდავა ამბობს რომ დღეს სახელმწიფოს არჩეული აქვს მშვიდობიანი გზით კონფლიქტების მოგვარების სტრატეგია. ანუ მისი მოსაზრებით „ეს უნდა მოხერხდეს მხოლოდ ჩართულობით და მეტი ურთიერთობით გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოქალაქეებს და ადამიანებს შორის“ (ხულორდავა, 2018).

შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ქეთევან ციხელაშვილი, მის მიმართ დასმულ კითხვაზე თუ როგორ აფასებს იგი ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ ურთიერთობებს სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით, აცხადებს რომ ჩვენ მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ქვეყანა ვართ. შესაბამისად, მისი მტკიცებით ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა 2004 წლიდან მოყოლებული დაიხვეწა და არეგულირებს ამ ურთიერთობებს. მისი აზრით ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობა (ციხელაშვილი, 2018).

შემდგომ კითხვაზე თუ დღეს საქართველოში რომელი მოდელი და მიდგომები ფუნქციონირებს კონფლიქტების გადაჭრის და ეთნიკური პოლიტიკის კუთხით, მინისტრის აზრით „როცა აფხაზეთთან და ოსებთან თანაცხოვრებას ეხება საქმე“ სახელმწიფო მიდგომა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკით ორიენტირებულია რეალურ დროზე და მომავალ დროზე. უფრო კონკრეტულად, „ეს არი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებით, რაც ორი რამეა. პირველი არის ის რომ რა თქმა უნდა ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის, ინდივიდის იდენტობა უნდა იყოს დაცული, ერთის მხრივ, და ქონდეს მას თავისი თვითმყოფადობის და განვითარების შესაძლებლობა და მორეს მხრივ ჩართული უნდა იყოს ყველა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში შესაბამისად. თანასწორი შესაძლებლობები უნდა არსებობდეს მათთვის“ (ციხელაშვილი, 2018).

რაც შეეხება გამოვითხულ ოპოზიციაში მყოფ საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებს, პარტია ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი, რომან გოცირიძე საქართველოში არსებულ ეთნიკურ ურთიერთობებს სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით პრობლემურად აფასებს. მისი აზრით პრობლემა ძირითად გამომდინარეობს საბჭოთა პოლიტიკის მავნე მემკვიდრეობით, რაც გამოიხატება აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებთან გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების არსებობით. იმ ეთნიკური უმცირესობების მიმართ კი, რომლებიც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობენ, გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკას რაც შეეხება, მისი აზრით საქართველო მოქმედებს ევროსაბჭოს მიერ მიღებულ თვითმართველობის ქარტიის ფარგლებში (გოცირიძე, 2018). შემდეგ კითხვაზე თუ რომელი მოდელი ფუნქციონირებს დღეს საქართველოში კონფლიქტების მოგვარების და ინტეგრაციის კუთხით, რომან გოცირიძე პასუხობს რომ ძირითადად ორი მოდელი განიხილება, უნიტარული და ფედერაციული. თუმცა, მისი აზრით, უმრავლესობა უფრო შუალედურ ვარიანტს ირჩევს ანუ „ეთნიკური ნიშნით ადმინისტრაციული მოწყობას ვუშვებთ ორ შემთხვევაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით“, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მისაღებია რეგიონალური მაგრამ დეცენტრალიზებული მოწყობა (გოცირიძე, 2018).

სერგი კაპანაძე, პარტია ევროპული საქართველოს დეპუტატი და ვიცესპიკერი, საქართველოში ინტერ-ეთნიკურ ურთიერთობებს როგორც სტრუქტურული ისე სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული კუთხით დადებით დინამიკაში ხედავს. თუმცა მას მიაჩნია რომ სახელმწიფო მცდელობები არადაამაკმაყოფილებელია, რადგან ყველა ეკონომიკური სიკეთე არ ვრცელდება უმცირესობების ჯგუფებზე. მისი აზრით ამგვარი მდგომარეობა გამომდინარეობს იქიდან რომ „არ ხდება საკმარისი ფულის ხარჯვა ამ რეგიონებზე მათი უკეთესი ინტეგრირების მიზნით“ (კაპანაძე, 2018). შესაბამისად, დეპუტატი მიიჩნევს რომ „საკანონმდებლო დონეზე პრობლემა ნაკლებად არი, უფო მეტი პრობლემა არი ამისი იმპლემენტაცია“ (კაპანაძე, 2018).

ამას გარდა, სერგი კაპანაძე მიიჩნევს რომ კონფლიქტების მოგვარების და ინტეგრაციის დღეს მოქმედი სახელმწიფო მოდელი არ არის მკაფიოდ და ერთიანი სტრატეგიის სახით ჩამოყალიბებული. მისი მოსაზრებით „დღეს რაზეც არი აქცენტი, რაც კეთდება, ეს არი უფრო მეტად ადამიანური ურთიერთობების ხელშეწყობა, სავაჭრო და სხვა რაღაც კავშირების აღდგენა“ რაც მისი აზრით სწორეა, „ოღონდ არი მარტო ერთი კომპონენტი და კონფლიქტს არ აგვარებს. ანუ შეიძლება იყოს კარგი ნდობის აღდგენისკენ, მაგრამ არა კონფლიქტის მოგვარებისკენ“ და რომ „კონფლიქტის მოგვარებას ჭირდება საკითხის საერთაშორისო აქტუალიზაცია და რუსეთზე მუდმივი ზეწოლა და საერთაშორისო ორმხრივ ურთიერთობებში ამისი გატანა“ (კაპანაძე, 2018).

პარტია პატრიოტთა ალიანსის დეპუტატი, ადა მარშანია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს რომ მიუხედავად იმისა რომ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით კანონი მიღებული გვაქვს, ეს მხოლოდ ფორმალობაა და არ ჩანს რეალური შედეგი. ხოლო კონფლიქტების მოგვარების საკითხს რაც შეეხება, მისი მოსაზრებით აქ მდგომარეობა კატასტროფულია, რადგან ისევ მოძველებული მიდგომებით ხელმძღვანელობს დღევანდელი ხელისუფლება და არ მომხდარა დღემდე ამ მიდგომების ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია (მარშანია, 2018).

ინტერვიუსთვის გამოკითხული აკადემიური სფეროს წარმომადგენლები საქართველოში ეთნოსებს შორის დღეს არსებულ ურთიერთობებს სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით ძირითად უფრო

პოლიტიკურ პრიზმაში ხედავენ. მათი მოსაზრებით ამ პროცესებში გარე ფაქტორების როლი ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, გამოკითხულ მეცნიერის მოსაზრებით კონფლიქტების მოგვარების საკითხთან დაკავშირებით არსებობს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და წინა პლანზე წმინდა პოლიტიკური ფაქტორებია წამოწეული. მაგალითად, პოლიტიკური მეცნიერების მკვლევარი, დავით მაცაბერიძე მიიჩნევს რომ სტრუქტურული, პოლიტიკური და ნორმატიული თვალსაზრისით მთავარი ცვლილება მოხდა ნაციონალიზმის ტრანსფორმაციით, ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ.

რაც შეეხება უმცირესობების სოციალური ინტეგრაციის კუთხით გადადგმულ სახელმწიფო ნაბიჯებს, მკვლევარი მიუთითებს ბოლო ათწლეულებში უმცირესობათა ჯგუფების უფრო მეტ ჩართულობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკის ზრდასთან და მოდერნიზაციასთანაც იყო კავშირში. მაგალითად ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა, ასევე საშუალება რომ ისწავლონ საქართველოს უმაღლეს დაწესებულებებში (ენის ცოდნის შემთხვევაში, რაც ჯერ კიდევ პრობლემაა). ასევე, მკვლევრის მტკიცებით აღნიშნული სერვისებით აფხაზები და ოსებიც სარგებლობენ, თუმცა ისინი ვერ ამჟღავნებენ და ასაჯაროებენ „არსებული ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც მეტ წილად აფხაზეთის შიდა პოლიტიკას და რუსეთის პოლიტიკას უკავშირდება“ (მაცაბერიძე, 2018).

რაც შეეხება გამოკითხულ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხედულებებს და შეფასებებს, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი გამოიკვეთა საქართველოში არსებულ უმცირესობათა ჯგუფების სტრუქტურული, სოციალური, პოლიტიკური და ნორმატიული ინტეგრაციის მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, კაკვასიის კვლევითი რესურსების ცენტრის დირექტორი, კობა თურმანიძე მიიჩნევს რომ უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაცია შეზღუდულია ენის არ ფლობის შედეგად. შესაბამისად, არ ხდება ამ ჯგუფების წარმომადგენლების დანიშვნა ისეთ საკვანძო თანამდებობებზე როგორც არის გამგებელი, მოსამართლე, პროკურორი, პოლიციის უფროსი და ა.შ. მისი აზრით, ამგვარ სიტუაციას ხშირად ბოროტად იყენებენ მმართველი პარტიები განსაკუთრებით საარჩევნო ხმების მიღწევის მიზნით ამ არა-ინტეგრირებული

ჯგუფებთან კოლექტიური გარიგების მიღწევით. კონფლიქტების მოგვარების და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მიდგომებს რაც შეეხება, ექსპერტის აზრით ჯერ კიდევ მოქმედებს უფრო ცენტრალიზებული და უნიტარული მიდგომები (თურმანიძე, 2018).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, გიორგი გობრონიძე, აღნიშნავს რომ დეკლარირებულ დონეზე სახელმწიფო ცდილობს უმცირესობების ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრირებას თუმცა პრაქტიკაში ამას სათანადოდ ვერ ახერხებს. გამომდინარე აქედან, შედეგად ვიღებთ აღნიშნული ჯგუფების პოლიტიკურ ინდიფერენტულობას. კონფლიქტების მოგვარების მიმართ სახელმწიფო მიდგომების შესახებ, სპეციალისტის მოსაზრებით ერთადერთი მიდგომა რაც არის ეს არის ნდობის აღდგენა, და გარკვეული ჩართულობის უზრუნველყოფა ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების. ოფიციალურად ამ პოლიტიკას მოიხსენიებენ როგორც არალიარების და დეოკუპაციის პოლიტიკას (გობრონიძე, 2018).

აღნიშნულ კითხვაზე არნოლდ სტეპანიანი, მრავალეროვანი საქართველოს თავმჯდომარე, პასუხობს რომ ამ მხრივ კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია და რეგიონალურ დონეზე ნორმალურად გამოიყურება, თუმცა პრაქტიკა და იმპლემენტაცია არადაამაკმაყოფილებელია. მისი აზრით, როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო სექტორებში, არ ჩანს ინტეგრაციის ეფექტური ხედვა (სტეპანიანი, 2018). ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ზაურ ხალილოვი, ამჟამინდელი ინტეგრაციის ხარისხის შეფასებისას, აღნიშნავს რომ მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია და მიანიშნებს ასევე საქართველოში მზარდ რადიკალურ-ნაციონალისტური ორგანიზაციების თუ ჯგუფების გამოჩენას და გააქტიურებას (ხალილოვი, 2018).

გამოკითხულთა მოსაზრებები ასევე მეტნაკლებად განსხვავდება შემაჯამებელ კითხვებზე თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოში მმართველობის სისტემის შემდგომი დეცენტრალიზაცია? რამდენად თავსებადია საქართველოს დღევანდელ მოცემულობასთან ზოგადად კონსოციონალური მოდელი? რა ხელის შემწყობი ან ხელის

შემშლელი გარემოებებია დღეს საქართველოში უმცირესობათა ჯგუფების უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის და ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის.

გამოკითხული მმართველი გუნდის წარმომადგენლები მიუხედავად იმისა რომ საქართველოში შემდგომ დეცენტრალიზაციას და თვითმმართველობების გაძლიერებას ემხრობიან, კონსოციონალური მოდელი შეუთავსებლად მიაჩნიათ, გამომდინარე არსებული რთული გეოპოლიტიკური რეალობიდან. მაგალითად, პარტია ქართული ოცნების დეპუტატი, თამარ ხულორდავა, შემდგომ დეცენტრალიზაციასთან მიმართებაში აცხადებს რომ უფრო ძლიერი თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად რეფორმები დაწყებულია. მისი აზრით, ამ რეფორმების შედეგად, რაც გარკვეული კომპეტენციების ცენტრიდან რეგიონებზე დელეგირებას მოიაზრებს, უფრო რეალური უნდა გახდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ძალაუფლება. დეპუტატის თქმით ამან უნდა მოგვცეს ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკური და სოციალური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების დამკვიდრება (ხულორდავა, 2018).

კონსოციონალური მოდელის საქართველოსთან თავსებადობასთან მიმართებაში, მმართველი გუნდის წარმომადგენელი ამბობს რომ ჩვენ არ ვართ შვეიცარია, ბელგია ან ინდოეთი და რომ აქ რეალობა განსხვავებულია. ანუ, მისი მსჯელობით, საქართველოსთან მიმართებაში გასათვალისწინებელია რთული გეოპოლიტიკური ფაქტორები რაც უნიტარულ მოდელს, თუმცა ფართო დეცენტრალიზაციით და ძლიერი თვითმმართველობებით, უფრო შესაბამის ხდის (ხულორდავა, 2018). თამარ ხულორდავა უმცირესობების უკეთესი ინტეგრაციისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად პირველ რიგში აღნიშნულ ჯგუფებში სახელმწიფო ენის არასაკმარის ცოდნას ასახელებს. კითხვაზე თუ რა უნდა გაკეთდეს მათი უკეთ ჩართულობისთვის, მმართველი პარტიის დეპუტატი აცხადებს რომ სახელწიფომ მათ უნდა გაუჩინოს განცდა რომ, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა, ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და ხელი მიუწვდებათ ყველა იმ სერვისებზე რითაც დანარჩენი მოქალაქეები სარგებლობენ, ეს იქნება ჯანდაცვა, განათლება თუ დასაქმება. ხოლო, სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთ

მნიშვნელოვან ხელის შემწყობ ფაქტორად, რესპონდენტს, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარება მიაჩნია (ხულორდავა, 2018).

რეგიონული თვითმმართველობის გაძლიერებისთვის, ქეთევან ციხელაშვილი, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, შემდგომ დეცენტრალიზაციას მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებს. მისი თქმით, ეს ზოგადად ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი წინაპირობაა. კითხვაზე თუ როგორ უნდა იქნას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მეტი ჩართულობა უზრუნველყოფილი, მინისტრი მიუთითებს მიღებულ სამოქალაქო და თანასწორობის სტრატეგიაზე. აღნიშნული სტრატეგია შემდეგი ოთხი მიმართულებისგან შედგება: უმცირესობათა ჯგუფებისთვის პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა, მათთვის განათლების და პროფესიული უნარ-ჩვევების ხელშეწყობა, ეკონომიკური ჩართულობა (მაგალითად, აწარმოე საქართველოში), ერთის მხრივ სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობა და მეორეს მხრივ მშობლიურ ენაზე ცოდნის მიღების ხარისხის გაუმჯობესება, რეგიონული მედიის გაძლიერება (ციხელაშვილი, 2018).

გამოკითხული ოპოზიციური პარტიების დეპუტატები, მმართველი გუნდის წარმომადგენლების მსგავსად, ემხრობიან სახელმწიფოს მიერ შემდგომ დეცენტრალიზაციისკენ და თვითმმართველობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. გარდა ამისა, სამი გამოკითხული ოპოზიციური საპარლამენტო პარტიდან, ორი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პატრიოტთა ალიანსი) კონსოციონალურ მოდელს არ მიიჩნევენ საქართველოსთვის თავსებადად ამ ეტაპზე. გამოკითხული, პარტია ევროპული საქართველოს დეპუტატი, თვლის რომ „მაგ მოდელის არსებობა ჯამში არის გარდაუვალი. მითუმეტეს თუ გვინდა რომ კონფლიქტური, ოკუპირებული ტერიტორიები და კონფლიქტური რეგიონებიც გქონდეს ბოლომდე ინტეგრირებული“ (კაპანაძე, 2018).

მაგალითად, კითხვაზე თუ რა ფაქტორები უშლის ხელს უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციას და დეცენტრალიზაციას, პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი, რომან გოცირიძე მიიჩნევს რომ პირველ რიგში ეს არის მწირი ფინანსური რესურსები. ანუ დაბალია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და ზოგადად

დაბალია ეკონომიკის პოტენციალი. მისი აზრით, მეორე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი არის მოქმედი თვითმმართველობის არაეფექტიანი მოდელი, რომელიც ფინანსურად რეგიონებს ზედმეტად დამოკიდებულებს ხდის ცენტრზე. ასევე, დეპუტატი თვლის რომ საბჭოთა რაიონული მოწყობის მავნე მემკვიდრეობა და პრაქტიკა აფერხებს თანხების აკუმულირებას რეგიონებში. შესაბამისად, რომან გოცირიძე, უკეთესი ინტეგრაციისთვის და დეცენტრალიზაციისთვის ეკონომიკის გაძლიერებას და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას მოიაზრებს. ამას გარდა, პარლამენტარი უმცირესობების უკეთესი ინტეგრირებისთვის თვლის რომ აუცილებელია მეტი გაკეთდეს მათი განათლებისთვის, ენის ცოდნისთვის და კომუნიკაციების გამართვისთვის და განვითარებისთვის (გოცირიძე, 2018).

პარტია ევროპული საქართველოს დეპუტატი, სერგი კაპანაძე, კითხვაზე თუ რა გარემოებები უშლის ან უწყობს ხელს საქართველოში უფრო კონსოციონალური მიდგომების შემოღებას, პასუხობს რომ ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორი პოლიტიკურ ელიტებში ცენტრალური კონტროლის გაშვების შიშია. მისი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი გარემოება ასევე ამავე ელიტებში ძალაუფლების დელეგირების მიმართ სურვილის არარსებობაა. მეტი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის და კონფლიქტების გადაჭრისთვის, სერგი კაპანაძე, თვლის რომ საჭიროა ძალაუფლების გაზიარება მმართველობის ქვედა დონეებზე. გამომდინარე იქიდან რომ საზოგადოება მულტი-ეთნიკურია, პარლამენტარის მოსაზრებით, მეტი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის (ასევე კონფლიქტური რეგიონების ინტეგრირებისთვის) შესაძლებელია გარკვეული „პოზიტიური დისკრიმინაციის“ პოლიტიკის შემუშავება (კაპანაძე, 2018).

ადა მარშანია, პარტია პატრიოტთა ალიანსის დეპუტატი, ამავე კითხვებზე პასუხობს რომ სამოქალაქო ინტეგრაციის მთავარი ხელის შემშლელი გარემოება ზოგადად მოსახლეობის ამ საკითხების მიმართ გაუთვითცნობიერებლობაა. მისი მოსაზრებით, მეტი ინტეგრაციისთვის, საჭიროა როგორც საზოგადოების ისე პოლიტიკოსების გააზრებული და ჯანსაღი აქტივობა და რომ ეს ჩვენთვის უნდა გავაკეთოთ. რაც შეეხება კონსოციონალური მოდელის საქართველოსთან თავსებადობას,

ადა მარშანია თვლის რომ ამ ეტაპზე არ არის თავსებადი აღნიშნული მოდელი რადგან ჯერ არ დამდგარა ამისთვის შესაბამისი გარემოება. კითხვაზე თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას უმცირესობათა ჯგუფების საზოგადოებაში მეტი ჩართულობისთვის და ინტეგრაციისთვის, პარლამენტის წევრი მიიჩნევს რომ მთავარი პოლიტიკურ ნების არსებობაა. გარდა ამისა, საჭიროა უმცირესობებთან მეტი დიალოგი და უმცირესობების მხრიდანაც უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო რათა თავიანთი ყოველდღიური პრობლემები და საკითხები უფრო მკაფიოდ დააფიქსირონ პოლიტიკოსების წინაშე (მარშანია, 2018).

გამოკითხული აკადემიური სფეროს წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხებს (მაგ., დეცენტრალიზაციის მიზანშეწონილობა, კონსოციონალური მოდელის თავსებადობა, სამოქალაქო ინტეგრაცია) მეტ-ნაკლები სიფრთხილით განიხილავენ. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტის მოსაზრებით დეცენტრალიზაციის კუთხით საქართველოში უკვე მოხდა საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯების განხორციელება (თუნდაც არჩეული მერები). შესაბამისად, მისი აზრით, ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია ამ ცვლილებების გააზრება და ათვისება, რადგან სიჩქარე შესაძლოა უფრო სარისკო აღმოჩნდეს. გამომდინარე აქედან, ექსპერტი მიიჩნევს რომ ამ მომენტისთვის მთავარი გამოწვევა ამ უფლებების ეფექტიანი გამოყენება და შესაბამისი გამოცდილებების და კულტურის გამომუშავებაა.

დავით მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი, დეცენტრალიზაციის მიზანშეწონილობაზე ამბობს რომ დეცენტრალიზაცია აბსოლუტურად რელევანტური და მიზანშეწონილია დემოკრატიზაციისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესებისთვის. თუმცა, მისივე მოსაზრებით, როგორც კონფლიქტების მოგვარების მექანიზმი, დეცენტრალიზაცია, არა-რელევანტურია. კონსოციონალური მოდელის საქართველოსთან თავსებადობასთან მიმართებაში, მკვლევრის მტკიცებით ეს მოდელი ამ მომენტში არ არის თავსებადი რადგან როდესაც 25 წლიანი გადაუჭრელი კონფლიქტებია ქვეყანაში (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებთან) აღნიშნული მოდელის შემოღება უკვე დაგვიანებულია (მაცაბერიძე, 2018).

რაც შეეხება გამოკითხულ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათი პოზიციები შემდგომი დეცენტრალიზაციის მიმართ ფრთხილი თუმცა დადებითია. მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ხედავენ საქართველოში კონსოციონალიზმის დამკვიდრების პერსპექტივას. მაგალითად, კობა თურმანიძე (კავკასიის რესურსების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი) თვლის რომ შემდგომი დეცენტრალიზაცია საქართველოში არ იქნება ადვილად განხორციელებადი, რადგან „ამას დაჭირდება წლები ამისი უნარები რომ შეიქმნას ადგილებზე“ (თურმანიძე, 2018). რეგიონალურ დეცენტრალიზაციასთან მიმართებაში, ექსპერტი თვლის რომ ამ ეტაპზე თუნდაც რამდენიმე რეგიონის არსებობა საკმარისია. ხოლო, მოსახლეობის ხელისუფლებასთან დაახლოების საკითხებს რაც შეეხება, კობა თურმანიძე თვლის რომ ამის მოგვარება ადვილად შესაძლებელია თუნდაც იუსტიციის სახლების თუ საზოგადოებრივი ცენტრების ადგილებზე უზრუნველყოფით. კონსოციონალური მოდელის თავსებადობასთან მიმართებაში, ექსპერტი პასუხობს რომ, როდესაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის არ არის მეტნაკლებად თანაბარი ბალანსი (ანუ უმრავლესობის წილი გაცილებით დიდია ვიდრე უმცირესობების, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია) კონსოციონალური თანხმობის მიღწევა ასეთ შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენია და მისაღწევია (თურმანიძე, 2018).

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პროგრამის ოფიცერი და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კოორდინატორი, ლაშა გოგიძე, პასუხობს რომ დეცენტრალიზაციის მიმართულებით რეფორმები უკვე დაწყებულია. კერძოდ, 1998 წლიდან მიღებულ იქნა პირველი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ. შემდეგ, „2004 წელს, ქვეყანა შეუერთდა თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, და ასევე კონცეფციაც მიიღო პირველი დეცენტრალიზაციის“. ბოლოს, ყველაზე დიდი რეფორმა 2013 წელს მოხდა, როდესაც მიიღეს თვითმმართველობის ახალი კოდექსი და რითაც გახდა ყველა აღმასრულებელი ორგანო არჩევითი. ასევე, გვაქვს ხუთი თვითმმართველობის სტატუსის მქონე ქალაქი სადაც მერი არჩევითია (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი და ქუთაისი) და 64 მუნიციპალიტეტი (გოგიძე, 2018).

ექსპერტის მოსაზრებით, მიუხედავად პოლიტიკური დეცენტრალიზაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯებისა, რის შედეგადაც არჩევითი ორგანოები არიან – როგორც აღმასრულებელ ისე საკანონმდებლო დონეებზე, ფინანსური დეცენტრალიზაცია ჯერ არ მომხდარა, რაც მუნიციპალიტეტებს ჯერ კიდევ დამოკიდებულს ხდის ცენტრზე. ანუ, თანხები კვლავ ძირითად ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება და მერე ტრანსფერების სახით უბრუნდებათ მუნიციპალიტეტებს. რაც შეეხება კონსოციონალური მოდელის საქართველოსთან თავსებადობის საკითხს, ლაშა გოგიძე მიიჩნევს რომ ამგვარი მოდელის დამკვიდრების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სეპარატიზმის შიშია. განსაკუთრებით, შიშია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მიმართ. შესაბამისად, მისი აზრით, მოცემულ მდგომარეობაში კონსოციონალურ მოდელზე გადასვლა ძალიან ნაადრევია (გოგიძე, 2018).

დეცენტრალიზაციის შემდგომ ნაბიჯებზე, გიორგი გობრონიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, აცხადებს რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების კუთხით რეფორმები სასურველია. მაგრამ, სპეციალისტის მოსაზრებით პოლიტიკურ ელიტაში არ არსებობს საკმარისი სურვილი რომ მოხდეს რეალური დეცენტრალიზაცია. შესაბამისად, უკეთეს შედეგის მისაღწევად, მისი მტკიცებით, საჭიროა ხელისუფლების, პოლიტიკური აქტორების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და ყველა ინსტიტუტების მხრიდან მეტი კომუნიკაცია ამ ჯგუფებთან. გარდა ამისა, გიორგი გობრონიძე, მიიჩნევს რომ საჭიროა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების უფრო მეტი ეკონომიკური ბმა დანარჩენ საქართველოსთან (გობრონიძე , 2018).

ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარე, არნოლდ სტეპანიანი, დეცენტრალიზაციის შესახებ აღნიშნავს რომ რეფორმა მნიშვნელოვანია, თუმცა რეალური რეფორმა და არა მხოლოდ ფურცელზე დაწერილი. ანუ, უფრო ეფექტიანი რეგიონული თვითმმართველობისთვის, უფლებადამცველის მოსაზრებით, მოსახლეობას ადგილზე უნდა მიეცეთ რეალური უფლებები (მაგ., გარკვეულწილად ბიუჯეტის მართვა, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ადგილობრივად

გადაჭრა). თუმცა, საქართველოში დეცენტრალიზაციის მთვარ ხელისშემშლელ გარემოებად, არნოდ სტეპანიანი, პოლიტიკურ კლასში და საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად გამჯდარ საბჭოთა მენტალიტეტს ასახელებს. შესაბამისად, მისი აზრით, საჭიროა ახალგაზრდების მეტი ჩართვა პოლიტიკაში და მართვაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეფორმების ფურცლებიდან პრაქტიკაში განხორციელებას (სტეპანიანი, 2018).

დასკვნა

სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავდა პასუხი გაეცა კვლევის მთავარ კითხვას თუ რამდენად თავსებადია საქართველოსთვის კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი, როგორც კონფლიქტების მოგვარებისთვის და სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ისე ზოგადად ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის. შემდგომი საკვლევითი კითხვა ეხებოდა გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ან უშლიან საქართველოში კონსოციონალური მოდელის დამკვიდრებას. ჩვენს მიერ შემუშავებული ჰიპოთეზის მიხედვით კონსოციონალური დემოკრატიის მოდელი საქართველოსთვის არათავსებადია გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და საშინაო/საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით. უფრო კონკრეტულად, ჰიპოთეზის მტკიცებით, კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის საქართველოს დღევანდელ მოცემულობასთან შეუთავსებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს შემდგომი საშინაო და საგარეო ფაქტორებით: საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმის გამოცდილება, გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები, და საქართველოს საგარეო კურსის მიმართ რუსეთის ამჟამინდელი მტრული სამეზობლო პოლიტიკა.

აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში, საქართველოს მაგალითის კონსოციონალური დემოკრატიის მოდელთან თავსებადობა/არათავსებადობის შესწავლით და კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით, შევეცადეთ აგვეხსნა ის სტრუქტურული და აქტორული მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციაზე და ქვეყნის მშვიდობიან

დემოკრატიზაციაზე. აღნიშნული მიზნისთვის, როგორც პირველად (ინტერვიუები), ისე მეორეულ (ოფიციალური დოკუმენტები, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, სამეცნიერო ლიტერატურა, ინტერნეტ რესურსები) წყაროებზე დაყრდნობით მოხდა საკვლევ კითხვებთან და ჰიპოთეზებთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

პირველ თავში მსჯელობა შეეხო სხვადასხვა დაყოფილი საზოგადოების მქონე ქვეყნების დემოკრატიული სტაბილურობის პერსპექტივებთან მიმართებაში კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის თეორიულ და ემპირიულ კავშირს. შესაბამისად ამ თავის ძირითადი მიზანი იყო წარმოეჩინა კონსოციალური დემოკრატიის მოდელთან თავსებადი აუცილებელი და საკმარისი პირობები.

შედარებითი ანალიზისთვის, ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითზე დაყრდნობით შევეცადე შემეფასებინა კონსოციონალური მიდგომების პრაქტიკული გამოვლინებები, როგორც განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფების პოლიტიკური აკომოდაციის კუთხით, ისე ამ ახლადშექმნილი ქვეყნის ევროინტეგრაციის და დემოკრატიული სტაბილურობის მიღწევის პერსპექტივების კუთხითაც.

ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითის განხილვის შემდეგ შესაძლებელი გახდა იმის ვარაუდი, რომ ერთი შეხედვით ბოსნიაში კონსოციონალური მიდგომების და მოწყობის დამკვიდრების შედეგად მოხდა გარკვეული დოზით პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეთნოსებს შორის ძალადობრივი დაპირისპირებების აღკვეთა. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამ ახლადშექმნილ ქვეყანაში მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაცია მყიფე აღმოჩნდა, რადგან შესამჩნევი გახდა ეთნოსის უპირატესობა დემოკრატიზაციაზე, ფრაგმენტაციის უპირატესობა ეკონომიკურ რეფორმებზე, ხოლო სახელმწიფო მშენებლობაში ადგილობრივ ინიციატივებთან შედარებით მეტი უპირატესობა მიენიჭა საერთაშორისო და გლობალურ გავლენიან მოთამაშეებს.

მეორე თავში განვიხილე საბჭოთა ტიპის მოწყობის ინსტიტუციური მემკვიდრეობის თავისებურებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს საქართველოში უმცირესობების მიმართ პოსტსაბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკის

შემუშავებაზე და განხორციელებაზე. ამავ თავეში, განსაკუთრებით ქვეყნის პოლიტიკურ აკომოდაციასთან და დემოკრატიულ კონსოლიდაციასთან მიმართებაში (მაგალითად, სამოქალაქო თანასწორობის, თავისუფლებებისა და უფლებების კუთხით სოციალურ ჯგუფებს შორის ძალაუფლების განაწილება), შვეიცარიულ საქართველოში უმცირესობების მიმართ გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგებს ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდებში.

ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ განსაკუთრებით უმცირესობათა ინტეგრაციის და მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში მიღწეული შედეგების თვალსაზრისით (ყოველ მომდევნო პოსტსაბჭოთა რეჟიმების შედარებასას), შეიძლება აღინიშნოს, რომ ბევრი რამ შეიცვალა გამსახურდიას დროინდელი ეთნონაციონალისტური მიდგომებისგან და რიტორიკისგან. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად შევარდნაძის უმცირესობების მიმართ შედარებით მულტიკულტურული დამოკიდებულებისა, მიდგომა ზედაპირული აღმოჩნდა, ვინაიდან სახელმწიფომ საკმაო ინდიფერენტულობა გამოიჩინა მეტი სამოქალაქო ინტეგრაციისა და მშვიდობიანი დემოკრატიული კონსოლიდაციასთან მიმართებაში. მიუხედავად სააკაშვილის ენაზე ორიენტირებული ნაციონალიზმისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართ მისი მცდელობებისა, მის მიერ გამოყენებულმა ზედმეტად ავტორიტარულმა და ცენტრალიზებულმა მიდგომებმა ვერ გამოიღო სასურველი შედეგები საზოგადოების მრავალფეროვან სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში ძალაუფლების და თანასწორუფლებიანობის განაწილების კუთხით. ბოლოს, ქართული ოცნების მიერ განხორციელებულ უმცირესობებთან მიმართებაში მიმდინარე პოლიტიკას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო დონეზე მართლაც შეიმჩნევა გარკვეული გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა დაცვისა და ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით. თუმცა, გამოვლინდა ისიც რომ პრაქტიკული კუთხით არსებითად არაფერი შეცვლილა, რადგან ქართული პოლიტიკაში უმცირესობები კვლავ რჩებიან არასაკმარისად წარმოდგენილნი, ხოლო ქართულ საზოგადოებაში არასათანადოდ ინტეგრირებულნი.

მესამე თავში დასკვნითი მსჯელობის საშუალებით დადგინდა თუ რამდენად შესაძლებელია საქართველოს პოსტსაბჭოთა გარემოებებიდან (მაგ., საბჭოთა ტიპის ეთნო-ფედერალიზმი, გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები და ნეგატიური საგარეო ზეგავლენები) გამომდინარე კონსოციონალური დემოკრატიის მოდელის საქართველოს მოცემულ მდგომარეობასთან თავსებადობა. შესაბამისად, მხედველობაში კონსოციონალური დემოკრატიის ისეთი ფუნდამენტური მახასიათებლები იქნა მიღებული როგორებიცაა: განსხვავებულ იდენტობის მქონე ჯგუფების წარმომადგენელ პოლიტიკურ ელიტებს შორის პოლიტიკური თანხმობა ძალაუფლების პროპორციულად გაზიარებაზე, მრავალპარტიული საპარლამენტო მმართველობა და პროპორციული საარჩევნო სისტემა, უმცირესობათა ჯგუფებისთვის ვეტოს ან ავტონომიის უფლების მინიჭება და ფედერალიზმი ან მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია.

ჩატარებული კვლევის შედეგად (სტრუქტურული და ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუების ხერხების გამოყენებით) შესაძლებელია დავასკვნათ რომ, როგორც არსებული რთული გეოპოლიტიკური გარემოებებიდან, ისე ისტორიული გამოცდილებებიდან და მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობად გამომდინარე, ამ ეტაპზე კონსოციონალური მოდელი (ელიტებს შორის ძალაუფლების პროპორციულად გაზიარებაზე პოლიტიკური თანხმობა, პროპორციული საარჩევნო სისტემა, უმცირესობების ჯგუფებისთვის ავტონომიის ან ვეტოს უფლების მინიჭება და მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია) ვერ იქნება თავსებადი.

შესაბამისად, საკვლევი ჰიპოთეზების დასტურად ინტერვიუებიდან გამოტანილი დასკვნების შედეგად შესაძლებელია ითქვას რომ კონსოციონალური მოდელის სრული პაკეტით საქართველოში გადმოტანა (როგორც ეს ვთქვათ ბოსნია-ჰერცეგოვინას შემთხვევაში გახდა შესაძლებელი) ამ მოცემულ ეტაპზე წარმოუდგენელი და შეუძლებელია. როგორც ინტერვიუებიდანაც გამოჩნდა, ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა ის საქართველოსთან მიმართებაში არსებული სპეციფიური გამოვლინებები, როგორებიცაა ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა (რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სეცესიური რეჟიმების

დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოცხადება), საბჭოთა ეთნო-პოლიტიკის და ეთნო-ფედერალიზმის მწარე გამოცდილებები და საქართველოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობასთან მიმართებაში რუსეთის მიმდინარე აგრესიული სამეზობლო პოლიტიკა.

თუმცა, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, როგორც საქართველოს ბოლო დროინდელმა პოლიტიკურმა დინამიკამ აჩვენა (მაგ., ნელი თუმცა მიმდინარე დეცენტრალიზაციის რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების მიზნით, არცთუ ისე დიდი ხნის უკან საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა და სულ მალე მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღება) კონსოციონალური მოდელის გარკვეული მიდგომები შესაძლოა რაღაც დოზით უკვე იყოს ან სამომავლოდ იქნას გამოყენებული ქვეყნის დემოკრატიული და მშვიდობიანი კონსოლიდაციისთვის. ამგვარი ვარაუდის და დასკვნის საშუალებას კი სხვა გარე ხელის შემწყობი ფაქტორის არსებობაც ამყარებს. კერძოდ, საქართველოს ევროკავშირთან მჭიდრო დაახლოების პროცესი (ევროპეიზაცია და ევროინტეგრაცია) შესაძლოა ჩაითვალოს ამგვარი მოდელის (თუნდაც გარკვეული კომპონენტების) დამკვიდრების ხელისშემწყობ გარემოებად, რადგან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ევროკავშირის სტრუქტურაც კონსოციონალურ და კონსენსუალურ პრინციპებზეა აწყობილი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Almond, G. A. (1956). Comparative Political Systems. *The Journal of Politics*, 18(3), 391–409.
- Baglione, L. A. (2012). *Writing a Research Paper in Political Science: A Practical Guide to Inquiry, Structure, and Methods*. London: SAGE.
- Barrington, L., Bosia, M. J., Bruhn, K., Giaimo, S., & McHenry, D. E. Jr. (2010). *Comparative Politics: structures & choices*. Boston: WADSWORTH CENGAGE Learning.
- Barry, B., (1975). Review Article: Political Accommodation and Consociational Democracy. *British Journal of Political Science*, 5 (4), 477-505.
- Berglund, C. & Blauvelt, T., (2016). Redefining The Nation: From Ethnic Fragmentation to Civic Integartion?. In: G. Nodia, (Ed.), *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects* (pp.11-56). Tbilisi: Konrad-Adenauer-Stifung/Ilia State University Press.
- Bieber, F. (2010). Bosnia and Herzegovina since 1990. In: S. P. Ramet, (Ed.), *Central and Southeast European Politics since 1989* (pp. 311-328). Cambridge: Cambridge University Press.
- Blauvelt, T. K. (2013). Endurance of the Soviet imperial tongue: the Russian language in contemporary Georgia. *Central Asian Survey*, 32 (2), 189-209.
- Broers, L. (2008). Filling the Void: Ethnic Politics and Nationalities Policy in Post-Conflict Georgia. *Nationalities Papers*, 36 (2), 275-304.
- Cohen, F. S. (1997). Proportional vs. Majoritarian Ethnic Conflict Management in Democracies. *Comparative Political Studies*, 30(5), 607-630.
- Coppieters, B. (2001). *Federalism and Conflict in the Caucasus*. London: Royal Institute of International Affairs/Chatham House.
- Cornell, S. E. (2002). Autonomy as a Source Conflict: Caucasian Conflict in Theoretical Perspective. *World Politics*, 54 (2), 245-256.
- Dahl R. A. (1971). *Polyarchy: Participation and Opposition*. (New Haven: Yale University Press).
- De Waal, T. (2010). *The Caucasus: An Introduction*. 1 ed. Oxford: Oxford University Press.
- Deschouwer, K. & Martina, T. (2012). Elite Behavior and Elite Communication in a Divided Society: the Belgian federal coalition formation of 2007. *Journal of Language and Politics*, 11(4), 500-520.
- Dixon, P. (2011). Is Consociational Theory the Answer to Global Conflict? From Netherlands to Northern Ireland and Iraq. *Political Studies Review*, 9, 309-322.

- Dundua, S. (2014). Muslim Georgians and Civic Integration. *2nd International Scientific Conference: Space, Society, Politics* (pp. 146-159). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- Dundua, S. (2016). Multiculturalism in Georgia: Problems and Perspectives. *European Journal of Social Sciences Studies*, 1(2), 102-117.
- Fraser, M. (2013). European Integration and Postwar Political Relations between Croatia and the Bosnian Croats and Serbia and the Bosnian Serbs. In: T. J. Mabry, M. Moore & B. O'Leary, (Eds.) *Divided Nations and European Integration* (pp. 210-251). Pennsylvania: University of Pennsylvania Press.
- Gallina, N. (2010). Puzzles of State Transformation: the Cases of Armenia and Georgia. *CAUCASIAN REVIEW OF INTERNATIONAL AFFAIRS*, 4, 20-34.
- George, A. J. (2008). Minority Political Inclusion in Mikheil Saakashvili's Georgia. *Europe-Asia Studies*, 60(7), 1151-1175.
- George, A. L. & Bennett, A. (2005). *Case Studies and Theory Development in the Social Sciences*. London: MIT Press.
- Goldenberg, S. (1994). *Pride of Small Nations: the Caucasus and Post-Soviet Disorder*. London: Zed Books Ltd..
- Hadden, T. (2005). Part I: Conceptual Issues: Chapter II: Integration and Autonomy: Minority Rights and Political Accommodation. In: I. O'Flynn & D. Russel, (Eds). *Power Sharing: New Challenges for Divided Societies* (pp. 30-45). London: Pluto Press.
- Hale, H. E. (2004). Divided We Stand: Institutional Sources of Ethnofederal State Survival and Collapse. *World Politics*, 56, 165-193.
- Horowitz, D. L. (1985). *Ethnic Groups in Conflict*. 2nd ed. London: University of California Press.
- Jones , S. F. (2013). *Georgia: A Political History since Independence*. London & New York: I.B. Tauris & Co Ltd..
- Jones, S. F. (2013). Democracy in Georgia: Da Capo?. *Cicero Foundation Great Debate Paper*, 1-16.
- Kolsto, P. & Blakkisrud, H. (2008). Living with Non-Recognition: State and Nation-Building South Caucasian Quasy States. *Europe-Asia Studies*, 3(60), 483-509.
- Koole, R. & Daalder, H. (2002). The Consociational Democrcay Model and the Netherlands: Ambivalent Allies?. In: J. Steiner & T. Ertman, (Eds.). *Conscociationalism and Corporatism in Western Europe: Still the Politics of Accommodation?* (pp. 23-43). Amsterdam: Boom.

- Lane, J.- E. & Ersson, S. (2000). Chapter 10: “Westminster versus Consensus democracy – a tenable distinction?”. In: *The New Institutional Politics: Performance and Outcomes* (pp. 207-225). London and New York: Routledge.
- Levy, J. S. (2009). Part I: History and Methods: Case Studies and Conflict Resolution. J. Bercovitch, V. Kremenyuk, & W. Zartman (Eds.), *The SAGE Handbook of Conflict Resolution* (pp. 172-189). Los Angeles: SAGE.
- Lipset S. M. (1959). Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy. *The American Political Science Review*, 53(1), 69–105.
- Lijphart, A. (1968). The Spirit of Accommodation. *The Politics of Accommodation: Pluralism and Democracy in the Netherlands* (pp.103-122). Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.
- Lijphart A. (1977). *Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration*. New Haven: Yale University Press.
- Lijphart, A. (2004). Constitutional Design for Divided Societies. *Journal of Democracy*, 96-109.
- Lijphart, A. (2008). *Thinking About Democracy: Power-sharing and majority rule in theory and practice*. New York: Routledge.
- Lijphart, A. (2012). *Patterns of Democracy: Government Forms and Performance in Thirty-Six Countries*. 2nd ed. New Haven&London: Yale University Press.
- Lustick, I. (1979). Stability in Deeply Divided Societies: Consociationalism versus Control. *World Politics*, 31(3), 325-344.
- Lutsevych, O. (2013). *How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine*. London: CHATHAMHOUSE.
- Makarychev, A. (2016). *The Limits to Russian Soft Power in Georgia*. Tartu: PONARS Eurasia Policy Memo No. 412.
- Matsaberidze, D. (2014). *The Role of Civic Nationalism in Transformation Ethnic Politics of the post-Soviet Georgia*. Tbilisi: European Centre for Minority Issues (ECMI).
- McCormick, J. (2011). *Understanding the European Union: A Concise Introduction*. 5th Edition ed. New York: Palgrave Macmillan.
- McGann, A. J. (2002). The Tyranny of the Super-Majority: How Majority Rule Protects Minorities. *CSD Working Papers, Center for the Study of Democracy, UC Irvine*, 1-20.
- McGarry, J. & O'Leary, B. (2013). Introduction. In: T. J. Mabry, J. McGarry, M. Moore & B. O'Leary, (Eds.) *Divided Nations and European Integration* (pp. 1-33). Philadelphia: PENN.

- Merdzanovic, A. (2015). *Democracy by Decree: Prospects and Limits of Imposed Consociational Democracy in Bosnia and Herzegovina*. Stuttgart: ibidem Press.
- Metreveli, T. (2016). An Undisclosed Story of Roses: church, state, and nation in contemporary Georgia. *Nationalities Papers*, 44 (5), 694-712.
- Muskhelishvili, M. (2005). Constitutional Changes in Georgia. *Tbilisi: Center for Social Studies*, 47-58.
- Nodia, G. (1996). Chapter II: Political Turmoil in Georgia and the Ethnic Policies of Zviad Gamsakhurdia. Bruno Coppieters (Ed.), *Contested Borders in the South Caucasus* (pp.73-89). Brussels: VUBPRESS.
- Nodia, G. (2005). Georgia: Dimension of Insecurity. B. Coppieters & R. Legvold (Eds.), *Statehood and Security* (pp. 39-82). London: MIT Press.
- Nodia, G. & Scholtbach, A. P. (2006). *The Political Landscape of Georgia: Political Parties: Achievements, Challenge, and Prospects*. The Netherlands: Eburon Academic Publishers.
- O'Leary, J. M. a. B. (2009). Power shared after the deaths of thousands. In R. Taylor (Ed.), *Consociational Theory* (pp. 15-84). London and New York: Routledge.
- Papagianni, K. (2006). Accomodating Diversity: Federalism, Autonomy and other Options. *Background paper: Oslo: OsloForum*, 49-58.
- Papava, V. (2006). The Political Economy of Georgia's Rose Revolution. *East European Democratization*, 657-667.
- Rothchild, D. (2009). Part II: Issues and Sources of Conflict: Ethnicity, Negotiation, and Conflict Management. In: J. Bercovtch, V. Kremenyuk & W. Zartman (Eds.), *the SAGE Hand Book of Conflict Resolution* (pp. 246-264). Los Angeles: SAGE.
- Sanamyan, E., Delihuseyinoglu, H., Abbasov, I., Pipia, M., & Rumyansev, S. (2016). Ethnic Groups and Conflicts in the South Caucasus and Turkey. *The Caucasus Edition - Journal of Conflict Transformation*, 1-31.
- Shapovalova, N. & Youngs, R., (2012). EU democracy promotion in the Eastern neighbourhood: a turn to civil society?, *Working Paper*, 115, Madrid: FRIDE, 1-28;
- Sisk, T. D. (1996). *Power Sharing and International Mediation in Ethnic Conflicts*. New York: USIP Press.
- Tolstrup, J., (2009). Studying a negative external actor: Russia's management of stability and instability in the 'Near Abroad. *Democratization*, 922-944.
- Van Rie, M. J. (2009). The role of the OSCE in the conflict in Georgia. *Security&Human rights*, 4, 318-324.

Waal, T. d. (2012). A Broken Region: The Persistent Failure of. *Europe-Asia Studies*, 64(9), 1709-1723.

Wheatley, J. (2009). Managing Ethnic Diversity in Georgia: one step forward, two step back. *Central Asian Survey*, 28(2), 19-134.

Wolff, S. (2005). Chapter 4: Electoral Systems Design and Power Sharing Regimes. In: I. O'Flynn & D. Russel (Eds.), *Power Sharing: New Challenges for Divided Societies* (pp. 59-77). London: Pluto Press.

Wolff, S. (2013). Conflict Management in Divided Societies: The Many Uses of Territorial Self-Governance. *International Journal on Minority and Group Rights*, 20, 27-50.

Yakinthou, C. (2009). *Political Settlements in Divided Societies: Consociationalisms and Cyprus*. New York: Palgrave Macmillan.

Zedania, G. (2011). The Rise of Religious Nationalism in Georgia. *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region*, 120-128.

Zurcher, C. (2007). *Post-Soviet Wars: Rebellion, Ethnic Conflict and Nationhood in the Caucasus*. New York: NY University Press.

გაჩეჩილაძე, რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში: XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები*. მეორე განახლებული გამოცემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამოცემა.

გორაძე, გ. (2009). საქართველოს ფედერალიზაცია. *მართლმსაჯულება და კანონი*, 109-118.

კვაჭაძე, მ. (2012). კარი მეორე: ადამიანის უფლებები. გ. ბუროუსი, ზ. რუხაძე, მ. კვაჭაჩაძე, ლ. გაფრინდაშვილი, & ლ. იზორია (რედ.). *დემოკრატია და მოქალაქეობა* (გვ. 87-182). თბილისი: IFES-USAID.

ლიტლი, დ. (2013). *სოციალური ახსნის მრავალფეროვნება: შესავალი სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიაში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ოფიციალური დოკუმენტები

1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. (1921, თებერვალი 21). *კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი*. Retrieved March 6, 2018, from http://constcentre.gov.ge/failebi/1_86310.pdf

2. საქართველოს კონსტიტუცია. (2017, მაისი 25). *კანონმდებლობა: საქართველოს კონსტიტუცია*. Retrieved from Parliament of Georgia: http://www.parliament.ge/files/68_1944_951190_CONSTIT_27_12.06.pdf
3. საქართველოს მთავრობა. (2014, თებერვალი 5). *დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*. Retrieved May 11, 2017, from The Legislative Herald of Georgia: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687>
4. Council of Europe Secretariat. (2013). *Action Plan for Georgia 2013-2015*. Strasbourg: Committee of Ministers of the Council of Europe.
5. European Commission. (2017). *European Commission: Trade Policy: Countries and regions: Georgia*. Retrieved May 11, 2017, from <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/>

საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები

1. "ღია საზოგადოება - საქართველო". (2009). *ავგისტოს ნანგრევებში*. თბილისი: "ღია საზოგადოება - საქართველო".
2. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი. (2012-2016). *აშშ-ს საელჩო საქართველოში: ჩვენი ურთიერთობა: ოფიციალური ანგარიშები: ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ*. Retrieved April 13, 2019, from <https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/official-reports-ka/int-religious-reports-ka/>
3. European Centre for Minority Issues. (2012, February 2). *Publications: Islam and Religious Transformation in Adjara*. Tbilisi: European Centre for Minority Issues (ECMI). Retrieved March 7, 2018, from European Centre for Minority Issues: http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Working_Paper_57_En.pdf
4. Georgian Institute of Politics. (2017). *The First 100 Days of the Georgian Dream Government: A Reality Check*. Tbilisi: GIP.
5. Human Rights Watch/Helsinki. (1995). *Georgia/Abkhazia: Violations of the Laws of the War and Russia's Role in the Conflict*. Helsinki: Human Rights Watch/Helsinki.
6. News From Helsinki Watch. (1991). *Conflict in Georgia*. Helsinki: Helsinki Watch.

7. V-Dem Institute: Varieties of Democracy. (2017). *Democracy at Dusk? V-Dem Annual report 2017*. Gothenburg: V-Dem Institute.

ინტერნეტ რესურსები

1. გამსახურდია, ზ. (1990-1991). *Youtube: ზვიად გამსახურდია აფხაზეზზე*. Retrieved March 7, 2018, from https://www.youtube.com/watch?v=Wq_LTL9CcxM
2. გამსახურდია, ზ. (2018, მარტი 13). *Youtube: რადიოთავისუფლება აჭარა 1989: ზვიად გამსახურდია აჭარის შესახებ*. Retrieved March 17, 2018, from Youtube.Ge: https://www.youtube.com/watch?v=IcOI_Kaw7_E
3. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. (2014). *ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები*. Retrieved February 18, 2018, from <http://www.transparency.ge/ge/blog/antidiskriminatsiuli-kanoni-mightsevebi-da-gamotsvevebi>
4. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. (2016). *საქართველო და ევროკავშირი*. Retrieved February 18, 2018, from https://eeas.europa.eu/delegations/georgia_ka/7589/საქართველო%20და%20ევროკავშირი
5. წამალაშვილი, ე. (2007, აპრილი 25). *პოლიტიკა: აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში?* Retrieved September 14, 2018, from რადიოთავისუფლება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1552229.html>
6. Aliyev, S., & Badasyan, E. (2016, October 2). *Institute for War & Peace Reporting: Global Voices Caucasus: Georgia Reaches Out for Ethnic Vote*. Retrieved June 22, 2017, from Institute for War&Peace Reporting: <https://iwpr.net/global-voices/georgia-reaches-out-ethnic-vote>
7. Cecire, M. (2014). *Georgia and Russia Play Nice – The American Interest*. Retrieved March 14, 2018, from <https://www.the-american-interest.com/2014/02/07/georgia-and-russia-play-nice/>
8. Freedom House. (2017). *Nations in Transit: Georgia Country profile*. Retrieved May 6, 2017, from <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2017/georgia>

9. Koiava, R. (2016, March 1). GEORGIAN NATIONAL NARRATIVES ON CONFLICTS: 1991-2012. *Analytical Portal of Caucasian House: Regional Dialogue*. Retrieved from <http://regional-dialogue.com/en/georgian-national-narratives-on-conflicts-1991-2012/>.
10. Mirzoev, A. (2012). *Democracy & Freedom Watch: How will ethnic minorities vote in the parliamentary elections?* Retrieved April 11, 2019, from <https://dfwatch.net/how-will-ethnic-minorities-vote-in-the-parliamentary-elections-69232-12003>
11. Netgazeti.ge. (2018). *We are ready for direct dialogue with Abkhazians and Ossetians - Kvirikashvili*. Retrieved March 19, 2018, from <http://netgazeti.ge/news/258617/>
12. Netgazeti.ge. (2019). *ახალი ამბები: 2020-ში ჩატარდება პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით – ივანიშვილი*. Retrieved June 24, 2019, from <https://netgazeti.ge/news/374865/>
13. Partnership for Open Society. (2005). *Partnership for Open Society*. Retrieved September 8, 2016, from http://www.partnership.am/en/European_Neighborhood_Policy
14. Radio Free Europe/Radio Liberty. (2008). *News: Russia Recognizes Abkhazia, South Ossetia*. Retrieved March 8, 2018, from https://www.rferl.org/a/Russia_Recognizes_Abkhazia_South_Ossetia/1193932.html
15. Shiriev, Z. (2016, December 20). *The Central Asia-Caucasus Analyst: Publications: Analytical Articles: A move towards greater political participation among ethnic Azerbaijanis in Georgia?* Retrieved June 16, 2017, from The CACI Analyst: <http://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13417-a-move-towards-greater-political-participation-among-ethnic-azerbaijanis-in-georgia?.ht...>
16. Venice Commission. (2018). *Constitutional reforms*. Retrieved February 18, 2018, from http://www.venice.coe.int/WebForms/pages/?p=02_Reforms&lang=EN
17. UN Association of Georgia. (2016). *UNAG News: RESEARCH REPORT: THE EFFECTIVENESS OF ONE YEAR GEORGIAN LANGUAGE PROGRAM FOR ETHNIC MINORITIES AT HEIS*. Retrieved January 21, 2018, from <http://www.una.ge/news/685/eng>
18. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (2019). *საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი*. Retrieved March 4, 2019, from http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/საქართველოს_სახელმწიფოებრივი_დამოუკიდებლობის_აღდგენის_აქტი

ინტერვიუები

1. აბაშიძე, ზ. (2018, ივლისი 4). დიპლომატი - რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი.
2. გობრონიძე, გ. (2018, ივლისი 5). მკვლევარი-საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
3. გოგიძე, ლ. (2018, ივნისი 28). ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პროგრამის ოფიცერი და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კოორდინატორი.
4. გოცირიძე, რ. (2018, ივლისი 3). პარლამენტის წევრი- საარჩევნო ბლოკი: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.
5. თურმანიძე, კ. (2018, ივლისი 11). აღმასრულებელი დირექტორი - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).
6. კაპანაძე, ს. (2018, ოქტომბერი 15). პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი.
7. მარშანია, ა. (2018, სექტემბერი 13). პარლამენტის წევრი - საარჩევნო ბლოკი: „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“.
8. მაცაბერიძე, დ. (2018, ივნისი 26). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
9. სტეპანიანი, ა. (2018, ივლისი 5). „მრავალენოვანი საქართველოს“ თავმჯდომარე.
10. ციხელაშვილი, ქ. (2018, ივლისი 31). საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.
11. ხალილოვი, ზ. (2018, ივნისი 28). სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

12. ხულორდავა, თ. (2018, ივლისი 10). პარლამენტის წევრი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თანმჯდომარე - საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.